პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებანი: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადების ფასის იხდიან 10% საქალაქო გადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხელშეკრ. ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური
- კომინტერნის აღმასკომის მისალმება პოლონეთის კომპარტიას.
- ესტონეთის მთავრობის დეკლარაცია.
- არგენტინაში აღმოაჩინეს შეთქმულება გუერის წინააღმდეგ.
- რუმინეთის ახალი პარლამენტის შემადგენლობა.
- მაკდონალდი საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრეა.
- კომუნისტების პროცესი ბუქარესტში.
- დაიხურა საბჭოთა კავშირის ცაკის სესია.

სამშაბათი, 18 დეკემბერი, 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 292 (2335)

## მორიგი მარცხი

ლუგანოდან დაბრუნებისას ჩემბერლენმა განაცხადა: „ყველაფერი, რის თქმა შეიძლია ლუგანოში შემდგარ ერთა ლიგის საბჭოს სესიის შესახებ, ეს ისაა, რომ მე სავსებით კმაყოფილი ვარ იქ ჩატარებული მუშაობით“-ო. ეს ჩვეულებრივი დიპლომატიური ფარისევლობაა. ჩემბერლენის „კმაყოფილებას“ რომ რაიმე საფუძველი ჰქონდეს, ის, რა თქმა უნდა, ასეთ სიძუნწეს არ გამოიჩენდა სიტყვებში და არ დააყოვნებდა ვრცლად და გაზვიადებულად დაეხასიათებინა ლუგანოში წარმოებული მუშაობა. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამ მხრივ არავითარ დადებით შედეგებზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

როგორც ვიცით, ლუგანოში ერთა ლიგის საბჭოს სესიასთან ერთად, მის დამოუკიდებლად, იმართებოდა მინისტრების თათბირები, სადაც ირჩეოდა საერთაშორისო პოლიტიკის უმთავრესი პრობლემები. მათ შორის პირველი ადგილი ეჭირა გერმანიის საკითხს. ჩემბერლენ-ბრიან-შტრეზემანის მესამე შეხვედრის შემდეგ ამ საკითხზე ასეთი ოფიციალური განცხადება იქნა გამოქვეყნებული: „შერიგების და დაახლოვების პოლიტიკა(?), რომელსაც სამი ქვეყანა (ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია) ატარებს, ყველაზე უფრო შეეფერება მშვიდობიანობის უზრუნველყოფის ინტერესებს(?!). ჩვენ ამ პოლიტიკის ერთგული ვრჩებით და ამ მიმართულებით გავაგრძელებთ მოლაპარაკებას“...

ეს ბუნდოვანი დოკუმენტი მოწმობს, რომ ნამდვილად არავითარი შეთანხმება არ ყოფილა მიღწეული. რაც შეეხება თვალთმაქცურ ლაპარაკს „შერიგების და დაახლოვების“ პოლიტიკაზე, რომელსაც იმპერიალისტები თითქო ატარებენ და რომელიც ვითომ „შეეფერება მშვიდობიანობის უზრუნველყოფის ინტერესებს“, — ეს ნათქვამია მხოლოდ გულუბრყვილოთათვის თვალის ასახვევად და ლუგანოს თათბირების მარცხის მისაფუჩეჩებლად.

მინისტრების კომუნიკე მხარეთა შერიგების პოლიტიკაზე გვეუბნება. ჩვენ კი ვიცით, თუ როგორ ესმით საფრანგეთსა და ინგლისს გერმანიასთან „შერიგება“. ესაა გერმანიისაგან კონტრიბუციის სახით უამრავი საშუალებათა ამოქაჩვა, რომლის განხორციელებას ისინი უკავშირებენ რეინის ოლქის დაცლას. ამასთან, რეინის ოლქის „განთავისუფლება“ მათ ისე ესმით, რომ აქ უნდა დაწესდეს კონტროლი საფრანგეთის უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით.

გერმანიასთან ინგლისის და საფრანგეთის „შერიგების და დაახლოვების“ პოლიტიკა თითქო „მშვიდობიანობის“ საქმეს ემსახურება. ეს მშვიდობიანობის სამსახური იმაში ხომ არ გამოიხატება, რომ ლონდონი და პარიზი ბერლინის წინადადებას აძლევენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა გასწყვიტოს და ანტისაბჭოთა ბლოკს მიემხროს, ისინი რაღაც დათმობებს პირდებოდნენ გერმანიას, თუ იგი ამაზე დათანხმდება.

მაგრამ, როგორც ჩანს, გერმანია ამ დაპირებებმა არ შეაცდინა,—ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს არსებითად ცარიელი დაპირებებია, მეორე, საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების განვითარება ერთ-ერთი ძირითადი პირობაა გერმანიის საერთაშორისო და ეკონომიური მდგომარეობის განმტკიცებისათვის.

ყველაფერმა ამან განსაზღვრა ლუგანოს მარცხი. ის გარემოება, რომ საფრანგეთი „პრინციპიალურად თანახმა“ გახდა რეინის ოლქის ევაკუაციაზე დაიწყოს მოლაპარაკება, რა თქმა უნდა, წარმატებად ვერ ჩაითვლება გერმანიისათვის: „პრინციპიალური თანხმობა“ თავის თავად არაფერს ნიშნავს, როცა ამ საკითხის გადაჭრა ყველაფ დამოკიდებული რჩება რეპარაციების პრობლემის მოწესრიგებისაგან და რეინის ოლქში კონტროლის შემოღებისაგან. და გასაგებია, რომ გერმანიის პრესა არავითარ ილუზიებს არ ქმნის როგორც ლუგანოში შემდგარ თათბირების შედეგების, ისე მომავალ მოლაპარაკების პერსპექტივების შესახებ. მხოლოდ აღსანიშნავია, რომ გერმანიის მთავრობამ, რომლისათვის, ეტყობა, ამაოდ არ ჩაუვლია წინანდელ გაკვეთილებს, ამ შემთხვევაში არ დაუთმო მოწინააღმდეგეებს, რომელნიც მის დამონებას და ანტისაბჭოთა ავანტიურის ქსელში გახვევას ცდილობენ. ეს სიმტკიცე, თუ გერმანიას შემდეგშიაც შერჩება, მისი მდგომარეობის გაუმჯობესების თავდებია.

იმ საკითხებიდან, რომლებიც უშუალოდ ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე იყო დასმული, ამჟამად ჩვენ აღვნიშნავთ პოლონეთის ზემო-სილეზიის გერმანელ მოსახლეობის პეტიციას.

ზემო-სილეზია, როგორც ვიცით, ანტანტამ ჩამოგლიჯა გერმანიას და პოლონეთს გადასცა. პოლონეთის მთავრობა აწარმოებს ამ რაიონის პოლონიზაციას და დევნის გერმანულ მოსახლეობას. უკანასკნელის წარმომადგენლებმა პოლონეთის მთავრობაზე საჩივარი შეიტანეს ერთა ლიგის საბჭოში. გუშინ ჩვენ მოთავსებული გვქონდა ცნობა, თუ როგორი, დიპლომატიურ დამოკიდებულებათა ისტორიაში იშვიათი შეტაკება გამოიწვია ლიგის საბჭოს სესიაზე შტრეზემანისა და ზალესკის შორის ამ პეტიციამ. პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა პეტიციის ინიციატორი—„დოიჩერ ფოლკსბუნდ“ „სახელმწიფო ღალატისა და ეკონომიურ ჯაშუშობის ორგანიზაციად“ გამოაცხადა. ამ გამოსვლამ და შტრეზემანის მკაცრმა გალაშქრებამ ზალესკის წინააღმდეგ ერთხელ კიდევ ცხადყო გერმანია-პოლონეთის შეურიგებლობა.

ამასთან, შტრეზემანმა განაცხადა: „გერმანელ უმცირესობის დევნა-შევიწროების მოთმენა აწი არ შეიძლება. რომ ლიგას თავისი მომავალი მოღვაწეობის საფუძვლად მიეღო ზალესკის თვალსაზრისი ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ, იგი ამით დაასამარებდა თავის ერთ უმთავრეს იდეას — ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას, რაც ლიგამ იკისრა. ეს აიძულებდა ზოგიერთ ხალხებს გადაესინჯათ ის მიზეზები, რომელთაც ისინი აიძულეს ლიგაში შესულიყვნენ“.

ამ სიტყვებმა შეიძლება ვინმე შეცდომაში შეიყვანოს, — თითქო ერთა ლიგა ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დაცვაზე ზრუნავდეს. ნამდვილად კი, თავის თავად ცხადია, ერთა ლიგა იმპერიალისტურ სახელმწიფოების ხელში იარაღია მცირე და ჩამორჩენილ ხალხთა დასამონებლად. მაგრამ ამის აღიარებას შტრეზემანს ვერ მოვსთხოვთ. მხოლოდ, თუ რომელიმე ხალხი იმიტომ შევიდა ერთა ლიგაში, რომ მისი საშუალებით დაიცვას თავი იმპერიალიზმისაგან,—ლიგის მთელი „მოღვაწეობა“ განა საბუთს არ აძლევს ასეთ ხალხებს გადასინჯონ თავისი შეხედულება და ერთა ლიგას ზურგი შეაქციონ!

ბოლოს, ჩვენ გვინდა შევეხოთ ერთ მომენტს ერთა ლიგის საბჭოს სესიის ეხლანდელ „მუშაობიდან“. ამჟამად სამხრეთ-ამერიკის ორ პატარა ქვეყანას —პარაგვაისა და ბოლივიას შორის ომი სწარმოებს. ერთა ლიგის საბჭოს სესიამ შუამავლობა იკისრა მათ შერიგებისათვის. ეს წინადადება მხარეთა მიერ უარყოფილ იქნა. ამის შემდეგ ლიგის საბჭომ დაავალა ბრიანს „თვალყური ადევნოს ამბებს (ომს პარაგვაის და ბოლივიას შორის) და, თუ საჭირო შეიქნა, საბჭოს საგანგებო სესია მოიწვიოს“. ეს ნაბიჯი დამახასიათებელია. თითქო ისე გამოდის, რომ ერთა ლიგა ძალიან ზრუნავდეს მშვიდობიანობაზე. მაინც უცნაურია, რომ, როცა იმპერიალისტები სისხლში ახრჩობენ კოლონიალურ ხალხებს, როცა ისინი ჟლეტენ ჩინეთის მოსახლეობას, და მის ოკუპაციას ახდენენ, — ერთა ლიგა გაჩუმებულია, თითქო არაფერი მომხდარიყოს. მაშ რითი აიხსნება ერთა ლიგის ასეთი მოულოდნელი გამოსვლა ეხლა? საქმე ის არის, რომ ერთა ლიგა, გარდა მშვიდობიანობის მოციქულის როლის გათამაშებისა, ამით ცდილობს სამხრეთ-ამერიკის მიზიდვას და მის ჩამოშორებას ჩრდ. ამ. შტატებისაგან. ერთა ლიგის ჩარევა ხსენებულ კონფლიქტში, ინგლის-საფრანგეთის ბლოკის და შტატების ბრძოლის ერთ-ერთი გამოხატულებაა. ასე, რომ ლიგის „სამშვიდობო“ ნაბიჯი ოდნავადაც ვერ დაჩრდილავს იმ ჭეშმარიტებას, რომ ეს ორგანიზაცია ომის და დაჩაგვრის იარაღია, და არა მშვიდობიანობის განმტკიცების.

## პარტიის განმტკიცების შესახებ

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის ძირითადი და უმნიშვნელოვანესი ამოცანები გვაკარნახებენ უდიდესი ყურადღებით მოვეპყრათ ცკას ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებას პარტიაში მუშების მიღებისა და პარტიის ზრდის მოწესრიგების შესახებ. შემთხვევითი არ არის, რომ ეს საკითხი დაისვა მაშინ, როცა პლენუმი იხილავდა 1928—29 სამეურნეო წელზე სოციალისტური შეტევის გეგმას. პარტია გრძნობს უდიდეს პასუხისმგებლობას, რომელიც აწევს პროლეტარიატის ავანგარდს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდთან დაკავშირებულ სიძნელეთა გადალახვის საქმეში. იგი არა თუ არა ცდილობს თავიდან მოიშოროს ეს პასუხისმგებლობა, არამედ უშიშრად ააშკარავებს მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითადი მასების წინაშე თავისი მუშაობის დეფექტებს, რომელნიც ხელს უშლიან სოციალისტური მშენებლობის წარმატებას. სოციალისტური მშენებლობის გეგმის წარმატებით შესრულებას პარტია უკავშირებს თავისი რიგების სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესებას, პარტიის ძირითადი პროლეტარულ კადრების განმტკიცებას და პარტიის გაწმენდას ყველა შემთხვევითი, გახრწნილი, უცხო, მიტმასნილი და გაბიუროკრატებული ელემენტებისაგან.

ცკას პლენუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ნაკარნახევია აგრეთვე იმით, რომ პარტიის თვალსაჩინო ზრდასთან შედარებით მისი ძირითადი პროლეტარული კადრები უფრო სუსტად იზრდებიან.

ეს კი ნიშნავს იმას, რომ ადგილი აქვს პარტიის ერთგვარ თავისობრივ ჩამორჩენის იმ მოთხოვნებისაგან, რომელსაც მას უყენებენ ურთულესი პირობები და ურთულესი ამოცანები. ჩამორჩა აგრეთვე წარმოებაში უშუალოდ ჩაბმული მუშების რიცხვის ზრდა. მართალია, პარტაღწერის ხანებში პარტიული მუშების მხოლოდ 12 პროცენტი იყო ასე თუ ისე დაკავშირებული სოფლის მეურნეობას. [illegible] დანარჩენები ხომ ტიპიური პროლეტარები არიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მუშების მხოლოდ 42 პროცენტი (ან შეიძლება ცოტა მეტი) მუშაობს უშუალოდ წარმოებაში. წარმოებაში ჩაბმულ პარტიულ მუშებს შორის ჩამორჩება მსხვილ წარმოებებში მომუშავე პარტიული მუშების ზრდა. მსხვილი წარმოებების მუშებს შორის კომუნისტური ფენა უდრის 12 პროცენტს, ხოლო საშუალო და წვრილ წარმოებათა მუშებს შორის—13,5 პროცენტს. სოციალისტური მშენებლობის ახალი საფეხური დაკავშირებულია სწორედ მსხვილ წარმოებების, განსაკუთრებით, მძიმე ინდუსტრიის, როლის გაძლიერებასთან. თანაბრად უნდა გაიზარდოს იმ კომუნისტების როლი და მნიშვნელობა, რომელნიც მუშაობენ ამ მსხვილ წარმოებებში. ეს საჭიროა ამ წარმოებების რაციონალიზაციისა და მათი ხელმძღვანელი როლის განმტკიცებისათვის. პარტიაში შემავალ მუშებს შორის შედარებით საკმაო არ არის დიდი საწარმოო სტაჟის მქონე მუშების პროცენტი. ჩვენ აქ არავითარ ანგარიშს არ ვუწევთ მენშევიკურ (ტროცკისტულ) ლაყბობას იმის შესახებ, რომ „ლენინის გაწვევის“ და „ოქტომბრის გაწვევის“ დროს პარტიაში მიღებულ მუშებს არ განუცდიათ კლასობრივი ბრძოლა, მაგრამ, რომ ჩვენ პარტიაში არ შევიყვანეთ მრავალი ათასი მუშა, რომელნიც ღირსნი არიან იმის, რომ იყვნენ ყველაზე უფრო შეგნებულ, მოწინავე და რევოლუციონურ პროლეტართა რიგებში, ეს ყოვლად ეჭვს გარეშეა. ამიტომ ნოემბრის პლენუმმა მიგვითითა: „საჭიროა პარტიაში შეყვანილ იქნან მუშათა კლასის ნამდვილი მოწინავე ელემენტები, რომელთაც შეუძლიათ მუშათა კლასის ავანგარდთან ერთად იბრძოლონ სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა დასაძლევად, წინააღმდეგობა გაუწიონ წვრილ-ბურჟუაზიულ იდეურ მერყეობას და ხელი შეუწყონ პარტიისადმი ნდობის გადიდებას მუშათა და სოფლის მშრომელთა ფართო მასებში“. ამას უნდა მიექცეს პარტიის წევრთა უდიდესი ყურადღება. ამ საქმეში უარყოფილ უნდა იქნას ყოველგვარი ფორმალობა. პარტიის ყოველმა წევრმა უნდა გამოიჩინოს რაც შეიძლება მეტი ინიციატივა და ენერგია, ამან უნდა გამოიწვიოს პარტიულების დაახლოვება საუკეთესო უპარტიო (ფორმალურად) ელემენტებთან, ზოგან ჩივიან კომუნისტების პასიობაზე, კარჩაკეტილობაზე, მუშათა მასის საჭიროებისადმი უყურადღებობაზე და, ცალკე შემთხვევებში, ამ მასისადმი მედიდურ დამოკიდებულებაზე.

საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა ამის წინააღმდეგ. პლენუმმა სავსებით მკაფიოდ ჩამოაყალიბა კონკრეტული ამოცანა—„ენერგიულად და გადაჭრით უნდა მივიზიდოთ პარტიაში ის მუშები და მუშა-ქალები, რომელნიც ყველაზე მეტ პოლიტიკურ სიმტკიცეს იჩენენ დაბრკოლებათა პერიოდში, არიან ნამდვილი პროლეტარული ინტერნაციონალისტები, საკუთარი მაგალითით ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების და შრომის დისციპლინის ზრდას, მტკიცედ და დაუღალავად ებრძვიან ბიუროკრატიზმს, აქტიურად მუშაობენ თავიანთი კულტურული განვითარებისათვის და, ამგვარად, შეუძლიათ გაამაგრონ პროლეტარული ავანგარდის ლენინური რიგები“.

პარტიაში ჩამორჩენილია მუშა-ქალთა რიცხვის ზრდა. მიუხედავად ზოგიერთი ობიექტიური სოციალურ-ყოფა-ცხოვრებითი და ეკონომიური პირობებისა, რომელნიც აქამდის ხელს უშლიან მუშა-ქალს მუშებთან თანაბარი მონაწილეობა მიიღოს პარტიის (და კომკავშირის) ცხოვრებაში, ჩვენ არ ვღებულობთ საკმაოდ ენერგიულ ზომებს მუშა-ქალთა მოსაზიდად ჩვენს რიგებში. თავისთავად ცხადია, რომ საქმე მარტო აგიტაცია და პროპაგანდა არ არის, არამედ იმაშია, რომ მაქსიმალური ყურადღება მივაქციოთ იმ პირობების მოსპობას, რომელნიც ხელს უშლიან მუშა-ქალს გახდეს ლენინური პარტიის (და კომკავშირის) აქტიური წევრი

არა ნაკლებ მნიშვნელობა აქვს პარტიული რიგების სათანადოთ განმტკიცებას სოფლად იქ უფრო სუსტია ჩვენი პროლეტარული გავლენა, არ არიან პროლეტარული მასები, უფრო სუსტია კონტროლი პარტიულ ცენტრებიდან. უფრო მკაფიო და ძლიერია წვრილმესაკუთრეობის სტიქიის გავლენა. მით უფრო უნდა ვეცადოთ, უზრუნველვყოთ მოჯამაგირეების, მოჯამაგირე-ქალების, ღარიბი გლეხების და კოლმეურნეობათა მუშაკების მიღება პარტიაში. სოციალისტური ელემენტების ზრდა სოფლის მეურნეობაში უნდა სწარმოებდეს პარტიაში მოჯამაგირეთა (და ღარიბ გლეხთა) ძირითადი კადრის ზრდასთან პარალელურად. ამა თუ იმ ორგანიზაციის პარტმუშაობის შედეგები (განსაკუთრებით სამიწადმოქმედო რაიონებში) შეფასებულ უნდა იქნას არა მარტო ქალაქის მუშების, არამედ მიწა-ტყის მუშაკთა რიცხვის ზრდის მიხედვითაც. საჭიროა, რომ ამ მუშაობისათვის გამოვიყენოთ სათანადო ძალები და საშუალებები.

ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ პარტია შეასრულებს მის წინაშე დასმულ ამოცანას და წარმოებაში ჩაბმულ მუშა კომუნისტების რიცხვს გაადიდებს პარტიის საერთო შემადგენლობის 50 პროცენტამდე. მაგრამ საჭიროა თავიდან ავიცილოთ შესაძლო შეცდომები. განსაკუთრებით საჭიროა სიფრთხილე, რომ მექანიკურად არ იქნეს გადაჭრილი საკითხი პარტიაში ახლად მისაღებ წევრებიდან 80 პროცენტი მუშის მიღების შესახებ: ეს საკითხი გულდასმით უნდა იქნას განხილული და შესწავლილი მუშაობის რაიონის სოციალურ შემადგენლობასთან დაკავშირებით; მაგალითად, პარტიის წევრების მიღება წითელ არმიაში თავისთავად ცხადია უნდა განსხვავდებოდეს ასეთივე მუშაობისაგან მსხვილ სამრეწველო ცენტრში. საჭიროა ჩამორჩენილი ორგანიზაციების წინ წაწევა: თუ მოსკოვში კომუნისტების ფენა მუშებს შორის უდრის 9 პროცენტს, ხოლო ლენინგრადში—19-ს, საჭიროა აქედან სათანადო დასკვნა გავაკეთოთ ხელი უნდა ავიღოთ მექანიკური კალენდარული გეგმების შედგენაზე, გეგმების, რომელთა ჩარჩოებშიაც შემდეგ ფორმალისტურად შერეკეთ ცოცხალი ხალხი. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ იმ ელემენტების ხარჯზე, რომელთაც პარტია აძევებს თავის რიგებიდან, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ არამუშებიც: აგრონომები, ექიმები, ტეხნიკოსები, მასწავლებლები, რომელთაც ხანგრძლივი მუშაობით დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება პარტიისადმი, მაგრამ აქაც საჭიროა გულდასმით შერჩევა პარტიის წინაშე დასმული ამოცანების თვალსაზრისით.

ეს მუშაობა უნდა სწარმოებდეს პარტიის გაწმენდასთან ერთად. აქ პირველ ყოვლისა ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ საკონტროლო კომისიების მუშაობას. პარტიის წევრთა საქმეების გარჩევის დროს საკონტროლო კომისიამ უნდა გამოარკვიოს არა მარტო ამხანაგის ესა თუ ის საქციელი, არამედ უნდა გადასწყვიტოს აგრეთვე საკითხი—შეუძლია თუ არა ამ ამხანაგს ნოემბრის პლენუმის მიერ წამოყენებული მოთხოვნების თვალსაზრისით დარჩეს პარტიის წევრად; შემმოწმებელი კომისიები ხომ ვერ გაერკვევიან უკეთ ამ საკითხში.

პლენუმმა მოგვცა დირექტივა—ჩავატაროთ „პარტიის ეხლანდელი შემადგენლობის სასტიკი შემოწმება და მისი გადაჭრით გაწმენდა სოციალურად უცხო, მიტმასნილი, გაბიუროკრატებული და გახრწნილი ელემენტებისაგან“. პლენუმმა სცნო, რომ „საჭიროა გაძლიერებული და, წარსულ წლებთან შედარებით, გაცილებით უფრო მტკიცე ზომები პარტორგანიზაციების გასაწმენდად იმ ელემენტებისაგან, რომელნიც პარტიაში ყოფნას იყენებენ ანგარული, კარიერისტული მიზნებისათვის, ბურჟუაზიულად გადაგვარებული ელემენტებისაგან, რომელნიც შეხორცებულნი არიან კულაკებთან და სხვ.“. დაე ჩვენმა მტრებმა გეხლიანად იცინონ იმაზე, რომ ჩვენ თვითონ ვაღიარებთ ასეთი ელემენტების არსებობას ჩვენს პარტიაში, დაე ყოველი ჯურის ტროცკისტმა, საპრონოვის მიმდევარმა და მიასნიკოვის მიმდევარმა მენშევიკებთან შეხმატკბილებით იწინასწარმეტყველონ ჩვენი პარტიის დაღუპვა, პარტია ლენინის დროსაც აღიარებდა ამ ელემენტების არსებობას თავის რიგებში და დაუზოგველად სწმენდა მათგან ამ რიგებს. გავიხსენოთ, რომ 1921 წელს მეთერთმეტე ყრილობაზე გაკეთებული მოხსენების თანახმად, პარტიის 658,000 წევრიდან და კანდიდატიდან გაწმენდის შემდეგ 500,000-იც კი არ დარჩა (გარდა თურქესტანისა). გამორიცხულთა 10 პროცენტზე მეტს შეადგენდნენ მუშები, ხოლო ცალკე ორგანიზაციებში გამორიცხულთა პროცენტი ძალიან დიდი იყო: ლენინგრადის ორგანიზაციაში—18,1 პროცენტ, მოსკოვის—17,8 პროც., ივანოვო-ვოზნესენსკის—12 პროც., ნიჟნი-ნოვგოროდის—17,4 პროც., სვერდლოვსკის—18,8 პროც., ხოლო ტულის ორგანიზაციაში—34,3 პროცენტიც კი.

ეხლა უნდა შევამოწმოთ ერთი-ორად გაზრდილი ორგანიზაცია, იგი პროლეტარული შემადგენლობის მხრივ უფრო კარგია, ვიდრე 1921 წელს იყო, იგი გაიზარდა ფაბრიკა-ქარხნებში, მაგრამ ასეთი პარტიის გაწმენდა გაცილებით უფრო რთული და ძნელია, ვიდრე 1921 წელს. საჭიროა სათანადოთ მოვემზადოთ ამ ურთულეს ამოცანისათვის, გამოვიყენოთ წინანდელი შემოწმებების და წმენდის გამოცდილება, აქედანვე დავსახოთ ყველაზე უფრო დასნეულებული რაიონები და აქედანვე გამოვყოთ ამ მუშაობისათვის საუკეთესო, ნაცადი აქტივი. ცკა და ცენტრალური საკონტროლო კომისია ახლო მომავალში განიხილავენ უფრო კონკრეტულ მითითებებს, რომლებიც გადაუხრელად უნდა იქნეს გატარებულნი ცხოვრებაში. მაგრამ ეხლავე პარტორგანიზაციებმა კრებებზე და პრესაში, თვითეული ორგანიზაციის და უჯრედის შიგნით უნდა შექმნან სათანადო მორალური პირობები და აიძულონ პარტიის ყოველი წევრი შეამოწმოს თავისი-თავი იმ მოთხოვნების თვალსაზრისით, რომელსაც პარტია უდგენს წევრს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვით საკითხის დაყენებამ ეხლავე გამოიწვიოს პარტიის რიგების განმტკიცება და მისი გაწმენდა არაკომუნისტური ელემენტებისაგან, გააძლიეროს ბრძოლა ბიუროკრატიზმის, გახრწნის ელემენტების და პარტიისათვის უცხო, მიტმასნილი ხალხის წინააღმდეგ.

ახალი უდიდესი ამოცანები ჩვენი პარტიისაგან მოითხოვენ მონოლიტობას, სიმტკიცეს, ერთსულოვან ბრძოლას პარტიულ ხაზიდან გადახრის წინააღმდეგ. ლენინის პარტია მით უფრო წარმატებით და უკეთ გადაჭრის ამ ამოცანას, რაც უფრო სწორად და ენერგიულად მოჰკიდებს ხელს თავისი პროლეტარული კადრების, თავისი ლენინური რიგების განმტკიცებას.

„პრავდა“, 16 დეკემბერი.

## გერმანიის პრესა ერთა ლიგის სესიის შედეგების შესახებ

### პრესა ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ სესიას არავითარი რეალური შედეგი არ მოყოლია

### ანტი-იაპონური დემონსტრაციები ჩინეთში.—ნანკინში დემონსტრანტებმა დაარბიეს ვან-ჩჟენ-ტინის ბინა

## ერთა ლიგის სესიის შემდეგ

### ლუგანოში მოლაპარაკების შედეგები

**ლუგანო**, 16 დეკემბერი. ჩემბერლენის, ბრიანის და შტრეზემანის მესამე თათბირის შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა კომუნიკე მოლაპარაკების შედეგების შესახებ.

„მოლაპარაკებამ დაამტკიცა,—ნათქვამია კომუნიკეში, —რომ შერიგებისა და დაახლოვების პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებს სამი სახელმწიფო, ყველაზე მეტად შეეფერება მშვიდობიანობის უზრუნველყოფის ინტერესებს. ჩვენ ერთგულნი ვრჩებით ამ პოლიტიკისა და ამ ნიადაგზე განვაგრძობთ იმ მოლაპარაკებას, რომელიც, ექვსი სახელმწიფოს შეთანხმების მიხედვით, დაიწყო ამა წლის სექტემბერში ჟენევაში“ (ადს).

### გერმანული პრესა სესიის შედეგების შესახებ

**ბერლინი**, 16 დეკემბერი. ყველა გაზეთები მოწინავე წერილებში კომენტარიებს უკეთებენ ერთა ლიგის საბჭოს უკანასკნელი სესიის შედეგებს. გაზეთები ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ მოლაპარაკებას არაფერი მოულოდნელი რამ არ მოჰყოლია არც კარგის, არც ცუდის მხრივ და არ გამოუწვევია არსებითი ცვლილებანი მონაწილეთა შეხედულებაში.

ნაციონალისტური პრესა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ გერმანია არ დასთანხმდა ახალ მსხვერპლზე.

ჰუგენბერგის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ლუგანოში მომხდარმა მოლაპარაკებამ რეპარაციებისა და რეინის ოლქის კონტროლის საკითხების შესახებ გამოაშკარავა გადაულახავი წინააღმდეგობანი და უშედეგოდ დამთავრდა.

ამ გაზეთების აზრით, გერმანიამ, რომელმაც „არა“ სთქვა ლუგანოში, ეს „არა“ უნდა იმეოროს 1935 წლამდე. როცა, თანახმად ვერსალის ხელშეკრულებისა უნდა მოხდეს რეინის ოლქის საბოლოო ევაკუაცია. ევაკუაციის და რეპარაციების შესახებ შემდგომი მოლაპარაკების პერსპექტივებს გერმანული პრესა პესიმისტურად აფასებს.

ყველა გაზეთი კმაყოფილებით აღნიშნავს იმ მკაცრ ტონს, რომლითაც გამსჭვალული იყო შტრეზემანის პასუხი ზალესკისადმი. „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგ“-ი სწერს, რომ „მკაცრი პასუხი პოლონეთის უსირცხვილობაზე“ ამტკიცებს ამ „ახალ დინამიკას“ გერმანიის საგარეო პოლიტიკაში, რომელსაც რეიხსტაგი მოითხოვდა (ადს).

**ბერლინი**, 16 დეკემბერი. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანო „დოიჩე დიპლომატიშ პოლიტიშე კორესპონდენტ“-ი აღნიშნავს, რომ ლუგანოში წარმოებული მოლაპარაკებისაგან რეალურ შედეგებს არ მოველოდით და ასეთი შედეგები არც მივიღეთ. მოლაპარაკების მიზანს შეადგენდა იმ ატმოსფერის გაფანტვა, რომელიც შეიქნა ბრიანისა და ჩემბერლენის საპარლამენტო სიტყვების წყალობით. ეს მიზანი მიღწეულია და, ამნაირად, თვალსაზრისთა შესათანხმებლად ბაზა შექმნილია.

**ბერლინი**, 16 დეკემბერი. პოლიტიკურ წრეებში დიდის ყურადღებით ადევნებენ თვალყურს იტალიის დელეგატების (ლუგანოში) გრანდისა და შალოიას. მოლაპარაკებას ჩემბერლენთან და ბრიანთან.

გაზეთი „გერმანია“ სწერს:

„ძნელია გამონახვა სხვა ისეთი ფაქტებისა, რომელნიც უფრო ნათლად ააშკარავებდნენ გერმანიის იზოლაციას და უფრო ცხადათ გვიჩვენებდნენ, თუ რამდენად უმნიშვნელო ფაქტორს წარმოადგენს ამჟამად გერმანია ევროპის ამ საერთო კომბინაციაში. გერმანიის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელებმა ამა თუ იმ სახით აქტიური პოზიცია უნდა დაიჭირონ ამ განვითარების მიმართ, უპირველესად ყოვლისა იმდენად, რამდენადაც იგი ეხება მდგომარეობას ბალკანეთზე“ (ადს).

### ლუგანოს ირგვლივ

**ლუგანო**, 16 დეკემბერი. როგორც ეტყობა, სამი მინისტრის მოლაპარაკების ერთად ერთ შედეგს წარმოადგენს ის რომ საფრანგეთი პრინციპიალურად თანახმაა დაიწყოს მოლაპარაკება რეინის ოლქის ევაკუაციის შესახებ და შემთანხმებელი კომისიის შექმნის შესახებ არა მას შემდეგ, როცა ექსპერტთა კომისია დაამთავრებს მუშაობას რეპარაციების საკითხის შესახებ, არამედ ამ მუშაობასთან პარალელურად. განზრახულია მოლაპარაკება დაიწყოს მაშინ, როდესაც გამოირკვევა სარეპარაციო მოლაპარაკებათა მსვლელობა.

საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ ამ საკითხის შესახებ მოლაპარაკება განაახლონ იანვარში ჩვეულებრივი დიპლომატიურ გზით. პოლიტიკურ წრეებში, აღნიშნავენ. რომ ინგლის-იტალიის ის დაახლოვება, რომელიც ლუგანოში დაიწყო, დააბოლავებს გერმანიის იზოლაციას (ადს).

### პოლონეთ-ლიტვის დავის გამო

**კოვნო**, 16 დეკემბერი. ლიტვის სააგენტო „ელტა“ აქვეყნებს ლუგანოდან სპეციალური კორესპონდენტის ცნობას:

„იმ რეზოლუციით, რომელიც ერთა ლიგამ პოლონეთ-ლიტვის საკითხის გამო მიიღო. ექსპერტთა კომისიის დანიშვნის პროექტი ჩაიშალა. პოლონელების ბოროტმა განზრახვამ მარცხი განიცადა“.

პოლონეთ-ლიტვის საკითხის განხილვის შედეგებს ლიგის კულუარებში ვოლდემარასის გამარჯვებად სთვლიან (ადს).

## იაპონია და ჩინეთი

**შანხაი**, 16 დეკემბერი. ყველგან ძლიერდება მოძრაობა იაპონიის წინააღმდეგ. მაგალითად, ხანკოუში გაიმართა დემონსტრაცია, რომელშიაც ათი ათასი კაცი იღებდა მონაწილეობას და რომელმაც იაპონიის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის ლოზუნგით ჩაიარა. დემონსტრანტები მოითხოვდნენ ნისიხარას სესხის გადახდაზე უარის თქმას და იმას, რომ იაპონიას არაფერი დაეთმოს (ადს).

**შანხაი**, 16 დეკემბერი. ნანკინში გაიმართა დიდი დემონსტრაცია, რომელშიაც 10.000 კაცზე მეტმა მიიღო მონაწილეობა. დემონსტრანტები გაემართნენ საგარეო საქმეთა მინისტრის ვან ჩჟენ-ტინის რეზიდენციისაკენ (ვან ჩჟენ-ტინი ამჟამად შანხაიშია). დემონსტრანტების ნაწილი სადგომში შეიჭრა და ამოკლო ვან ჩჟენ-ტინის ბინის მოწყობილობა. ამის შემდეგ დემონსტრაცია გომინდანის აღმასრულებელი კომიტეტის შენობისაკენ გაემართა. ხალხში ისმოდა: „გააძევეთ ტოკონამი“ (იაპონური პარტიის სინტო კურაბუს ბელადი, რომელიც ნანკინში მოვიდა ჩინეთში შექმნილი მდგომარეობის გასაცნობად), „მოგვაშორეთ ვან ჩჟე-ტინი“, „ძირს უღირსი დიპლომატია“. დემონსტრანტებში ავრცელებდენ ფურცლებს შემდეგი მოთხოვნებით: „გამოსცვალეთ დღევანდელი მთავრობა“, „ნუ გადაიხდით ნისიხარას სესხს“, „გამოაცხადეთ ომი ჩჟან ჩუე-ლიანის წინააღმდეგ“, „შემოიღეთ სატარიფო ავტონომია“, „გამოაქვეყნეთ ყველა დიპლომატიური დოკუმენტი“.

ჩან კაი-ში შეეცადა დემონსტრანტების დამშვიდებას, მაგრამ უშედეგოდ. ჩან კაი-შის მიერ გამოწვეულმა ჯარისა და ჟანდარმერიის ნაწილებმა დემონსტრაციას სროლა აუტეხეს და 200-ზე მეტი მონაწილე დააპატიმრეს. ამის შემდეგ, ჩან კაი-შის ბრძანებით, აღმასკომის შენობაში შეუშვეს ათამდე დემონსტრანტი, რომელთაც ჩან კაი-შიმ განუცხადა, რომ მას „დაუშვებლად მიაჩნია იმპერიალიზმთან ბრძოლის ასეთი საშუალებები და რომ იმპერიალიზმთან ბრძოლა მხოლოდ და მხოლოდ კანონიერის გზით უნდა სწარმოებდეს“-ო.

დასასრულ, ჩან კაი-შიმ აღუთქვა დემონსტრანტებს, რომ სამი წლის განმავლობაში უცხოეთის ყველა ჯარი გადაყვანილი და ყველა უთანასწორო ხელშეკრულება გაუქმებული იქნება.

მიღებულია ზომები იაპონიის საკონსულოსა და ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობების დასაცავად (ადს).

### არავითარი მოლაპარაკება იაპონელთა ჯარის ევაკუაციამდე

**პეკინი**, 16 დეკემბერი. გაიმართა მასიური მიტინგი, რომელიც მოიწვია იაპონელების წინააღმდეგ ბოიკოტის მომწყობმა საზოგადოებამ. მიტინგმა, რომელშიაც 2.500 კაცზე მეტი მონაწილეობდა, მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს არა თანასწორ ხელშეკრულებათა გაუქმებას და ნანკინის საგარეო საქმეთა და ფინანსთა მინისტრების გადაყენებას გაუბედავი პოზიციისთვის იაპონიის მიმართ. რეზოლუცია მოითხოვს, რომ მთავრობამ არ განაახლოს მოლაპარაკება იაპონიასთან იმ დრომდე, სანამ შანდუნიდან გაყვანილი არ იქნება იაპონიის ჯარი.

მიტინგზე აღმოჩნდა იაპონიის ჟანდარმი, რომელსაც სამოქალაქო ტანისამოსი ეცვა. საკმაოდ ნაცემი, იგი იაპონიის ჟანდარმერიის ადგილობრივ განყოფილებაში გაგზავნეს.

## გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური მოლაპარაკების გამო

**მოსკოვი**, 17 დეკემბერი. 15 დეკემბერს საღამოთი მოხდა საბჭოთა კავშირის და გერმანიის დელეგაციების პლენარული სხდომა. სხდომის მიზანს შეადგენდა — ქვე-კომისიებში დამუშავებული საკითხების საბოლოოდ ჩამოყალიბება. როგორც გადმოგვცემენ, კონფერენციის მუშაობა ისეთის ტემპით მიმდინარეობს, რომ მოლაპარაკება, ალბად, სულ ახლო ხანში დასრულდება. (ადს).

## ბუტბის სიტყვის კომენტარიები

**ლონდონი**, 16 დეკემბერი. „მანჩესტერ გარდიენ“-ი კომენტარიებს უკეთებს ბუტბის სიტყვას და სწერს:

„ეს სიტყვა ადასტურებს იმ ხმებს, რომ საკითხი რუსეთთან ვაჭრობის აღდგენის შესახებ ამას წინად შეადგენდა მთავრობის წევრების მსჯელობის საგანს“.

შემდეგ „მანჩესტერ გარდიენ“-ი ეხება ბუტბის განცხადებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობამ უნდა გადასდგას პირველი ნაბიჯი და სწერს:

„ასეთს შედეგებს უნდა მიესალმოთ, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ მილიონ უმუშევრებს ჩვენში, შეგვიძლია თუ არა მოვითხოვოთ, რომ ამ უბრალო ფორმალობისათვის ხელსაყრელი ვაჭრობა ჩაიფუშოს“ (ადს).

## გერმანიის კომპარტიის ცკას დადგენილება

### მემარჯვენე ლიდერების შესახებ

**ბერლინი**, 16 დეკემბერი. გერმანიის კომპარტიის ცკას პლენუმმა ხმების დიდი უმრავლესობით მიიღო დადგენილება მემარჯვენე ფრაქციული ლიდერების შესახებ. თავი შეიკავა შემარიგებელი პოლიტიკის მომხრე 8 კაცმა. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მემარჯვენე ლიკვიდატორული ჯგუფი აშკარათ ეწევა პარტიისათვის საზიანო საქმიანობას, როგორც წერით, ისე ზეპირი ცილისწამებით კომინტერნისა და გერმანიის კომპარტიის მიმართ. ეწევა პროპაგანდას კომინტერნის მე-6 კონგრესისა და პროფინტერნის მე-4 კონგრესის დადგენილებათა წინააღმდეგ, იწვევს დამოუკიდებლათ კრებებსა და კონფერენციებს, ბეჭდავს და ავრცელებს საკუთარ გაზეთებს, საინფორმაციო ბიულეტენებს და პასკვილებს პარტიის წინააღმდეგ, აწოდებს ბურჟუაზიულ პრესას მასალებს, რომლებიც მიმართულია გერმანიის კომპარტიის წინააღმდეგ და სხ.

ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ვალხერს, შრეინერს, კელერს, ფროლიხს, ენდერლეს, ტიტელს, შმიდტს და რებეინს—თვითეულმა ცალ-ცალკე წარმოადგინონ 20 დეკემბრამდე წერილობითი განცხადება, რომ ისინი უყოყმანოთ დაემორჩილებიან პარტიის დისციპლინას, ეთანხმებიან კომინტერნის პროგრამას, სცნობენ მათთვის სავალდებულოთ კომინტერნის მე-6 კონგრესისა და პროფინტერნის მე-4 კონგრესის დადგენილებებს, [illegible] ფრაქციულ მოღვაწეობას და მომავალში თავს შეიკავებენ ყოველგვარი ფრაქციული გამოსვლებისაგან.

თუ დადგენილებაში აღნიშნული პირობები არ იქნება შესრულებული, ან შესრულებული იქნება არადამაკმაყოფილებლად, მაშინ მემარჯვენე ფრაქციონერები გამორიცხულ იქნებიან პარტიიდან. (ადს).

## პოლონეთის კომპარტიის 10 წ. თავი

**მოსკოვი**, 17 დეკემბერი. პოლონეთის კომპარტიის ათი წლის თავის გამო (პარტია დაარსდა 1918 წლის 16 დეკემბერს) კომინტერნის აღმასკომმა მიმართა მას მისალმებით, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„პოლონეთის კომპარტია სდგას საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სადარაჯოზე. პოლონეთი წარმოადგენს ერთერთ იმ ქვეყანას, რომელსაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საერთაშორისო კონტრრევოლუცია, როგორც ავანპოსტს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ფაშისტური და თავად-აზნაურულ-კაპიტალისტური პოლონეთი, რომელსაც აქეზებენ ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტები, გამალებით ემზადება ომისათვის მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის კერის — საბჭოთა კავშირის—წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის მშენებლობის ერთად-ერთი ქვეყნის წინააღმდეგ, რომელსაც შეჰყურებს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი, უღარიბესი გლეხობა და ყველა ჩაგრული ერი და კოლონია. მომავალი ომისათვის ზურგის გამაგრებისა და გაწმენდის მიზნით პოლონეთის ფაშიზმი გააფთრებით ახრჩობს და სდევნის მუშათა და გლეხთა რევოლუციონურ და ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობას. მას ეხმარებიან პოლონეთის კაპიტალიზმისა და ფაშიზმის ერთგული ქოფაკები — პოლონეთის სოციალისტური პარტია და შემთანხმებელთა სხვა პარტიები.

კომინტერნის აღმასკომს ეჭვი არ შესდის, რომ პოლონეთის კომპარტიას, რომელიც გამოიბრძმედა ბრძოლებში და ათი წლის არალეგალურ მუშაობაში, ომი მოულოდნელად ვერ მოუსწრებს, ის უკან არ დაიხევს საშინელი ფაშისტური ტერორის წინაშე და ენერგიულად განაგრძობს ბრძოლას ომის წინააღმდეგ“. (ადს).

## აჯანყება ავღანისტანში

### ზომები აჯანყების ლიკვიდაციისთვის

**ქაბული**, 16 დეკემბერი. შინვარის ტომის აჯანყება ჯალალაბადის პროვინციაში (აჯანყება წარმოიშვა ამანულას რეფორმებით უკმაყოფილების ნიადაგზე ნოემბრის შუა რიცხვებში), ამჟამად ლიკვიდაციის წინაშე სდგას. ერთხანად აჯანყებულებმა მოახერხეს ჯალალაბადის პროვინციის ნაწილის ხელში ჩაგდება. თვით ქალაქ ჯალალაბადს მათ ალყა შემოარტყეს, მაგრამ გარნიზონმა წინააღმდეგობა გაუწია და ქალაქი ვერ აიღეს. ქაბულსა და ჯალალაბადს შორის მიმოსვლა შეწყვეტილია. ამჟამად ჯალალაბადს მახლობლად მთავრობისა და აჯანყებულთა წარმომადგენლებს შორის სწარმოებს მოლაპარაკება. როგორც ეტყობა, აჯანყების მარცხის გამო, აჯანყებულები მზად არიან იარაღი დაჰყარონ.

მთავრობის წრეებს ქაბულში სასურველად მიაჩნიათ ლიკვიდაციის მიღწევა მშვიდობიანობის გზით, რადგან, ამ წრეების აზრით, აჯანყებულები წარმოადგენენ „უცხოეთის გავლენის“ მსხვერპლს, ეს გავლენა კი გარედან მომდინარეობს“.

მაგრამ იმ შემთხვევისათვის, თუ მოლაპარაკებას დადებითი შედეგები არ მოჰყვა და თუ აჯანყებული გაჯიუტდნენ მთავრობა წინასწარ ემზადება, რომ ენერგიული ზომებით აჯანყება სწრაფად ჩააქროს. ქაბულში თავს უყრიან ჯარის ნაწილებს ფრონტზე გასაგზავნად. გამოცხადებულია მოსახლეობის მობილიზაცია, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს. ქაბულში მოდიან სხვადასხვა ტომის მოხალისენი. მთავრობის მდგომარეობა სავსებით მტკიცეა. ყველა დანარჩენი ელემენტები მხარს უჭერენ ამანულასა და მის მთავრობას რეაქციასთან ბრძოლაში, რომელიც ფანატიური ბნელი ტომების ხელით, გარეშე ძალებზე დაყრდნობით, სცდილობს ჩაშალოს რეფორმები და ქვეყნის აღორძინებისაკენ მიმართული მუშაობა (ადს).

## ჯვარი-მესტიას გზა

**მოსკოვი**, 17 დეკემბერი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ საჭიროდ სცნო ჯვარი-მესტიას გზატკეცილის (ეს გზა სვანეთს აერთებს საქართველოს სხვა ადგილებთან) საჩქაროდ გაყვანა. შრომისა და თავდაცვის საბჭომ ამ მიზნით ამ.-კავკ. ს.ფ.ს.რ. მთავრობის საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს სარეზერვო ფონდიდან მისცა 350.000 მან. (ადს).

პორტეს ხილი
მექსიკის პრეზიდენტი, რომლის წინააღმდეგ კამპანია დაიწყეს მექსიკის რეფორმისტებმა.

## საკავშირო ცაკის მეოთხე სესია

### უკანასკნელი სხდომა

**მოსკოვი**, 17 დეკემბერი. საკავშირო ცაკის სესიის უკანასკნელი სხდომა გაიხსნა 15 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე. საბოლოო სიტყვით მიწადმოწყობისა და მიწადსარგებლობის ზოგადი პრინციპების მოხსენების გამო გამოვიდა ამხ. **მილიუტინი**. იგი შეეხო აგრეთვე იმ კომისიის მუშაობას, რომელმაც განიხილა სათანადო კანონის პროექტი. ამხ. მილიუტინმა აღნიშნა, რომ კომისიაში, ისევე, როგორც კამათის დროს, კანონის პროექტის წინააღმდეგ პრინციპიალურად არაფერი თქმულა. კამათის დროს და კომისიაში შეტანილ შესწორებებს და შენიშვნებს აზრად ჰქონდათ უმთავრესად პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა უფრო სწორად ჩამოყალიბება და შევსება.

ამხ. მილიუტინმა გააცნო სესიას ის შესწორებები და დამატებები, რომლებიც შეიტანა კომისიამ კანონის პროექტში. სესიამ კენჭის ყრის დროს (საკავშირო საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოში კენჭის ყრა ცალ-ცალკე მოხდა) კანონი მიწადმოწყობისა და მიწადსარგებლობის შესახებ ერთხმად იქნა მიღებული კომისიის რედაქციით.

სიტყვა მოხსენებისათვის მიეცა ამხ. **კალინინს**. მისი სიტყვა შეეხებოდა იმ კომისიის მუშაობას, რომელმაც განიხილა კანონი მოსავლიანობის გადიდების შესახებ.

ამხ. კალინინმა აღნიშნა, რომ კანონის პროექტში კომისიას არც ერთი პრინციპიალური შესწორებები და დამატებები, სესიამ ერთხმად სისწორით ჩამოაყალიბა სხვადასხვა დებულება. ამხ. კალინინმა მუხლობრივ ჩამოთვალა კანონის პროექტში კომისიის მიერ შეტანილი შესწორებები და დამატებები. სესიამ ერთხმად მიიღო ახალი კანონი მოსავლიანობის გადიდების შესახებ.

სიტყვა მოხსენებისათვის იმ კომისიის მუშაობის შესახებ, რომელმაც განიხილა ცაკის პრეზიდიუმის მიერ სესიიდან სესიამდე მიღებული დადგენილებანი, მიეცა ამხ. **პორაიკოს**. ამხ. პორაიკო შეჩერდა იმ მნიშვნელოვან დადგენილებებზე, რომელნიც მიღებულ იქნენ სესიიდან სესიამდე და ანალიზი გაუკეთა ამ დადგენილებების შინაარსსა და მნიშვნელობას. დადგენილებებში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია შრომის სახალხო კომისარიატის დებულება. ამხ. პორაიკო შეჩერდა აგრეთვე იმ დადგენილებაზე, რომელიც შეეხება საავტორო უფლების საფუძვლებს. მან აღნიშნა, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირის ცაკს განსახილველად წარედგინოს საკითხი ისეთი კოდექსის გამოცემის შესახებ, რომელშიაც მოთავსებული იქნება ჩვენი კანონმდებლობის საფუძვლები. დღემდე ამ საფუძვლებს ვაქვეყნებდით ცალკე კანონების სახით. უნდა გადაიჭრას აგრეთვე საკითხი კანონების ენის შესახებ. კანონის ენა გასაგები უნდა იყოს მუშებისა და გლეხებისათვის.

პალატებში ცალ-ცალკე კენჭის ყრით სესიამ დაამტკიცა მომხსენებლის მიერ შეტანილი რედაქციით ის კანონები, რომლებიც მიღებულ იქნენ სესიიდან სესიამდე. სესიამ დაადგინა, გადასცეს ცაკის პრეზიდიუმს განსახილველად ამხ. პორაიკოს მიერ შეტანილი წინადადებები.

საბიუჯეტო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. **ლიუბიმოვმა**.

საბიუჯეტო კომისიას არავითარი ცვლილება არ შეუტანია სესიის მიერ განხილულ დადგენილების იმ პროექტში, რომელიც 1928—29 წლის მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტს შეეხება.

ამხ. ლიუბიმოვმა წინადადება შეიტანა დამტკიცებულ იქნას ბიუჯეტი იმ სახით, რა სახითაც იგი საბიუჯეტო კომისიამ წარადგინა.

ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ სიტყვა მიეცა ამხ. **აიტაკოვს**, რომელმაც სესიას მოახსენა კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი დადგენილებისა უზბეკისტანის რესპუბლიკის მთავრობის მოხსენების გამო. ამ დადგენილებაში აღნიშნულია უზბეკისტანის მთავრობის მიღწევები უზბეკისტანის ეკონომიური, კულტურული და ნაციონალური მშენებლობის დარგში. საკავშირო საბჭოში და ეროვნებათა საბჭოში ცალ-ცალკე კენჭის ყრით სესიამ ერთხმად მიიღო ამხ. აიტაკოვის მიერ წარდგენილი დადგენილება.

სესიის დახურვის წინ თავმჯდომარემ ამხ. ჩერვიაკოვმა სესიის წევრებს მიმართა სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა, რომ სესიის მუშაობამ დააინტერესა არა მარტო საბჭოთა კავშირის მოქალაქეები, არამედ მთელი მსოფლიო (ადს).

## პროფკავშირების საკავშირო ყრილობა

### ამხ. ლოზოვსკის მოხსენება

**მოსკოვი**, 17 დეკემბერი. 15 დეკემბერს პროფკავშირთა საბჭოს საკავშირო ყრილობის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ანგარიში საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაციისა პროფინტერნში. საანგარიშო მოხსენების დასაწყისში ამხ. ლოზოვსკიმ დაახასიათა მუშათა საერთაშორისო მოძრაობა წარსული ორი წლის განმავლობაში, პროფკავშირთა მე-7 ყრილობის შემდეგ.

„იმის გასაგებად, თუ რა ხდება კაპიტალისტურ ქვეყნების მუშათა მოძრაობაში,—სთქვა ამხ. ლოზოვსკიმ,—საჭიროა მხედველობაში მივიღოთ კაპიტალისტური მსოფლიოს საერთო მდგომარეობა. ამ მდგომარეობას ახასიათებს სწრაფი და შეუწყვეტელი მზადება ომისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სამხედრო ტეხნიკის უდიდესი განვითარება და ხალხის ჟლეტისათვის ახალი მეთოდების და საშუალებების გამოძებნას.

საბჭოთა კავშირის გარემოცვისათვის მზადებასთან ერთად, სწარმოებს კაპიტალის შეტევა საკუთარი ქვეყნების მუშათა კლასზე. ამ შეტევაში მუშათა კლასის წინააღმდეგ უშუალო მონაწილეობას იღებენ სოციალ-დემოკრატია და რეფორმიზმი. პროფკავშირთა ის ორგანიზაციები, რომლებიც ათი წლობით იქმნებოდნენ, როგორც მუშათა კლასის ინტერესების უშუალო დამცველი ორგანოები, ეხლა ხშირად წარმოადგენენ ბურჟუაზიის იმ ექსპლოატატორული აპარატის შემადგენელ ნაწილს, რომელიც ახრჩობს მუშათა კლასს. რეფორმისტული პროფკავშირები მეტ წილად [illegible] უცხადებენ და აბრკოლებენ ეკონომიურ ბრძოლას, რომელსაც მუშათა კლასი აწარმოებს კაპიტალისტურ ქვეყნებში. მუშათა კლასი ეხლა უნდა ებრძოლოს რეფორმისტების ნება-სურვილსა და დადგენილებებს“.

ამხ. ლოზოვსკიმ აღნიშნა, რომ „ამ ორი წლის განმავლობაში მოხდა მრავალი უდიდესი პოლიტიკური მოვლენა (ჩინეთი, ინდოეთი, გაფიცვა ავსტრიაში, პოლონეთში, გერმანიაში და საფრანგეთში). ეს ნიშნავს რევოლუციონური ბრძოლის ახალი პერიოდის დაწყებას მსოფლიო მუშათა კლასის მოძრაობაში. ყოველივე ეს ახალი მკაცრი კლასობრივი ბრძოლის სიმპტომია“.

ამხ. ლოზოვსკიმ აღნიშნა, რომ ბოლო დროის ამბებმა სავსებით დაადასტურეს ის ანალიზის სისწორე, რომელიც მოგვცა პროფინტერნის მე-4 კონგრესმა და კომინტერნის მე-6 კონგრესმა. ამ კონგრესებმა დასახეს ბრძოლის შემდეგი ახალი ფორმები და მეთოდები: „რევოლუციონურმა პროფმოძრაობამ უნდა გააძლიეროს ბრძოლა საერთაშორისო რეფორმიზმის წინააღმდეგ, უნდა იბრძოლოს ეკონომიური ბრძოლის დამოუკიდებელი ხელმძღვანელობისათვის. რევოლუციონურმა პროფმოძრაობამ ბრძოლა უნდა გამოუცხადოს სავალდებულო არბიტრაჟს, უდიდესი ენერგიით უნდა იმუშაოს პროფინტერნის მომხრე ორგანიზაციების განსამტკიცებლად.

ჩვენს მეტად მნიშვნელოვან წარმატებებს წარმოადგენენ: წყნარ-ოკეანეს პროფკავშირთა სამდივნოს მოწყობა საბჭოთა პროფკავშირების აქტიური მონაწილეობით, ლათინური ამერიკის პროფკავშირების კონფედერაციის შექმნა და ზანგი მუშების საერთაშორისო კომიტეტის დაარსება. ამ ფაქტებმა, რომლებიც მოწმობენ ჩვენი გავლენის გაფართოვებას ევროპის ფარგლებს გარეთ, საგრძნობლად გაამწვავა ჩვენი ურთიერთობა ამსტერდამის ინტერნაციონალთან. მაგრამ ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ პროფინტერნის ხაზი სწორია“.

შემდეგ ამხ. ლოზოვსკი შეეხო მემარჯვენე საფრთხეს პროფინტერნის რიგებში. მან აღნიშნა, რომ მემარჯვენეებს პროფინტერნში ყველაზე უფრო შეეშინდათ ბრძოლის ახალი ფორმებისა და მეთოდების და დამოუკიდებელი ეკონომიური ბრძოლის გეზისა.

ამხ. ლოზოვსკიმ განაცხადა, რომ მემარჯვენეთა პოზიცია გამსჭვალულია სოციალ-დემოკრატიული ჩამორჩენილობით და წარმოადგენს ანტიკლასობრივ, არაკომუნისტურ მიმდინარეობას. რევოლუციონური პროფმოძრაობა კი სცდილობს დაამყაროს მთლიანი ფრონტი ყველა მუშასთან და პროფკავშირთან, მაგრამ კლასობრივი ბრძოლის და არა კაპიტალისტების ნიადაგზე. ვისაც ეს არ ესმის, უნდა ჩამოშორდეს რევოლუციონურ გზას.

„ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი სუსტი მხარე გვაქვს, ბევრი შეცდომა მოგვდის,—სთქვა დასასრულ ამხ. ლოზოვსკიმ,—მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორი წლის განმავლობაში მივაღწიეთ უეჭველ წარმატებებს, რადგან ყოველთვის გადაუხრელად ვატარებდით სწორ კომუნისტურ ხაზს, რომელიც ლენინმა დასახა ჯერ კიდევ პროფინტერნის დაარსების დროს“.

### კამათი ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გამო

ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გამო პირველად გამოვიდა ინგლისის პროფკავშირთა მემარცხენე უმცირესობის თავმჯდომარე ამხ. **კოლიტი**.

მან აღნიშნა, რომ ინგლისში ამჟამად ყველაზე ცუდ პირობებში არიან მემაღაროები. მათი ცხოვრების პირობები, სილატაკე და სიმშილი პირდაპირ აუწერელია. ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფება აგრეთვე მთელი მუშათა კლასი ინგლისში. ინგლისის მუშების ხელფასი 1928 წელს, სამრეწველო ტეხნიკის განვითარებისა და კაპიტალისტური რაციონალიზაციის შემდეგ, უფრო ნაკლებია, ვიდრე 28 წლის წინად იყო.

15 დეკემბრის სხდომაზე შრომის უნიტარული ფედერაციის სახელით გამოვიდა **მონმუსო**, რომელმაც დაახასიათა საფრანგეთის მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობა.

მონმუსომ განაცხადა, რომ საფრანგეთის მუშები მზად არიან ყოველ წუთში გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის დასაცავად იმპერიალისტების თავდასხმისაგან.

აუერმა ილაპარაკა მთლიანობის გერმანული კომიტეტის სახელით, იგი თავის სიტყვაში შეეხო [illegible] ბრძოლის გაკვეთილებს გერმანიაში.

შემდეგ გამოვიდა წყნარ-ოკეანეს პროფკავშირთა სამდივნოს გენერალური მდივანი **ბროუდერი**, რომელმაც აღნიშნა, რომ სამდივნო იბრძვის ტერორის უძნელეს პირობებში. წყნარ-ოკეანეს პროფკავშირებს იმედი აქვთ, რომ მათ დაეხმარებიან საბჭოთა კავშირის პროფკავშირები. წყნარ-ოკეანეს პროფკავშირები თითონაც [illegible] ძალებს, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ მსოფლიოში პირველ მუშურ-გლეხურ რესპუბლიკაზე თავდასხმას.

საღამოს სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გამო.

## მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

### 4.300.000 მანეთი ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობისათვის

**მოსკოვი**, 17 დეკემბერი საკავშირო საგეგმო კომისიამ საბოლოოდ შეიმუშავა ამიერ-კავკასიისა და შუა-აზიის საირიგაციო მუშაობის გეგმა და წარადგინა იგი საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოში და შრომისა და თავდაცვის საბჭოში.

საკავშირო საგეგმო კომისიის გეგმა მიზნად ისახავს ახალ მოსარწყავ მიწის სივრცეების მაქსიმალურად გადიდებას. საერთო ჯამით მიმდინარე წელს ამიერ-კავკასიისა და შუა-აზიის წყალთა მეურნეობის სამუშაოებზე გადადებულია თერთმეტი მილიონი მანეთი. ამ თანხაში შედის ამიერ-კავკასიის ბიუჯეტით გათვალისწინებული 2.600.000 მანეთი. მოსარწყავ მოედნების სივრცე უნდა გადიდებულ იქნას 41.500 ჰექტარით. ამათ რიცხვში მარტო ბამბის ნათესებით დაკავებული მოედნები უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 10.500 ჰექტარისა.

მუშაობა აღნიშნული მოედნების მოსარწყავად უნდა სწარმოებდეს იმ ანგარიშით, რომ ის დასრულებულ იქნეს 1929 წლისათვის.

გარდა ამისა კერძოდ აზერბეიჯანში უნდა გადიდებულ იქნას ბამბის ნათესები 8.000 ჰექტარით, რისთვისაც სარეზერვო ფონდიდან სპეციალურად გადადებული იქნება 1.700.000 მანეთი. ამრიგად წყალთა მეურნეობის საჭიროებისათვის მთელ ამიერ-კავკასიაში გადადებული იქნება საერთო ჯამით 4.300.000 მანეთი.

### მეთამბაქოეების თათბირი

**მოსკოვი**, 17 დეკემბერი. მომავალ 1929 წლის იანვარში ქ. კრასნოდარში მოწვეულ იქნება მეთამბაქოეების სრულიად საკავშირო თათბირი. თათბირი განიხილავს საკითხს ყვითელი თამბაქოს მოშენების შესახებ.

### კინო ლენტის მასალის დამზადება საბჭოთა კავშირში

**მოსკოვი**, 17 დეკემბერი. საკავშირო ქიმიური ტრესტის თავმჯდომარემ ამხ. ცაგარელმა თქვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ საბჭოთა ქიმიურ ტრესტმა საფრანგეთის საზოგადოება „ლ,იუმიერ“-თან ხელშეკრულება დასდო ურთიერთ ტეხნიკურ დახმარების შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად საზოგადოება „ლ,იუმიერ“-მა უნდა მოაწყოს საბჭოთა კავშირში კინო ლენტის მასალის („კინოპლიონკა“) წარმოება.

# ღამის ცნობები

### გერმანიის კომპარტიის ცეკას პლენუმი

ბერლინი, 16 დეკემბერი. გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო რეზოლუცია რურის ოლქში მიღებული გაკვეთილების გარშემო. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ რკინის მრეწველობის მუშების ბრძოლაში პარტიის პოლიტიკური ხაზი საერთოდ სწორად იყო გატარებული. პარტიის სწორმა ტაქტიკამ გერმანიის კომპარტიას და რევოლუციონურ უმცირესობის პროფკავშირებს სახელი განუმტკიცა და გაამაგრამ მათი პოზიციები რეინ-ვესტფალიის სამრეწველო რაიონში.

რკინის მრეწველობაში ჩაბმულ მუშების ბრძოლის განვითარება სავსებით და მთლიანად ადასტურებს პროფინტერნის მე-4 კონგრესის და კომინტერნის მე-6 მსოფლიო კონგრესის დადგენილებათა სისწორეს და მათი ცხოვრებაში გატარების აუცილებლობას. მემარჯვენეთა აშკარა წინააღმდეგობა და შემარიგებელთა გულგრილობა ხელს უშლიდა პარტიის აქტივობის განვითარებას და მასების, განსაკუთრებით სოც.-დემოკრატიული მუშების მობილიზაციას (ადს).

### თურქეთ - საბჭოთა მეგობრობა მტკიცდება

სტამბოლი, 16 დეკემბერი. გაზეთებს მოჰყავთ ციტატები იმ მოხსენებიდან, რომელიც ამხ. ლიტვინოვმა საბჭოთა კავშირის ცაკის სესიაზე გააკეთა. გაზეთები ციტატებს ასეთ სათაურს უკეთებენ: თურქეთ-საბჭოთა მეგობრობა დღითი-დღე მაგრდება. (ადს).

### კომუნისტების გამარჯვება მუნიციპალურ არჩევნებში

პარიზი, 17 დეკემბერი. ბანიონში (პარიზის განაპირა რაიონია) მომხდარ მუნიციპალურ არჩევნებში პირველი ადგილი დაიკავა მუშათა და გლეხთა ბლოკის სიამ (კომუნისტურია), რომელმაც მიიღო 1700 ხმა. რესპუბლიკური კონცენტრაციის სიამ მიიღო 845 ხმა, რესპუბლიკანელ სოციალისტთა სიამ 460 ხმა და სოციალისტების სიამ 815 ხმა.

არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ გაიმართა მუშათა დიდი დემონსტრაცია.

### ინგლისთან კონფლიქტის მოლოდინში

ნიუ-იორკი, 17 დეკემბერი. „ამერიკული ლეგიონის" (ომის ყოფილ მონაწილეთა რეაქციონური ორგანიზაციაა) მეთაური მაკ-ნეტი გამოვიდა სიტყვით, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ საჭიროა ამერიკის ფლოტის გაძლიერება იმ შემთხვევისათვის, თუ ინგლისთან ამერიკას კონფლიქტი მოუხდა. მაკ-ნეტმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „ინგლისმა დაარღვია ვაშინგტონის კონფერენციის დადგენილება და დიპლომატიური მანევრების წყალობით შესძლო ჩრდ.-ამერიკის შ. შტატების პოზიციის შესუსტება".

შემდეგ მაკ-ნეტმა აღნიშნა, რომ ამერიკის საზღვაო ძალების განვითარება აუცილებელია იმიტომ, რომ „უახლოესი ომის დროს სავაჭრო ხაზების ნაოსნობა არ ჩავარდეს მარტო ინგლისის ფლოტის კონტროლის ქვეშ".

უკანასკნელ ხანებში ამერიკის ფლოტის გაძლიერების მომხრეები ფართო აგიტაციას ეწევიან შეერთებულ შტატებში. ასეთი აგიტაციის დროს ბევრი ორატორი გამოდის ინგლისის საწინააღმდეგო სიტყვებით (ადს).

### მაკდონალდი მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის ცნობას

ლონდონი, 16 დეკემბერი. ლონდონის ერთ-ერთ კლუბში მაკდონალდმა განაცხადა:

„მთავრობის ყველაზე უფრო ჩლუნგმა და ჯიუტმა წევრებმაც კი უნდა გაიგონ, რომ შეუძლებელია გაგრძელდეს ეხლანდელი დამოკიდებულება რუსეთთან. რაც უფრო ადრე ვიცნობთ დიპლომატიურად რუსეთს, მით უკეთესია" (ადს).

### ომი ბოლივიასა და პარაგვაის შორის

ნიუ-იორკი, 17 დეკემბერი. პარაგვაის ჯარებმა დაიკავეს ბოლივიის საზღვარზე აგებული ერთ-ერთი ფორტი. ამის საპასუხოდ ბოლივიის ჯარებმა ხელთ ჩაიგდეს პარაგვაის ფორტი.

ხმებია, რომ საზღვრებზე ორივე ქვეყნის ჯარებს შორის ადგილი აქვს სისხლისმღვრელ შეტაკებებს (ადს).

### რუმინეთის ახალი პარლამენტის შემადგენლობა

ვენა, 16 დეკემბერი. რუმინეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობებით, რუმინეთის ახალი პარლამენტის შემადგენლობა ასეთია: მთავრობის ბლოკი—350 მანდატი, ლიბერალები—13, ლუპუს პარტიები—5, ავერესკუს მომხრეთა ბლოკი—5, უნგრეთის პარტია—18 მანდატი (ადს).

### ძველი ბოლშევიკის ჩიკარევის გარდაცვალება

ბაქო, 17 დეკემბერი. ორი თვის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ბაქოელი ბოლშევიკი, აზნავთის დამხმარე საწარმოთა დირექტორი ჩიკარევი (ადს).

### ესტონეთის მთავრობის დეკლარაცია

რეველი, 16 დეკემბერი. სახელმწიფო კრების სხდომაზე ახალმა პრემიერმა სოციალ დემოკრატმა რეიმ წაიკითხა მთავრობის დეკლარაცია. დეკლარაციის ბოლო ეხება საგარეო პოლიტიკას. იმ ნაწილში, რომელიც საბჭოთა კავშირს ეხება, დეკლარაციაში ნათქვამია:

„მთავრობას მეტად მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნია საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლური დამოკიდებულების შენარჩუნება. საჭიროა ესტონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ეკონომიური ურთიერთობის მოგვარება, რაშიაც დაინტერესებულია ორივე სახელმწიფო" (ადს).

# პარტიაში

## ურყევად გავატარებთ ცეკას ნოემბრის პლენუმის დადგენილებებს

**თბილისის ორგანიზაციის აქტივი იწონებს ცეკას პლენუმის გადაწყვეტილებებს.—ორ ფრონტზე ბრძოლა, განსაკუთრებით კი ბრძოლა აშკარა ოპორტიუნისტულ მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ—ჩვენი ძირითადი ამოცანაა.—გავაძლიეროთ პარტიული მასების ინტერნაციონალური აღზრდა, ფართოდ გავშალოთ თვითკრიტიკა და შინაპარტიული დემოკრატია.—შევასრულოთ პლენუმის გადაწყვეტილება: გავსწმინდოთ პარტიის რიგები გახრწნილ და უცხო ელემენტებისაგან.**

## თბილისის პარტაქტივის კრება

გუშინ, 17 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე მუშათა თეატრში შესდგა თბილისის პარტაქტივის მეორე სხდომა. გაიხსნა კამათი ამხ. ლოლობერიძის მოხსენების გარშემო.

კამათში გამოვიდნენ შემდეგი ამხანაგები: **არეშიძე, ქიბაშვილი, ანდღულაძე, აბრამიშვილი, ჩხენკელი, პროობრაჟენსკი, კუპატაძე, ტალახაძე, ასრიბეგოვი, ლეჟავა და მაღრაძე**, რომლებიც უმთავრესად აღნიშნავდნენ იმას, რომ პარტიის ზოგიერთ წევრებს ახასიათებს მიდრეკილება ფუფუნებისაკენ, საკმაო წინააღმდეგობა არ ეწევა ბიუროკრატიზმს და პროტექციას, რაც მემარჯვენე გადახრის ერთგვარი გამოხატულებაა.

სოფ. კარალეთში მომხდარი ამბავი პარტიის წევრებს ავალებს მეტი სიფხიზლე გამოიჩინონ კულაკური გავლენის წინააღმდეგ. საჭიროა მემარჯვენე გადახრის კონკრეტული ფაქტების დაუზოგველად გამოაშკარავება და პარტიული მასის დარაზმვა ამ გადახრის გამოხატულებათა წინააღმდეგ საბრძოლველად, ამავე დროს ერთი წუთითაც არ უნდა შევასუსტოთ ბრძოლა ტროცკიზმის ნამსხვრევებთან.

თვითკრიტიკა მტკიცედ უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცალკე პარტიულების ყოფა-ცხოვრების საკითხებს. აღმოფხვრილი უნდა იქნეს ის შეხედულება, თითქოს ორგანიზაცია არ უნდა ერეოდეს თავის წევრთა პირად ცხოვრებაში, რადგანაც უპარტიო მასა ცალკე წევრების მოქმედების მიხედვით მსჯელობს მთელ პარტიაზე. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობათა საქმიანობის კლასობრივი ხაზის გატარების საქმეში სოფლად. მათ საქმიანობაზე კონტროლის გაწევა და ხელმძღვანელობა უნდა ხდებოდეს ცეკას წევრების ადგილებზე სამუშაოდ მივლინების საშუალებით.

კამათის დამთავრების შემდეგ ამხ. **ლოლობერიძემ** პასუხი გასცა შემოსულ შეკითხვებზე და შეეხო მოკამათეების მიერ წამოყენებულ საკითხებს, რის შემდეგაც წაკითხულ იქნა ერევნის პარტკონფერენციის მისასალმებელი დეპეშა; თავის მხრივ აქტივის კრების მიერ ერევნის პარტკონფერენციას გაეგზავნა საპასუხო დეპეშა, რის შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი

## რეზოლუცია

მოისმინა რა ამხ. **ლოლობერიძის** მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის შედეგების შესახებ, თბილისის პარტორგანიზაციის საერთო-საქალაქო აქტივი სავსებით და მთლიანად იწონებს ცეკას პლენუმის გადაწყვეტილებებს.

თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ცეკას პლენუმმა ერთხელ კიდევ დაადასტურა პარტიის გენერალური ხაზის—ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ხაზის შეურყევლობა და გადაჭრით უარჰყო და დაჰგმო მე-15 პარტყრილობის და ცეკას შემდგომი პლენუმების დადგენილებათა გადასინჯვის ცდები.

აქტივი აღნიშნავს, რომ ცეკას პლენუმის გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენარჩუნებას და გაძლიერებას, ამასთანავე, კაპიტალური ხარჯების საგრძნობლად გადიდებას მრეწველობაში, განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის დარგში, კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში ამაგრებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ დამოუკიდებლობას, მის თავდაცვის უნარიანობას, მრეწველობის ხელმძღვანელ როლს სოფლის მეურნეობის მიმართ და უზრუნველყოფს თვით სოფლის მეურნეობის განვითარებას ტეხნიკურ რეკონსტრუქციის საფუძველზე, რის შესრულებასაც გვიკარნახებს მთელი საერთაშორისო და საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობა.

განვლილი სამეურნეო წელი, მიუხედავად მნიშვნელოვან სიძნელეთა, იყო წელი სერიოზული ზრდისა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და სოფლის და ქალაქის კერძო-კაპიტალისტურ ელემენტების განდევნის საქმეში.

მაგრამ მიუხედავად სოფლის მეურნეობის განვითარებისა, სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა, დაქსაქსულობა და ზრდის მეტად ნელი ტემპი სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შემდგომი გატარების გზაზე. რადგან სოფლის მეურნეობა არის ნედლეულისა და სურსათ-სანოვაგის ბაზა მრეწველობისათვის.

აღშფოთებით აღნიშნავს რა მტკიცებას სოფლის მეურნეობის დეგრადაციის შესახებ,—როგორც პანიკური და კაპიტალისტური სულისკვეთების გამოხატულებას,—აქტივი სწორად სცნობს სოფლის მეურნეობის განვითარების ყოველგვარი საშუალებით დაჩქარების ამოცანას; აქტივს საჭიროდ მიაჩნია როგორც ინდივიდუალურ საშუალო და ღარიბ მეურნეობათა განვითარება, რომელიც გვაძლევს პურის პროდუქციის ძირითად მასას ისე გლეხურ მეურნეობათა მასიურად გაერთიანება საწარმოო კოოპერაციაში, ამ მეურნეობათა კოლექტივიზაცია და ძლიერი საბჭოთა მეურნეობების შექმნა, რაიც ნამდვილად უზრუნველჰყოფს სოციალისტური სექტორის გამარჯვებას სოფლის მეურნეობაში და განამტკიცებს სოციალიზმის მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში.

უარის თქმა ამ ძირითადი ამოცანების გადაწყვეტაზე არსებითად ნიშნავს უკან დახევას კულაკის წინაშე იმის მაგივრად, რომ ხელი შეეწყოს პროლეტარული სახელმწიფოს გაძლიერებულ შეტევას კულაკების წინააღმდეგ.

პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულება ინდუსტრიის და კაპიტალური მშენებლობის განვითარების დარგში, სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების დაკლება, შვიდი საათის სამუშაო დღის გატარება საწარმოთა მნიშვნელოვან ნაწილში, სოფლის მეურნეობის განვითარება და სოციალისტური რეკონსტრუქცია—ყველა ეს ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ პლენუმის მიერ მიღებულ უახლოესი წლის საერთო-სამეურნეო გეგმიდან, მოითხოვენ პარტიის მაქსიმალურ მთლიანობას და დარაზმულ ბოლშევიკურ ბრძოლას პარტიის ლენინური ხაზიდან ყოველგვარ გადახრასთან და მერყეობასთან, გადამჭრელ ბრძოლას მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ; ამასთან ერთად არ უნდა იქნას შესუსტებული ბრძოლა ტროცკიზმის და მასთან შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ.

ბრძოლა ორ ფრონტზე, პარტიის დიდი ყურადღების მიქცევა კაპიტალისტურ-ლიკვიდატორული სულისკვეთების გამომხატველ მემარჯვენე აშკარა—ოპორტუნისტული საფრთხისადმი, პარტორგანიზაციის ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

თბილისის პარტორგანიზაციის აქტივის კრება ხაზს უსვამს, რომ მემარჯვენე სულისკვეთება ამიერ-კავკასიის და საქართველოს პირობებში, რომელიც შეიძლება გადაიქცეს ნაციონალისტურ ტენდენციად პარტიაში, მოითხოვს იდეოლოგიური ბრძოლის მაქსიმალურად გაფართოვებას ყველა სახის ნაციონალიზმის წინააღმდეგ და პარტიულ მასების ინტერნაციონალური აღზრდის გაძლიერებას.

აქტივი პარტორგანიზაციის ყურადღებას მიაქცევს პლენუმის მიერ დასმული ამოცანების გადაჭრით შესრულებაზე, რათა დაზგის მუშათა რიცხვი უახლოეს წლებში ჩვენს პარტიაში შეადგენდნენ მისი შემადგენლობის ნახევარზე არა ნაკლებს. ამასთან ერთად აქტივი ესალმება ცეკას გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ პარტიული რიგები გაწმენდილ უნდა იქნას გახრწნილ, გაბიუროკრატებული და უცხო ელემენტებისაგან.

გადამჭრელი დაუნდობელი ბრძოლა ბიუროკრატიზმს, მასებისაგან მოწყვეტას, ბურჟუაზიულ-მეშჩანური გახრწნის წინააღმდეგ როგორც სახელმწიფო აპარატში, ისე მასიურ ორგანიზაციებში თვითკრიტიკის და პროლეტარული და შინაპარტიული დემოკრატიის ფართოდ გაშლის გზით—კვლავ რჩება პარტორგანიზაციის ძირითად ამოცანად.

აქტივი აუცილებლად სცნობს, რომ მთელმა პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი ყურადღება მიაქციოს საბჭოების მომავალ საანგარიშო გადარჩევის კამპანიას, როგორც მეტად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კამპანიას, რათა ამ საშუალებით მაქსიმალურად იქნას გადიდებული პროლეტარული მასების აქტიობა, განმტკიცდეს მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი, მეტი ყურადღება მიექცეს მუშაობას ღარიბ და მოჯამაგირეთა შორის სოფლად, მათ დარაზმვას საშუალო გლეხობასთან კავშირში კულაკურ ნეპმანური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

აქტივი აცხადებს, რომ თბილისის ორგანიზაცია ბოლშევიკურ შეურყევლობით ლენინური ცეკას ხელმძღვანელობით შეასრულებს ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

აქტივი ავალებს თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმს უზრუნველყოს ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ფართოდ გაშუქება და ზედმიწევნით შესწავლა პარტორგანიზაციაში და აგრეთვე პლენუმის გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტება უპარტიო მუშებსა და მუშა-ქალებს შორის.

## ლენრაიონის მეთერთმეტე პარტკონფერენცია

### მეოთხე სხდომა

ლენრაიონის მე-11 პარტკონფერენციის მეოთხე სხდომა შესდგა კვირას 16 დეკემბერს ამხ. კლიმენტიევის თავმჯდომარეობით.

ლენრაიკომის მუშაობის შესახებ კონფერენციამ მოისმინა

### ამხ. ფანცულაიას მოხსენება

ლენრაიკომს საანგარიშო პერიოდში აქვს მთელი რიგი მიღწევები.

საანგარიშო პერიოდის დასაწყისში ლენრაიონის ორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევდა ტროცკისტულ ოპოზიციასთან ბრძოლას. ამ მხრივ ჩვენმა რაიონის ორგანიზაციამ სამაგალითოდ ჩაატარა პარტიას პოლიტიკური გამოცდა. მიუხედავად იმისა, რომ ტროცკისტულმა ოპოზიციამ მუშაობის სიმძიმის ცენტრი ლენრაიონში გადმოიტანა, მაინც ვერ შესძლო პარტიის საწინააღმდეგო ჯგუფების შექმნა.

#### ორგანიზაციის ზრდა

რაიკომის მთავარი ყურადღება მიპყრობილი იყო ორგანიზაციის ზრდაზე. ამ მიმართულებით ჩვენ საკმაო მიღწევები გვაქვს. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის დირექტივა იყო, რომ მუშათა რაოდენობა პარტიაში ასულიყო 50 პროცენტამდე. ლენრაიკომმა მუშათა რიცხვი პარტიაში აიყვანა 83 პროცენტამდე.

საანგარიშო პერიოდში პარტიაში მიღებულ იქნა სულ 648 კაცი, ამათში 66—ქალია; ახლად მიღებულთა შორის 636 მუშა, 11—მოსამსახურე და ერთი გლეხი.

მეორე რაიკომის გაუქმების შემდეგ ჩვენს რაიონს შემოუერთდა 18 უჯრედი—1.195 კაცით. თუ გასულ წელს ორგანიზაცია აერთიანებდა 2.805 წევრსა და კანდიდატს, ეხლა ორგანიზაციაში გვყავს 4.436 პარტიის წევრი და კანდიდატი.

4.436 კაციდან—3.703 მუშა (83,5 პროც.), 533—მოსამსახურე (12 პრ.), 183—გლეხი (4,1 პრ.) და 17—სხვები (0,4 პრ.).

მთელ ორგანიზაციის 47,2 პროცენტს (1.598 კაცი) ქართველები შეადგენს, 18,9 პრ. (640) სომხები, 19,2 პრ. (651) რუსები, დანარჩენი სხვები.

კანდიდატების თავის დროზე პარტიის რიგებში გადარიცხვას უჯრედები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, რის გამო ორგანიზაციაში არიან ისეთი კანდიდატები, რომლებსაც საკანდიდატო სტაჟს გადაცილებული აქვთ 1—2 წელი და მეტი. ამ გარემოებას მომავალში სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

#### სამეურნეო მშენებლობა

მეორე რაიკომის გაუქმების შემდეგ ლენრაიონის საწარმოოთა რიცხვი 23-დე ავიდა. წარმოებებში მუშაობს სულ 12.126 მუშა.

რაიონული კომიტეტი ამ საანგარიშო წლის განმავლობაში სათანადო ყურადღებას აქცევდა პარტიის დირექტივების ცხოვრებაში გატარებას: წარმოების რაციონალიზაციას, პროდუქციის თვითღირებულების დაკლებას, შრომის ნაყოფიერების აწევას, სამეურნეო ხარჯების 20 პროც. შემცირებას და სხვა. ამ მიმართულებით მთელი რიგ წარმოებებში გვაქვს სათანადო მიღწევები.

1927—28 წლის კოლხელშეკრულებათა კამპანია ჩატარებულ იქნა პარტიულ, პროფესიონალურ და თვით მუშათა ფართო მონაწილეობით.

ამჟამად კოლხელშეკრულებათა კამპანია რაიონში გაცხოველებულ ტემპით მიმდინარეობს.

### ამხ. გიორგობიანის თანამოხსენება

გიორგობიანი ვრცლად შეჩერდა კომკავშირის უჯრედების მონაწილეობაზე საწარმოო თათბირებში, საზოგადო-სასარგებლო მუშაობაში და სხვა აღნიშნავს თვითეულ დარგში ჩატარებულ მუშაობას.

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაცია გაიზარდა 1.106 კაცით, ასეთი დიდი რიცხვით ზრდა გამოწვეულია მეორე რაიკომის უჯრედების შემოერთებით.

ახლად მიღებულთა რიცხვი კი უდრის 216 კაცს. ამჟამად ორგანიზაცია აერთიანებს 3.220 კაცს, მუშა-ახალგაზრდობის საერთო რიცხვი კომკავშირში უდრის 85 პროც.

ამხ. გიორგობიანის თანამოხსენების შემდეგ მოსმენილ იქნა სარევიზიო კომისიის მოხსენება.

კონფერენციამ ლენინაკანის პარტკონფერენციის მისასალმებლად აირჩია 6 კაცი.

ამის შემდეგ კონფერენციის მეოთხე სხდომა დაიხურა.

კონფერენციის მეხუთე სხდომა შესდგება დღეს, საღამოს 6 საათზე.

## კომკავშირში

### ა.-კ. კომკავშირის საოლქო კომიტეტის პლენუმი.

### ამხ. ბარქაიას მოხსენება

16 დეკემბერს, დილის სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. ბარქაიას მოხსენება კომკავშირის ამ.-კავკასიის ორგანიზაციის სამხედრო მუშაობის შესახებ.

უკანასკნელი წლის განმავლობაში კომკავშირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სამხედრო სწავლებას. მთელ რიგ ორგანიზაციებში გამოყოფილი იქნა სპეციალური დღეები სამხედრო სწავლებისათვის. ჩატარებული იქნა სხვადასხვა სახის ლაშქრობა, როგორც დამოუკიდებელი, ისე პროფორგანიზაციებთან და თავდაცვა-ავიაქიმთან ერთად. ამჟამად ზოგიერთი ორგანიზაციები შეუდგნენ ყოველდღიურ მუშაობას კომკავშირელთა და უპარტიო ახალგაზრდათა მასებში სამხედრო ცოდნათა გასავრცელებლად. მიუხედავად ასეთი მნიშვნელოვანი გარდატეხისა სამხედრო სწავლების საქმეში, უნდა აღინიშნოს, რომ სოფელში ეს მუშაობა ჯერ კიდევ სუსტად მიმდინარეობს.

### კამათი ამხ. ბარქაიას მოხსენების გამო

კამათში ამხ. ბარქაიას მოხსენების გამო მონაწილეობა მიიღეს: ამხ. მურადოვმა (ბაქო), ბაბაიანმა (თბილისი) გლიუკოვმა (აზერბეიჯანი), ასლანოვმა (აზერბეიჯანი), კორვალიძემ, ავეტისიანმა (ახალქალაქი), დემოვმა (ბაქო), აბდულაევმა (აზერბეიჯანი), ქარსანიძემ, გაველკორმა (საკავშირო კომკავშირის ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტი) და სხვ.

გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ, რომ უჯრედები ჯერ კიდევ ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევენ სამხედრო მუშაობას და ხშირად მანევრებისა და ლაშქრობის გარეგან ეფექტებს უფრო მისდევენ. ყოველდღიურ სისტემატიურ მუშაობას კი ივიწყებენ.

### ამხ. მარტიროსიანის მოხსენება

15 დეკემბერს, საღამოს, პლენუმმა მოისმინა ამხ. მარტიროსიანის მოხსენება კოლექტიური მშენებლობისა და მასაში კომკავშირის მონაწილეობის შესახებ.

„ჩვენი ორგანიზაციის ძირითადი ამოცანა,—ამბობს მომხსენებელი,—უნდა იყოს კულაკური საფრთხის შინაარსის გამოაშკარავება და შეურიგებელი ბრძოლა კულაკებთან და მათ გავლენებთან სოფელში.

მიუხედავად იმისა, რომ კოლექტივიზაციის საქმეში ჩვენ ვამჩნევთ გარკვეულ გარდატეხას, სოფლის მეურნეობის საჭიროებათა კოოპერატიული გზით დაკმაყოფილებისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხები ჯერ კიდევ არ გამხდარა ქვედა ორგანიზაციების მუშაობის მთავარ საკითხებად. საკითხი კოლექტიურ მეურნეობათა შესახებ ამ.-კავკასიაში კიდევ დაისმება მთელი სიგრძე-სიგანით.

ჩვენ უნდა ავსწიოთ 7,4 პროცენტამდე ჩვენი მეურნეობათა განსაზოგადოებული სექტორის პროცენტი. თუ ავიღებთ კოლექტიურ მეურნეობებში კომკავშირელთა პროცენტულ შემადგენლობას, დავინახავთ, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კომუნებში კომკავშირელთა რიცხვი 16 პროცენტს უდრის, სომხეთში—30 პროცენტს და აზერბეიჯანში—4 პროცენტს. ამნაირად, კომკავშირის მონაწილეობა კოლექტიურ მეურნეობების მშენებლობაში სრულიად არ არის საკმარისი და ჩვენმა მეურნეობებმა ყოველი ღონე უნდა აღიღონ იმისათვის, რომ კომკავშირის მე-8 ყრილობის ძირითადი გადაწყვეტილებები განხორციელებული იქნან ცხოვრებაში.

კამათში, რომელიც გაიმართა ამხ. მარტიროსიანის მოხსენების გამო, მონაწილეობა მიიღეს:—ამხ. **შახსიტოვმა** (განჯა), **შაგინიანმა** (სომხეთი), **არუთინოვმა** (მთიანი ყარაბახი), **მეგრაბიანმა** (სომხეთი), **იმხანოვმა** (თბილისი) **ბარსეგიანმა** (სომხეთი), **ჯულიაშვილმა**, **ტატოევმა** (საკავშირო კომკ. (ბ) ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტი):

# ქართული ხელოვნების შესასწავლად

## ხელოვნების მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიისაგან

### ღია წერილი საქართველოს სახელოვნო დაწესებულებებს და ხელოვნების მუშაკებს

ხელოვნების მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიასთან არსებულ საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების შემსწავლელ კომიტეტთან მოეწყო საქართველოს ხელოვნების შემსწავლელი განყოფილება. განყოფილება მიზნად ისახავს შეისწავლოს: ა) ქართული ხალხური ხელოვნება და შინამრეწველობა, ბ) მხატვრული ლიტერატურა და ფოლკლორი, გ) სახვითი ხელოვნება, დ) თეატრი და კინო, ე) მუსიკა, ვ) ხელოვნების ისტორია.

ხელოვნების მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიამ გადასწყვიტა მიმდინარე წელს შეუდგეს ქართული ხელოვნების შესწავლას. ამ მუშაობამ დიდი როლი უნდა ითამაშოს მოძმე ხალხების ურთიერთ შესწავლისა და მხატვრული კულტურის გაცნობის საქმეში. ხელოვნების შესწავლით აკადემია ისახავს ორნაირ მიზანს: გამოიყენოს ქართული ხელოვნების მასალები თეორეტიულ - სამეცნიერო გამოკვლევებში და გააცნოს ეს მასალები როგორც მეცნიერების მუშაკებს, ისე ფართო საზოგადოებრიობას.

ამ მიზნების შესასრულებლად აკადემიის მუშაობის გეგმაში შედის: მჭიდრო კავშირის დამყარება საქართველოს სახელოვნო დაწესებულებებთან და ხელოვნების მუშაკებთან, ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგების საუკეთესო ძალების მიწვევა მოსკოვში, მათი შემოქმედების გაცნობა, ქართული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების დემონსტრაცია ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიაში და აკადემიის გარედ, სისტემატიური მოხსენებების გაკეთება ქართული ხელოვნების ისტორიის შესახებ, საქართველოს დღევანდელი ხელოვნების შესწავლა, მუსიკალურ - თეატრალურ მიღწევათა გამოკვლევა, იმ მიღწევების დემონსტრაცია, რომლებიც აქვთ თეატრების მუშაკთა და მოღვაწეთა ანსამბლებს და სახალხო მომღერლებს, ეროვნული სტილის შესწავლა ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგებში და სხვ.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების შემსწავლელი კაბინეტი შეჰკრებს ყველა მნიშვნელოვან მასალას ქართული ხელოვნების შესახებ როგორც ქართულ, ისე რუსულ და სხვა ევროპიულ ენებზე. განყოფილებას განზრახული აქვს გამოიწეროს ყველა პერიოდული მხატვრული გამოცემა, რომელიც ამჟამად გამოდის.

ქართული ხელოვნების შემსწავლელ სექციას კავშირი ექნება როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების შემსწავლელი კომიტეტის სხვა განყოფილებებთან, ისე აკადემიის სხვა მრავალ სექციასა და უჯრედთან იმ მიზნით, რომ აკადემიის სამეცნიერო მუშაობაში ქართული ხელოვნების სოციოლოგიურ შესწავლას სათანადო ადგილი დაეთმოს.

ყოველივე ზემოაღნიშნული რეალურად შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელოვნების მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემია შესძლებს მტკიცედ დაეყრდნოს საქართველოს ხელოვნების მუშაკებს და იმ დაწესებულებებსა და საზოგადოებებს, რომლებიც განაგებენ ხელოვნების საკითხებს. აკადემია დარწმუნებულია, რომ ქართული ხელოვნების დაწესებულებანი, საზოგადოებანი და მუშაკნი მჭიდრო კავშირს დაამყარებენ ქართული ხელოვნების შემსწავლელ სექციასთან, რაც ხელს შეუწყობს ქართული ხელოვნების შესწავლას და ფართო საზოგადოებრივობას მისცემს წარმოდგენას მის სხვადასხვა დარგებზე.

აკადემიის სამეცნიერო ძალები განსაკუთრებით არიან დაინტერესებულნი ქართული ხელოვნების შესწავლით. საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების შემსწავლელი განყოფილება მიზნად ისახავს შეისწავლოს საბჭოთა კავშირის კულტურული ერების ხელოვნების ჩამოყალიბების პროცესი, რისთვისაც ძალიან მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს დიდი კულტურის მქონე საქართველო.

აკადემია შეეცდება გამონახოს ყველა აუცილებელი სახსარი საქართველოს სამეცნიერო ძალების მოზიდვის მიზნით, აგრეთვე მჭიდრო კავშირის დასამყარებლად საქართველოს იმ სამეცნიერო მუშაკებთან, რომლებიც მოსკოვში იმყოფებიან. აკადემიამ შეადგინა დაწვრილებითი პრაქტიკული საწარმოო წლიური გეგმა ქართული ხელოვნების შესასწავლად, და განზრახული აქვს უახლოეს მომავალში განახორციელოს მთელი რიგი ღონისძიებანი ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგის დემონსტრაციისათვის საბჭოთა კავშირის ცენტრში.

დასახული გეგმა შეიძლება მთლიანად განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სამეცნიერო - სახელოვნო დაწესებულებანი და ხელოვნების მუშაკები მჭიდრო კავშირს დაამყარებენ აკადემიის ქართულ სექციასთან, ხელოვნების მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემია იმედოვნებს, რომ საქართველოს სამეცნიერო სამხატვრო ძალები იქნებიან მისი საუკეთესო თანამშრომელნი ქართული ხელოვნების შესწავლის საქმეში.

ხელოვნების მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიის პრეზიდენტი

**პ. კოგანი.**

საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების შემსწავლელი კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი

**ბ. სოკოლოვი.**

ქართული ხელოვნების შემსწავლელი განყოფილების თავმჯდომარე, აკადემიის წევრი-კორესპონდენტი

**ხ. ამაღლობელი.**

მისამართი: მოსკოვი, კრაპოტკინის ქ. № 32, ხელოვნების მეცნიერებათა აკადემია. ქართული განყოფილება.

## ქართული ხელოვნება ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიაში

ევროპის ბურჟუაზიულმა ხელოვნებამ დაჰკარგა სტილი და ორიგინალობა. მას შერჩა ტრაფარეტი და ტრაფარეტის დაძლევის ცდა — მისტიური ელფერით ხაზებისა და ფერების უაზრო კომბინაციები. ორივე ხაკადის სილატაკემ გამოიწვია პრიმიტივის ძიება, ევროპიდან გაქცევის სურვილი „უკულტურო" ქვეყნებში. ფოქსტროტში ჩაფლული ბურჟუაზიული ევროპა ხელოვნების სტილის დაკარგვას ასურათებს.

საბჭოთა ქვეყნების ხელოვნების განვითარება საწინააღმდეგო გზით მიდის. პროგრესიულ იდეათა სიჭარბე და ეროვნული კოლორის მრავალფეროვნება ამზადებს ნიადაგს ახალი ხელოვნების გიგანტური განვითარებისათვის. იწყება ინტერნაციონალური ხელოვნების ალორძინება ნაციონალურ ფორმაში. განთავისუფლებული ერების მხატვრული ენერგია უდიდესი სიძლიერით ჰპოულობს თავის ამეტყველებას.

ეროვნული სტილი ჩვენ არ გვესმის არქაულ ფორმათა აღდგენათ. არსებული საზოგადოებრივი ვითარება და მოძმე ერთა კულტურული ურთიერთობა აყალიბებს ამ სტილს. ამ მხრივ უდიდესი კულტურული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ერთა მხატვრული შემოქმედების ურთიერთ ზეგავლენასა და ეროვნული სტილის გაშლას საერთო საკავშირო სოციალურ ფონზე,

ყოველმა ხალხმა უნდა შეიტანოს საერთო საბჭოთა ხელოვნებაში საკუთარი მხატვრული სახე და ყოველმა ხალხმა ყველა დანარჩენთა შესწავლით უნდა გამდიდროს საკუთარი შემოქმედების საშუალებანი.

ამ გარემოებას აქვს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც. კულტურულ მხატვრული ურთიერთობა მოსპობს ისტორიულად მიღებულ ნაციონალისტურ სულისკვეთებას და კარჩაკეტილობას. განამტკიცებს საერთო საკავშირო კულტურულ ინტერესს.

ამ მიზნებით ვხელმძღვანელობდით, როცა ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიაში საფუძველი ჩავუყარეთ ქართული ხელოვნების განყოფილებას. აკადემიის მუშაკები და ხელმძღვანელები ჩვენს განზრახვას დიდი ინტერესით შეხვდნენ. ჩვენს განყოფილებას დაუკავშირეთ მთელი რიგი ცნობილი სამეცნიერო ძალები, როგორც აკადემიიდან, ისე აკადემიის გარეშე მყოფნი. გავაერთიანეთ მოსკოვში ხელოვნების დარგში მომუშავე ქართული ძალები და ლენინგრადშიც დავაარსეთ განყოფილება.

განყოფილების მუშაობის გეგმაში მეტად ფართო და მნიშვნელოვანი საკითხები სდგას. ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიის „ღია ბარათიდან" სჩანს, თუ რამდენად სერიოზული სახით არის ჩვენს წინაშე ქართული ხელოვნების შესწავლის და მისი პოპულარიზაციის საქმე. აკადემიის მრავალი განყოფილებანი და სექციები ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩვენი ხელოვნების ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გამოსაკვლევად. ჩვენი სამეცნიერო ძალებისა და დაწესებულებათა თანამშრომლობა უზრუნველყოფს იმ მოსალოდნელ შეცდომების აცილებას, რომლებიც უკავშირდება აკადემიის მკვლევართა ქართული ენის არ ცოდნას.

ქართული ხელოვნების შესწავლა ისტორიულად და თეორიულად კიდევ არა გვაქვს დაყენებული. სოციოლოგიის თვალი კიდევ არ შეხებია ქართული ხელოვნების ისტორიას. ჩვენი ისტორიის სოციალურ-კლასიური ბუნების გაშუქება მარქსისტული სოციოლოგიის მეთოდით, კიდევ ვერ სდგას თავის სიმაღლეზე. ამ დარგში ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიის დახმარება ჩვენ უეჭველად დიდ სამსახურს გაგვიწევს.

თავდაპირველად საჭიროა ქართული ხელოვნება, როგორც სამეცნიერო კვლევის მასალა წარმოდგენილი იქნეს აკადემიაში. ამ მიზნით ჩვენ განზრახული გვაქვს ქართული პოეზიის ანთოლოგიის გამოცემა (19—20 საუკ.) კულტურული ხელოვნებისა და ფოლკლორის შესწავლა, ქართულ თეატრის გასტროლების ჩატარება, ჩვენი ხელოვნების გამოფენის მოწყობა და სხვადასხვა. ამ მუშაობასთან ერთად პარალელურად იწარმოებს ყველა აქტუალური პრობლემის მეცნიერული შესწავლა და დამუშავება.

ჩვენ უკვე დაუგზავნეთ სათანადო დაწესებულებებსა და სამეცნიერო-სამხატვრო ძალებს მიმართვა იმ მიზნით, რომ ისინი დაუკავშირდნენ ჩვენს მუშაობას საკავშირო ცენტრში. დარწმუნებული ვართ, რომ ამ მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას ყველა სამხატვრო - სამეცნიერო ძალა, დაინტერესებული ქართული ხელოვნებით.

**ხ. ამაღლობელი.**

მოსკოვი,
10 დეკემბერი.

# ახალი სამეურნეო წელი და ჩვენი ამოცანები

## (1928--29 წ. სახ. მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრები)

საქართველოს საგეგმო კომისიამ დაამუშავა და მთავრობის უმაღლეს ორგანოს დასამტკიცებლად წარუდგინა სახალხო მეურნეობისა და სოციალ-კულტურულ მშენებლობის 1928-29 წ. საკონტროლო ციფრები.

როგორც ვიცით, საქართველოში პირველად არის საკონტროლო ციფრები დამუშავებული და პირველად ამტკიცებენ მათ მთავრობის უმაღლესი ორგანოები. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში კი საკონტროლო ციფრებმა დიდი ხანია რაც მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვეს და მტკიცე ადგილი დაიკავეს მთელი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის საქმეში.

განსაკუთრებით მიმდინარე წლიდან ენიჭება საკონტროლო ციფრებს მნიშვნელოვანი როლი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სისტემაში.

საკონტროლო ციფრები სახალხო მეურნეობის განვითარების ნამდვილ გეგმად რომ გახდენ, მათ ანგარიშებისა და ვარაუდის მეტი კონკრეტობა და სიზუსტე მოეთხოვება, ვიდრე ამას ადგილი აქვს ხუთწლიან გეგმაში. საკონტროლო ციფრები წარმოადგენენ ერთი წლის მუშაობის პროგნოზს—დირექტივას. საკონტროლო ციფრები ერთის მხრივ წინამდებარე წელში მუშაობის წინასწარი მოხაზვა, მეორეს მხრივ სწორეთ მიმდინარე წლიდან ენიჭებათ მათ დირექტივის ხასიათი, რაც მთლიანად და სავსებით უნდა იქნეს შესრულებული.

და სწორედ ამის გამო საკავშირო მთავრობამ შესაძლებლად დაინახა გაეუქმებია სახალხო მეურნეობის სპეციალურ გეგმების განხილვა და დამტკიცება, მათ შორის სამრეწველო ფინანსიურ გეგმისა, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ჩვენს საგეგმო სისტემაში. მიმდინარე წელში, როგორც სავალდებულო წესი, მთავრობის მიერ დამტკიცებულ საკონტროლო ციფრების საფუძველზე თვითონ უწყებებმა და წამოწყებებმა უნდა დაამუშაონ თავის ერთი წლის მუშაობის საოპერაციო გეგმა. ამრიგად, საკონტროლო ციფრებში მოხაზულ მუშაობის შესრულების პასუხისმგებლობა მთლიანად და სავსებით სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს ეკისრებათ, რაც აწევს მათ თვითმოქმედებას, მათ პასუხისმგებლობას უმაღლეს ორგანოებისა და მუშურ-გლეხურ მასების წინაშე.

უნდა ვიფიქროთ, რომ მუშაობის ეს სისტემა უსათუოდ დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს სახალხო მეურნეობას და მაქსიმალურ ეფექტს მოგვცემს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისა და სახალხო შემოსავლის გადიდების საქმეში.

### საკონტროლო ციფრების შედგენის სიძნელენი

საგეგმო კომისიამ სავსებით ვერ შესძლო აეცილებია და გადაელახა ყველა ის სიძნელენი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ საკონტროლო ციფრების დამუშავების დროს. ერთის მხრივ გამოცდილების უქონლობა ამ დარგში (პირველად მუშავდებოდა საკონტროლო ციფრები), უქონლობა სწორ სტატისტიკურ ცნობებისა გასულ წლებში ჩვენი სახალხო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, მეორე მხრივ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის უქონლობა ძლიერ უშლიდენ ხელს და აგვიანებდენ საკონტროლო ციფრების შედგენას. როგორც ვიცით, საკონტროლო ციფრები წარმოადგენენ „ხუთწლედის" მონაკვეთს, მის პირველ წელს, ხუთწლიანი გეგმა კი ჩვენ ჯერ-ჯერობით შედგენილი არ გვაქვს, მხოლოდ ახლა სწარმოებს მუშაობა მის შესადგენად.

მიუხედავათ ამისა, საგეგმო კომისიამ შესძლო მეტი თუ ნაკლები სისწორით განესაზღვრა ჩვენი სახალხო მეურნეობის და მისი ცალკე დარგების განვითარების ტემპი. 1928-29 წ. საგეგმო კომისიამ შესძლო ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების სწორი ხაზის აღება.

ვიმეორებთ, ჩვენი ეკონომიური აზროვნების სისუსტეს, სწორ და ზუსტ სტატისტიკურ მასალის უქონლობას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა საკონტროლო ციფრების ხარისხობრივ მხარეზე. დამუშავებულ მასალის უქონლობა ისეთ სინტეტიურ პრობლემების შესახებ, როგორიცაა ნაციონალური შემოსავლის მოძრაობა, ბაზრის ტევადობა და მიწოდება-მოთხოვნილების ბალანსი, სახალხო მეურნეობაში ამჟამად მიმდინარე გრანდიოზული რეკონსტრუქტიული პროცესი (სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებულ სექტორის შესახებ სწორ სტატისტიკურ მასალის უქონლობა), პროდუქციის თვითღირებულების დინამიკა, სახალხო-მეურნეობრივ პროცესში კლასიურ ძალების მოძრაობა, სოციალური ურთიერთობანი სოფლად და მთელი რიგი სხვა ფაქტორები,—ძლიერ აბრკოლებდა საკონტროლო ციფრების დამუშავებას და გავლენას ახდენდა მათ სისწორესა და სიზუსტეზე.

მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ, მიუხედავათ ზემოხსენებულ ნაკლისა, საკონტროლო ციფრები, მთავრობის უმაღლეს ორგანოებში დასამტკიცებლად წარდგენილი და საბჭოთა საზოგადოებრივობის და მუშურ-გლეხურ მასების განსახილველად გამოტანილი თავის ძირითად მომენტებში აკმაყოფილებენ და სწორად ასახავენ ჩვენს მთავარ ამოცანებს ახალ სამეურნეო წელში.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, 1928-29 წ. საკონტროლო ციფრები შეეხებიან ჩვენი მშენებლობის შემდეგ საკითხებს: მრეწველობას, სასოფლო მეურნეობას, შრომას, ბიუჯეტს, კრედიტს, ვაჭრობას, კოოპერაციას, სოცკულტურულ მშენებლობას და კაპიტალურ დაბანდებებს. ამასთანავე ერთად უნდა ვაღიაროთ, რომ მშენებლობის მრავალ დარგმა, წამოწყებამ და ორგანიზაციამ ვერ პოვა გამოხატულება საკონტროლო ციფრებში; მაგ., სოც.-კულტურულ ხასიათის საკითხებიდან საკონტროლო ციფრები არ შეეხებიან გამომცემლობის, თეატრალურ პოლიტიკის და თეატრალურ მშენებლობის საკითხებს, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს, სახალხო კავშირის და სახალხო სამართლის ორგანიზაციის საკითხებს; აგრეთვე საკონტროლო ციფრებში ვერ პოვა გამოხატულება სხვა მრავალ მნიშვნელოვანმა საკითხმა და მათ შორის კინომრეწველობამაც.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ საკონტროლო ციფრებში განსაკუთრებით სუსტადაა წარმოდგენილი სოციალ-კულტურული საკითხები.

### 1927—28 წ. სამეურნეო საქმიანობის ზოგიერთი შედეგი

ამომწურავ ანგარიშების უქონლობის გამო, ჯერ-ჯერობით, რასაკვირველია, ძნელია გასული სამეურნეო წლის საქმიანობის სრული ანალიზი. ეს მით უფრო, რომ გასული წლის სამეურნეო განვითარების საკონტროლო ციფრები არ გვქონია დამუშავებული. ამიტომ გასული წლის შედეგებზე ლაპარაკი ძნელია. მხოლოდ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ **გასული სამეურნეო წელი ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის მთლიანად იყო ყველაზე ხელსაყრელი წელი; ეს წელი ხასიათდება საწარმოო ძალთა განვითარებით, ხალხის კეთილდღეობის ზრდით, ჩვენს ქვეყანაში მრეწველობისა და სოციალისტური ელემენტების ზრდის ჩქარი ტემპით.**

გასულ წელში ჩვენს ახალგაზრდა მრეწველობას მნიშვნელოვანი ზრდა ახასიათებს; საგრძნობლად გადიდდა მისი ხვედრითი წონა მთელ სახალხო მეურნეობაში. ამ მხრივ დიდის სიმტკიცით და სისტემატიურად სრულდება საკავშირო კომპარტიის მე-12 და მე-15 პარტყრილობის დირექტივები, რომელნიც ითვალისწინებდენ და ყურადღებას აქცევდენ იმ გარემოებას, რომ თვითმპყრობელობის რეჟიმისა და მენშევიკურ ხანაში ჩვენ ნახევრად კოლონიალური ქვეყანა ვიყავით და რომ ჩვენი ქვეყანა ძლიერ ჩამორჩენილია საბჭოთა კავშირის დანარჩენ ნაწილებს.

რასაკვირველია, ჯერ-ჯერობით ნაადრევია ლაპარაკი სამეურნეო ცხოვრებაში იმ წინააღმდეგობათა გადალახვის შესახებ, რომელნიც მემკვიდრეობით გადმოგვეცა განვითარების განვლილ ისტორიულ პერიოდიდან. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, მუშურ-გლეხურ მასების და მათ ხელმძღვანელ ორგანოების ცდით და მუშაობით, ჩვენი პარტიის შეუპოვარი მეცადინეობით მეფის და მენშევიკების ვერაგ რეჟიმის მემკვიდრეობა თანდათან ისპობა და მალე სრულებით აღიკვეთება. ფართო მშრომელ მუშურ-გლეხურ მასების კეთილდღეობა იზრდება, ჩვენი ქვეყანა ეკონომიურ აღორძინების და განახლების გზაზეა დამდგარი.

თუ განვიხილავთ მრეწველობის მდგომარეობას გასულ წელში, შემდეგ სურათს დავინახავთ: მთელი ცენზიანი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1926-27 წ. შედარებით 20,6 პროცენტით გაიზარდა (1926-27 წლის მყარ ფასების მიხედვით). ს. მ. უ. ს.-ში გაერთიანებულ მრეწველობის მთელი საერთო პროდუქცია (უმარგანეცოთ) 20,8 პროცენტით გადიდდა.

მთელ საბჭოთა კავშირში ცენზიან მრეწველობის საერთო პროდუქცია წინასწარ ცნობების მიხედვით გაიზარდა 21,6 პროცენტით, საკავშირო ს. მ. უ. ს.-ში გაერთიანებული მთელი მრეწველობის პროდუქცია კი 22,5 პროც.

წინასწარ ცნობების მიხედვით, წვრილი მრეწველობა საქართველოში გაიზარდა 17,8 პროცენტით, რაც შეეხება საბჭოთა კავშირს მთლიანად, იქ წვრილი მრეწველობა გვაძლევს კლებას 2,5 პროც.-ით წინა წელთან შედარებით (კოოპერატიული მრეწველობის 61,4 პროც.-ით გაზრდის და კერძო მრეწველობის 17,5 პროც.-ით კლების გამო), რაც აიხსნება მით, რომ ეს მრეწველობა ნედლეულით არა საკმარისად იყო უზრუნველყოფილი.

სათანადო სტატისტიკურ მასალათა უქონლობის გამო, ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები წვრილ (უცენზო) კოოპერატიულ და კერძო მრეწველობის ზრდის ტემპის შესახებ.

ცენზიანი და უცენზო მრეწველობის საერთო პროდუქცია უდრის 120,6 მილ. მან., წინააღმდეგ 100,2 მილ. მან. წინა წელში (1927 წლის მყარის ფასების მიხედვით).

ეს ცნობები საკმაოდ უსვამენ ხაზს ჩვენი მრეწველობის ზრდის ჩქარ ტემპს.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი მრეწველობა წლიდან წლამდე იზრდება, მის განვითარებას ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი ახასიათებს. მრეწველობის ჯანსაღ მდგომარეობის, მისი წარმატებისა და ზრდის ერთ-ერთი მაჩვენებელია სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების თანდათანობით დაკლების ტენდენცია. მაგრამ, სამწუხაროდ, გასულ სამეურნეო წელს ამ მხრივ არ მოუცია არავითარი დადებითი შედეგები. თუ კი მთელ საბჭოთა კავშირში, წინასწარ ცნობების მიხედვით, თვითღირებულების დაკლება უდრის 5 პროცენტს, გეგმით ნავარაუდევ 6 პროცენტის მაგივრად, საქართველოში სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება 0,6 პროცენტით გაიზარდა. ეს ს. მ. უ. ს.-ში გაერთიანებულ მრეწველობის ხაზით, რაც შეეხება მთელ მრეწველობას, მის შესახებ ჯერ-ჯერობით ცნობები არ გვაქვს.

ამ საკითხში როგორც პარტიის, ისე ხელისუფლების ორგანოებმა ორგანიზაციული სისუსტე გამოიჩინეს. როგორც ვიცით, გასულ წელს ამ საკითხზე არავის უმუშავნია, მიუხედავად იმისა, რომ საკავშირო ს. მ. უ. ს.-მა გარკვეული დირექტივები შეიმუშავა თვითღირებულების დაკლების შესახებ და წინადადება მისცა სათანადო ორგანიზაციებს მოეწყოთ სპეციალური კომისიები, რომელთაც სისტემატიურად უნდა შეესწავლათ და გაესინჯათ თვითღირებულების საკითხები წამოწყებებში. მაგრამ ამ კომისიებს არამც თუ არ უმუშავნიათ, არამედ ასეთი კომისიები არც კი ყოფილა მოწყობილი. წამოწყებათა ხელმძღვანელები არ დაინტერესებულან ამ საკითხებით და სრულებით ანგარიშში არ გაუწევიათ იმ გარემოებისათვის, რომ ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობამ სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების დაკლება გამოაცხადა **მრეწველობის ცენტრალურ პრობლემათ.** რასაკვირველია, **ეს დაუშვებელი შეცდომა და დაუდევრობა მიმდინარე სამეურნეო წელს აუცილებლათ უნდა გასწორდეს და სავსებით შესრულებულ უნდა იქნეს დირექტივა სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების 8 პროც. დაკლების შესახებ.**

გასულ სამეურნეო წელში სასოფლო მეურნეობის საერთო პროდუქცია შემცირდა 5,7 პროცენტით 1926-27 წ. შედარებით, საქონლითი ნაწილი კი 6,8 პროც.-ით შემცირდა, მთელ საბჭოთა კავშირში საერთო პროდუქცია 2,7 პროც.-ით შემცირდა, საქონლითი ნაწილი კი 9 პროც.-ით გადიდდა.

1928 წ. მარცვლეული კულტურების ნათესების ფართობი წინა წელთან შედარებით 2,7 პროცენტით შემცირდა. რაც შეეხება ტეხნიკურ კულტურებს, იმავე 1928 წ. ნათესების ფართობი წინა წელთან შედარებით 14 პროცენტით გადიდდა, თამბაქოსა (659 ჰექტ.) და ბამბის (2427 ჰექტ.) ხარჯზე, მაგრამ მიუხედავათ ამისა ტეხნიკურ კულტურათა ნათესების ფართობი მაინც ჩამორჩება 1926 წლისას, რომელიც ტეხნიკურ კულტურების ნათესების ინტენსიურად გადიდების წლიწადად არის მიჩნეული.

სპეციალურ კულტურების ფართობი გადიდდა 4,6 პროცენტით, ჩაის პლანტაციების ხარჯზე (1928 წ. 121,2 პროც.), ვენახის ფართობი კი შემცირდა. დანარჩენი სპეციალური კულტურების (ხეხილის, თხილის და სხვ.) ფართობი იძლევა სტაბილურ მდგომარეობას.

მთელ საქართველოში მცენარეულობის საერთო პროდუქცია 10,2 პროცენტით შემცირდა წინა წელთან შედარებით; მარცვლეული კულტურების საერთო პროდუქცია იძლევა შემცირებას 16,4 პროცენტით 1927 წ. შედარებით.

მთელ საბჭოთა კავშირში მცენარეულობის პროდუქციის ღირებულება 1926-27 წ. შედარებით 3,9 პროცენტით შემცირდა, მათ შორის მარცვლეულის 6,8 პროცენტით.

მესაქონლეობაში ჩვენ შემდეგი სურათი გვაქვს: ცხენების რაოდენობა 1928 წ. 98,5 ათას სულს უდრიდა, 96,0 ათ. წინააღმდეგ 1927 წ. (მატება უდრის 2,6 პროც.); მსხვილი რქოსანი საქონლის ღირებულება 1928 წ. შეადგენდა 1 მილ. 521,0 ათ. მან. წინააღმდეგ 1.501,9 ათ მ. 1927 წ.; ცხვარი 2.185,7 ათ. სული, წინააღმდეგ 2.263,6 1927 წ. (—3,4 პრ.), ღორები 807,1 ათ. 1928 წ., წინააღმდეგ 739,4 ათ. 1927 წ. (9,2 პროც.); სულ რქოსანი საქონელი მსხვილ საქონელზე გადაყვანით უდრიდა 1,676,5 ათ. სულს 1928 წ. წინააღმდეგ 1.579,8 ათ. სულისა 1927 წ. (6,1 პროც.).

როგორც აღვნიშნეთ, მსხვილი რქოსანი საქონლის რაოდენობა 1,3 პროც.-ით გადიდდა, მათ შორის ხარის 1,5 პროც.-ით, კამეჩის 2,7 პროც.-ით, ძროხის რაოდენობა სტაბილურია. რაც შეეხება ცხვარს, რომლის რაოდენობა უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში თანდათანობით მატულობდა, 1928 წ. სასტიკი ზამთრის გამო, იძლევა დაკლებას 3,4 პროც.-ით. ყურადღებას იქცევს უკანასკნელ წლების განმავლობაში მეღორეობის განვითარების დინამიკა. ის უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იზრდება დაახლოვებით ერთნაირ რაოდენობით (10 პროც.). სოფლის მეურნეობის ამ დარგის ხელსაყრელობის გამო, საკონტროლო ციფრებში და აგრეთვე ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებანი მეღორეობის ჩქარი ტემპით განსავითარებლად.

რაც შეეხება მთელ კავშირს, მესაქონლეობა 1927-28 წ. იდგა 1926-27 წ. დონეზე; 1926-27 წ. კი წინა წელთან შედარებით იძლევა მატებას 9.3 პროცენტით. ამრიგად, საქართველოში მესაქონლეობა 1928 წ. იძლევა მატებას 3,1 პროცენტით წინა (1927) წელთან შედარებით, რომელიც თავის მხრივ იძლევა მატებას 5,3 პროცენტით წინა (26) წელთან შედარებით. ცხადია, მესაქონლეობა საქართველოში უფრო ინტენსიურად იზრდება, ვიდრე მთლიანად საბჭოთა კავშირში.

საანგარიშო წელში სოფლის მეურნეობის ახალორძინებლად და მის განსაზოგადოებულ სექტორის გასადიდებლად მიღებული ღონისძიებანი უმნიშვნელო იყო. ასე, მაგ., განსაზოგადოებულ სექტორს 1928 წ. მოხმარდა 1 მილ. 813 ათ. მან., აქედან 843 ათ. მან. საბჭოთა მეურნეობებს და 470 ათ. კოლექტიურ მეურნეობებს. რაც შეეხება თვით გლეხობის მიერ საკუთარ ინდივიდუალურ მეურნეობებში დაბანდებულ კაპიტალის რაოდენობას, ამის შესახებ ჯერ-ჯერობით არავითარი ცნობები არ გვაქვს. მომავალი წლის საკონტროლო ციფრების ამოცანაა გამოარკვიოს გლეხების საკუთარი დაბანდების რაოდენობა ინდივიდუალურ მეურნეობებში; ამ მიმართულებით საგეგმო კომისია უკვე შეუდგა მუშაობას.

არ იქნება ინტერესს მოკლებული აქვე აღვნიშნოთ, რომ მთელ საბჭოთა კავშირში განსაზოგადოებულ სექტორს მოხმარდა 100 მილ. მანეთი, აქედან 62 მილ. კოლექტიურ მეურნეობებს, 35 მილ. მან. დაბანდებულ იქნა უკვე არსებულ კოლმეურნეობებში და 7 მილიონი დაიხარჯა მარცვლეულ ტრესტის მოსაწყობად მიმართულ წინასწარ სამუშაოზე.

როგორც ვიცით, კოლმეურნეობათა მშენებლობამ განსაკუთრებით ჩქარი ტემპით 1928 წელს იწყო განვითარება. კოლმეურნეობათა მიწის ფართობი 15.330 დეს. უდრის აქედან მარცვლეულ კულტურებს უკავია 8784 დესეტინა, ინტენსიურ კულტურებს 2073,8 დეს., ტეხნიკურ კულტურებს 1895 დეს. საერთო და საქონლითი პროდუქცია არ არის გამორკვეული.

ვიმეორებთ, ჩვენი სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორი არ არის შესწავლილი. ეს საკითხი ერთ-ერთ ძირითად საკითხათ უნდა შეიქნეს მომავალი წლის საკონტროლო ციფრების დამუშავებაში. საგეგმო კომისია ამთავითვე უნდა შეუდგეს კოლმეურნეობათა შესწავლის საქმეს.

ზედიზედ მოუსავლიანმა ორმა წელმა უარყოფითი გავლენა იქონია ჩვენი სოფლის მეურნეობაზე, დაწყებული 1924-25 წ., როდესაც ჩვენმა სოფლის მეურნეობამ მიაღწია ომის წინა დროის დონეს. ამის შემდეგ კი სოფლის მეურნეობის განვითარება უფრო ნელი ტემპით მიდის. მიმდინარე წლის საკონტროლო ციფრების და ხუთწლიანი გეგმის **ძირითადი ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა გავანთავისუფლოთ და ნაკლებად დამოკიდებული გავხადოთ ბუნებრივ პირობებისა და სხვადასხვა სტიქიურ უბედურებათაგან.** აქ არ ვეხებით საამისო ღონისძიებებს, რომელთა ანალიზი მოცემული იქნება თავის დროზე სპეციალურ წერილში.

მთელ სოფლის მეურნეობასა და სოციალ-კულტურულ მშენებლობაში ჩაბმულ დაქირავებულ მუშა-ხელის მატება უდრის 6,7 პროც. მთელი მოსახლეობის მატება კი შეადგენს 2,2 პროცენტს.

დაქირავებულ მუშა-ხელის მატება მთელ საბჭოთა კავშირში 1927-28 წ. უდრის 3,7 პროცენტს, მოსახლეობის ზრდა 2,2 პროც., როგორც მოყვანილი ცნობებიდან სჩანს, საქართველოში მუშა-ხელის რაოდენობის ზრდა მთელ საბჭოთა კავშირთან შედარებით ყ სწრაფად მიმდინარეობს. მოსახლეობის საშუალო მატება კი ჩვენში ნაკლებია, ვიდრე საბჭოთა კავშირში. საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკებსა და რაიონებში მოსახლეობის ყოველწლიური მატება 4,5 პროც. შეადგენს.

ეს ცნობები გვიჩვენებს, რომ სამეურნეო ცხოვრება საკმაო ჩქარი ტემპით ვითარდება, ხოლო მოსახლეობის ზრდა კი ვერ მისდევს მას კვალდაკვალ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვისა, სხვადასხვა [illegible] ავათმყოფობათა და ეკონომიურად ჯერ კიდევ არა საკმაო უზრუნველყოფის გამო.

საკონტროლო ციფრები და განსაკუთრებით კი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებენ აუცილებელ ღონისძიებებს მუშა-ხელის გასადიდებლად და შესანარჩუნებლად.

მსხვილ (ცენზიან) სამრეწველობაში მუშა-ხელის ზრდა უდრის 17,9 პროცენტს, წინააღმდეგ 7 პროცენტით ზრდისა საბჭოთა კავშირში.

ხელფასი სახელმწიფო მრეწველობაში (ცენზიანში) გადიდდა 7,5 პროცენტით, საერთო-საკავშირო 10,5 პროცენტის წინააღმდეგ.

შრომის ნაყოფიერებამ (თითეულ მუშის გამომუშავება) 2,3 პროც.-ით აიწია, საერთო-საკავშირო 14,5 პროც.-ის წინააღმდეგ.

როგორც ვხედავთ, გასულ 1927-28 წ. გვაქვს შრომის ნაყოფიერების უმნიშვნელო ზრდა, მიუხედავათ იმისა, რომ უმაღლეს ორგანოების **საერთო-საკავშირო** დირექტივის მიხედვით შრომის ნაყოფიერება 17,8 პრ. უნდა გაზრდილიყო. ეს გარემოება ერთის მხრივ აიხსნება იმით, რომ ჩვენი ხელმძღვანელი ორგანიზაციები, აგრეთვე წამოწყებათა ტრესტების მეთაურები და პროფკავშირები ამ საკითხს ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ, რის გამო ძლიერ ნელი ტემპით წარმოებდა მრეწველობის რაციონალიზაცია. მეორე მხრივ—შრომის ნაყოფიერების ზრდას ხელს უშლიდა შემდეგი გარემოება: როგორც ვიცით, გასულ 1927-28 წ. ჩვენ ავამუშავეთ მრავალი ახალი სამრეწველო წამოწყებანი, სადაც იმთავითვე მუშაობა რაციონალურად ვერ დავაყენეთ. მრეწველობაში ჩვენ დიდი რაოდენობით ჩავაბით ახალი, საქარხნო-საფაბრიკო შრომას შეუჩვეველი „ნედლი" მუშები, რომელთაც შეუძლებელი იყო უარყოფითი გავლენა არ მოეხდინათ შრომის ნაყოფიერების ზრდაზე.

თვალში გვეცემა ის გარემოება, რომ ძლიერ ჩქარი ტემპით იზრდება სახელმწიფო მრეწველობის მოთხოვნილება მუშა-ხელზე—17,9 პროცენტით მეტად წინა წელთან შედარებით; მაშინ, როდესაც მთელი კავშირის მიხედვით მისი ზრდა 7 პროცენტით გამოიხატება. აბსოლუტურ ციფრებში მუშათა რიცხვი იყო: 1927-28 წ. 15.945, 1926-27 წ. კი 13.528.

უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ხელფასის მატება სოციალ-კულტურულ სექტორში შრომის დანარჩენ დარგების საშუალო ზრდაზე მეტია; განათლების დარგში ის უდრის 11,4 პროცენტს, ჯანმრთელობისაში 6,6 პროცენტს.

მთელ საბჭოთა კავშირში სოციალ-კულტურულ სექტორში შრომის ხელფასის ზრდა 12,6 პროცენტით გამოიხატება.

1927-28 წ. გაფართოვდა უმუშევრებისათვის დახმარების აღმოჩენის საქმე (+63,7 პროც.), უმუშევართა რიცხვის 27,6 პროცენტით გადიდების დროს.

საერთოდ მთელ კავშირში უმუშევართა რიცხვი 28 პროცენტით გაიზარდა.

საქონლის საერთო ბრუნვა გადიდდა 4,6 პროცენტით, 23,6 პროცენტის წინააღმდეგ 1926—27 წ. საქონლის ბრუნვის ასეთი შემცირება 1926 წელთან შედარებით აიხსნება საქონლის ნაკლებობით და სოფლის სყიდვითი უნარიანობის შემცირებით სასოფლო მეურნეობის საერთო და საქონლითი პროდუქციის შემცირებასთან დაკავშირებით.

საქონლის საერთო ბრუნვის 4,6 პროც. ზრდისას, განსაზოგადოებული სექტორი იძლევა საქონლის ბრუნვის 15,2 მატებას.

კერძო საქონლის ბრუნვა 20 პროც. შემცირდა, რის გამო კერძო ვაჭრობის ხვედრითი წონა საერთო სავაჭრო ბრუნვაში შემცირდა 30,2 პროცენტიდან 1926—27 წ. 23,1 პროცენტამდე 1927—28 წ.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას, ჯერ-ჯერობით ის არ არის გამოანგარიშებული. უნდა ვიფიქროთ, რომ 1927—28 წ. ბიუჯეტი სავსებით იქნება შესრულებული.

სახელმწიფო ბიუჯეტი 1927—28 წ. უდრიდა 41,13 მილ. მან. (+ 6,8 პროც. 1926—27 წ. წინააღმდეგ) რესპუბლიკანური ბიუჯეტი—25,18 მილ. მან. (+1,5 პროც. 1926—27 წ. წინააღმდეგ).

რაც შეეხება ადგილობრივ ბიუჯეტს, ის უდრიდა 49,01 მილ მან. (+14,5 პროც. 1926—27 წ. წინააღმდეგ).

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხაზით ჩვენ გვაქვს მიღწევები. 1927—28 წ. ამ ხაზის კოოპერაციის წევრების რაოდენობა გაიზარდა 110600-დან 149100-მდე (+34,8 პროც.).

სამომხმარებლო კოოპერაციამ გაადიდა თავის წევრთა რაოდენობა 289100-დან 356.800-მდე (+21,9 პროც.).

შინამრეწველ-ხელოსანთა კოოპერაციამ მოგვცა თავის წევრთა მნიშვნელოვანი ზრდა—2.500-და 7.600-მდე (+205,1 პროც.). საერთოდ უნდა ითქვას, რომ შინამრეწველ-ხელოსანთა კოოპერაცია ჩვენში ჯერ-ჯერობით სუსტად მუშაობს. 1928—29 წლის საკონტროლო ციფრებში გათვალისწინებულია შინამრეწველ-ხელოსანთა კოოპერაციის განვითარების ჩქარი ტემპი და მთელი რიგი საორგანიზაციო ღონისძიებები შინამრეწველ-ხელოსანთა კოოპერაციის გასამტკიცებლად და გასაფართოვებლად.

საბინაო-საამშენებლო კოოპერაციამაც მოგვცა მნიშვნელოვანი ზრდა. წევრთა რიცხვი გადიდდა 1100-დან 1300-მდე (+18,2 პროც.), მიუხედავად ამისა საბინაო კოოპერაციის მშენებლობის განვითარების ტემპი მაინც არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. უნდა დაჩქარდეს ამ სახის კოოპერაციის განვითარება, ვინაიდან კერძო მშენებლობამ გასულ წელში თითქმის არაფერი არ მოგვცა.

(დასასრული იქნება)

**ა. კვირიკაძე.**

# საბჭოთა არჩევნებისათვის

**გავაძლიეროთ მოჯამაგირეთა და ღარიბთა აქტივობა, გავაძლიეროთ მათი ორგანიზაცია კულაკებთან საბრძოლველად.—გავაძლიეროთ პროლეტარიატის დიქტატურა ლენინის ლოზუნგის გატარებით: შეთანხმება საშუალო გლეხობასთან, შეუწყვეტელი ბრძოლა კულაკების წინააღმდეგ, მჭიდროდ დაყრდნობა მხოლოდ ღარიბებზე.—არც ერთი კულაკი, არც ერთი ნეპმანი, არც ერთი ანტისაბჭოთა ელემენტი არა თუ საბჭოში, არამედ ამრჩეველთა სიებშიც!.--გაუმარჯოს საბჭოების--პროლეტარული დიქტატურის ორგანოებს!**

## ქუთაისის მაზრაღმასკომის გაფართოებული პლენუმი

15 დეკემბერს ქუთაისში მოწვეული იყო ქუთაისის სამაზრო აღმასკომის გაფართოებული პლენუმი თემაღმასკომების თავმჯდომარეებისა, თემზე მიმაგრებულ ამხანაგებისა და ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად.

პლენუმს დაესწრო საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ამხ. **დ. ქუჩულორია**, რომელმაც ვრცელი მოხსენება გააკეთა საბჭოთა არჩევნების პოლიტიკურ და ორგანიზაციულ საკითხების შესახებ. მოხსენების გარშემო გაიმართა ცხოველი კამათი, რომლიდანაც გამოირკვა, რომ ქუთაისის მაზრაში მოსამზადებელი მუშაობა სუსტად სწარმოებს.

ქუთაისის სამაზრო პარტკომის ქალთა განყოფილების გამგემ ამხ. **კოსტავამ** ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საბჭოთა ორგანოებში ქალთა დაწინაურების საკითხს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. ხელმძღვანელი ორგანოები ქალთა დაწინაურების საქმეს უცქერიან გულცივად, სწორედ ამის ბრალია, რომ ამჟამად მაზრის ყველა საბჭოებში ქალები შეადგენენ მხოლოდ 9 პროც. ეს იმ დროს, როცა ქუთაისის მაზრა ითვლება ერთ-ერთ მოწინავე მაზრად. ქალების აქტივობის გაზრდის მიზნით, საჭიროა თემებში მამაკაცებთან ერთად გაგზავნილ იქნენ ქალებიც. ამხ. კოსტავას საჭიროდ მიაჩნია მიღებული იქნეს შესაფერი ღონისძიებები საბჭოებში ქალთა რიცხვის 20-30 პროცენტის გახადიდებლად.

სამტრედიის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **გეგია** ეხება გლეხების ჯგუფებად დაყოფის საკითხს და აღნიშნავს, რომ ამ მხრივ შეიძლება დიდ გაუგებრობას ექნეს ადგილი სოფლად, ვინაიდან საკითხის ადგილობრივ გასარკვევად არავითარი. მუშაობა არ სწარმოებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქუთაისის სამაზრო განათლების მუშაკთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. **ბახტაძის** გამოსვლა. მან თავის სიტყვაში გაატარა ის აზრი, რომ მოჯამაგირეების აქტივობის გაზრდით შეიძლება მოვიმდუროთ საშუალო გლეხობა. მანვე გაილაშქრა თემაღმასკომების თავმჯდომარეებად ქალების წამოყენების წინააღმდეგ; ამ შემთხვევაში თავის აზრს ის ასაბუთებდა იმ გარემოებით, რომ დღეს სოფლად გამწვავებულია კლასთა ბრძოლა და რომ ამ ბრძოლაში ქალები ვერ გამოიჩენენ საჭირო უნარიანობას.

როდესაც ამხ. ბახტაძეს შეეკითხენ, თუ რა გააკეთა და როგორი ზომები მიიღო განათლების მუშაკთა კავშირის გამგეობამ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, მან განაცხადა, რომ კავშირის გამგეობას ჯერ-ჯერობით ამ მხრივ არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს და უცდის სამაზრო საარჩევნო კომისიის მითითებებსო. ეს იმ დროს, როცა საბჭოთა არჩევნებში კავშირების მონაწილეობის შესახებ არსებობს როგორც საკავშირო პროფსაბჭოს მიმართვა ყველა კავშირისადმი, ისე საქ. პროფსაბჭოს ცირკულიარული წერილი. გარდა ამისა, საბჭოთა არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები განხილული იყო სრ. საქ. პროფკავშირთა ყრილობაზე, რომელზედაც მიღებული იქნა შესაფერი რეზოლიუცია კავშირების არჩევნებში მონაწილეობის შესახებ.

ამას უნდა დაუმატოთ ცენტრ. საარჩევნო კომისიის ღონისძიებები და პრესაში გაჩაღებული კამპანია. ყველაფერი ეს არ შეიძლება არ სცოდნოდა ქუთაისის სამაზრო განათ. მუშაკთა კავშირის გამგეობას, ასე რომ აქ ადგილი აქვს დაუდევრობას და არჩევნებისადმი არასერიოზულ ყურადღების მიქცევას. შემდეგ გამოსულ ორატორებმა, მათ შორის მუშა-ქალმა ამხ. **ფანცხავამ**, შესაფერი პასუხი გასცეს ამხ. ბახტაძეს.

ამხ. **ფანცხავამ** აღნიშნა, რომ ქალების დაწინაურებას მარტო ბახტაძე არ უცქერის ასე. ამხანაგების უმრავლესობა არა თუ ხელმძღვანელობას უწევს ქალებს, არამედ ხელს უშლის მათ აქტიურად ჩაებან საბჭოთა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

საყურადღებო იყო თემაღმასკომების თავმჯდომარეთა **ჯანჯალიას** და **შაქალაშვილის** გამოსვლა, რომლებმაც საჭიროდ აღიარეს დაწინაურებისათვის შესაფერი მუშაობის გაძლიერება, ამავე დროს აღნიშნეს, რომ ქალთა განყოფილება ადგილებს არ უწევს სათანადო ხელმძღვანელობას. არის თემები, სადაც ქალთა განყოფილების წარმომადგენელი ერთხელაც არ ყოფილა და სხ.

შაქალაშვილმა (სოფ. უხუთი) აგრეთვე აღნიშნა, რომ მოსამზადებელ მუშაობას აფერხებს ის გარემოება, რომ მიმაგრებული ამხანაგები ზოგიერთ თემებში ჯერაც არ არიან გაგზავნილნი. გარდა ამისა სოფლად ზოგიერთი მასწავლებლები არა თუ ეხმარებიან ადგილობრივ ორგანოებს, პირიქით ხელს უშლიან მათ.

კამათში მონაწილეობა მიიღო 16 ამხანაგმა. კამათის დროს წამოჭრილ საკითხებზე პასუხის გაცემის შემდეგ პლენუმმა მიიღო შესაფერი რეზოლიუცია.

რ.

## საბჭოთა ნაწილობრივი არჩევნების შედეგები

### (საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილების ცნობებით).

ვინაიდან ზამთრობით მთიან ადგილებში შეუძლებელი ხდება საბჭოთა არჩევნების წარმატებით ჩატარება, საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა საერთო არჩევნებამდე საქართველოს მთიან ადგილებში ჩატარებული ყოფილიყო საბჭოთა ნაწილობრივი არჩევნები.

საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილების ცნობით საბჭოთა ნაწილობრივი არჩევნები უკვე ჩატარებულ იქნა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის რვა რაიონში, თბილისის მაზრის ოთხ თემში, კახეთის მაზრის ერთ თემში, გორის მაზრის ექვს თემში და ახალციხის სამ თემში.

საბჭოთა არჩევნები პირველ სამ ერთეულში უნდა დამთავრებულიყო 15 ოქტომბრამდე, გორის მაზრაში 30 დეკემბრამდე, ხოლო ახალციხის მაზრაში 30 დეკემბრამდე.

გარდა ამისა, საბჭოთა ნაწილობრივი არჩევნების ჩატარებას შეუდგენ აჭარისტანშიაც.

განსაზღვრულ ვადაში ნაწილობრივი არჩევნები ვერ იქნა ჩატარებული, რის გამო დაგვიანდა არჩევნების შესახებ საბოლოო ცნობების შეკრებაც. ზოგიერთ მაზრიდან (გორი) მასალები ჯერაც არ არის მიღებული.

ამრიგად ქვემოდ მოყვანილი ცნობები ეხება მხოლოდ 4 ერთეულს, სადაც არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამრჩეველთა შემდეგმა რაოდენობამ (პროცენტებში):

| | 1927 წ. | | 1928 წ. | | სულ | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | კაცი | ქალები | კაცი | ქალები | 1927 | 1928 |
| სამხ. ოსეთში (8 რაიონი) | 69,2. | 35,2. | 62,4. | 45,8 | 58,3 | 55,2 |
| კახეთის მაზ. (1 თემი) | 49,5. | 441,9. | 97,0. | 34,8: | 45,8: | 64,5: |
| თბ. მაზრაში (6 თემი) | 54,4. | 6,5. | 73,2. | 7,1: | 29,2: | 39,7: |
| ახალციხის მაზრაში (3 თემი) | 70,1: | 34,7. | 62,3. | 41,7. | 53,9: | 52,8: |

### ამრჩეველთა აქტივობა

თუ ავიღებთ ამრჩეველთა აქტივობის საერთო სურათს სამხრეთ-ოსეთში (8 თემში ამრჩეველთა რიცხვი უდრის 15,080) და ახალციხის მაზრაში (სადაც 3 თემში ამრჩეველთა რიცხვი შეადგენს 4808), დავინახავთ, რომ გასულ წელთან შედარებით ამრჩეველთა აქტივობა შენელებულია და შემცირებულია არჩევნებში მონაწილეთა რიცხვი. ხოლო კახეთის მაზრის ერთ თემში, სადაც 1,020 ამრჩეველია და თბილისის მაზრის ხევსურეთის 4 თემში, სადაც ითვლება 3.977 ამრჩეველი, ამრჩეველთა აქტივობა შედარებით გაიზარდა, თუმცა საერთოთ ხევსურეთში ამრჩეველთა აქტივობა დაბალი რჩება.

რაც შეეხება კერძოდ ქალთა მონაწილეობას ნაწილობრივ არჩევნებში, ამ მხრივ მდგომარეობა უკეთესია, მაგალითად, სამხრეთ-ოსეთში ქალთა აქტივობა გაზრდილია 10 პრ., ხევსურეთში (თბ. მაზრა) 6 პროცენტით.

### საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებულნი

**სამხრეთ-ოსეთში** — 15,398 სრულწლოვან მცხოვრებიდან საარჩევნო ხმის უფლება წაერთვა 322 მოქალაქეს, ე. ი. 2,1 პროცენტს, გასულ წელს უფლება წართმეულთა რაოდენობა უდრიდა 1,5 პროც.; **კახეთის მაზრაში**—1,052 მცხოვრებიდან საარჩევნო ხმის უფლება წაერთვა 32 მოქალაქეს, ე. ი. 3,0 პრ., გასულ წელს მათი რაოდენობა უდრიდა 6,7 პრ.; **თბილისის მაზრის** იმ თემებში, სადაც ჩატარებული იქნა ნაწილობრივი არჩევნები, სრულწლოვან მცხოვრებთა რაოდენობა უდრის 7,165. აქედან საარჩევნო ხმის უფლება წაერთვა 6 კაცს, ანუ 0,1 პროცენტს. შარშან კი უფლება წართმეულთა რაოდენობა უდრიდა—11 პრ.

ამრიგად საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებულთა რიცხვი სამხრეთ-ოსეთში გაიზარდა 5-ით, დანარჩენ მაზრებში ადგილი აქვს მათი რიცხვის შემცირებას.

### ქალები საბჭოებში

სამხრეთ-ოსეთში საბჭოებში წელს ქალთა მონაწილეობა გაიზარდა 2,2 პროცენტით. სამხრეთ-ოსეთის იმ თემებში, სადაც წელს ჩატარებული იქნა საბჭოთა ნაწილობრივი არჩევნები, 1927 წელს საბჭოების წევრთა საერთო რიცხვის 7,0 პროცენტს შეადგენდნენ ქალები, ამჟამად კი ისინი შეადგენენ 9,2 პროცენტს. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა თბილისის მაზრაში (ხევსურეთში), სადაც თემსაბჭოების 70 წევრს შორის მხოლოდ ერთი ქალია არჩეული.

### საბჭოებში არჩეულთა სოციალური მდგომარეობა

სამხრეთ-ოსეთში (8 თემი) საბჭოებში 1927 წ. არჩეულთა 90,5 პრ. შეადგენენ გლეხები, ხოლო 9,5 პრ. მოსამსახურეები: თბილისის მაზრის ხევსურეთის თემებში გლეხები შეადგენდენ 83,9 პრ., მოსამსახურეები—6,1 პრ., წელს სამხრეთ-ოსეთში საბჭოებში არჩეულთა 83,2 პრ. შეადგენენ გლეხები, ხოლო 15,7 პრ.—მოსამსახურეები, თბ. მაზრაში გლეხები შეადგენენ 85,5 პრ., მოსამსახურეები 14,5 პრ. შარშან სამხრეთ-ოსეთის იმავე თემებში მოჯამაგირეები შეადგენდნენ საბჭოს წევრთა 0,5 პროცენტს, წელს კი შეადგენენ—4,1 პროცენტს.

წელს ნაწილობრივ არჩევნებში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ სამხრეთ-ოსეთის ახლად არჩეულ საბჭოებში შემცირებულია უღარიბეს გლეხთა რიცხვი (სას.-სამ. გადასახადისაგან განთავისუფლებულნი). ამავე დროს საბჭოებში გაიზარდა იმ გლეხების რიცხვი, რომლებიც სულზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადს იხდიან ერთ მანეთამდე. 4 პროცენტით გაიზარდა აგრეთვე იმ გლეხების რიცხვიც, რომლებიც იხდიან სას.-სამ. გადასახადს 1—2 მანეთამდე და 0,5 პროცენტით იმათი რიცხვი, რომლებიც იხდიან 5—10 მანეთამდე.

გასულ წელს საბჭოებში კომუნისტურ პარტიის წევრები და კანდიდატები შეადგენდნენ: სამხრეთ-ოსეთში (8 თემში)—24,0 პრ., კახეთის მაზრაში (1 თემში)—11,1 პრ., თბილისის მაზრაში (ხევსურეთის თემებში)—22,6 პროცენტს. კომკავშირლები: სამხრეთ-ოსეთში —11 პროც., კახეთის მაზრაში კომკავშირლები სრულებით არ ყოფილა არჩეული, ხევსურეთში 4.8 პროცენტს; უპარტიოები შეადგენდნენ: სამხრეთ-ოსეთში—65 პროც., კახეთის მაზრაში—88.9 პრ.

წელს კომუნისტური პარტიის წევრები და კანდიდატები შეადგენენ: სამხრეთ-ოსეთში—32,2 პრ., კახეთის მაზრაში—11,8 პრ., ხევსურეთში—14,5 პრ.; კომკავშირლები: სამხრეთ-ოსეთში—14,7 პრ., კახეთის მაზრაში კომკავშირლები სრულებით არ არის არჩეული, ხევსურეთში—8,7 პროცენტს. უპარტიოები შეადგენენ: სამხრეთ-ოსეთში—53,0 პრ., კახეთის მაზრაში—88,2 და ხევსურეთში—76,8 პროცენტს.

ამრიგად საერთოდ შემჩნეულია პარტიულ ელემენტებისა და კომკავშირლების რიცხვის ზრდა საბჭოებში. მართალია ხევსურეთში (თბილისის მაზრაში) პარტიის წევრთა რიცხვი შემცირებულია 5-ით, მაგრამ სამაგიეროდ ორ წილად გაიზარდა კომკავშირლების რიცხვი.

## მუშათა კლუბების და სამხატვრო წრეების ხელმძღვანელთა თათბირი

გუშინ დილით პროფსაბჭოს კულტგანყოფილების თაოსნობით შესდგა პროფკავშირთა კლუბების, სამხატვრო წრეების და წითელი კუთხეების ხელმძღვანელთა თათბირი. თათბირის დღის წესრიგში იდგა: 1) საბჭ. არჩევნების კამპანია და კლუბებისა და სამხატვრო წრეების როლი კამპანიის ჩატარებაში. 2) საქალაქო კონფერენციის მოწვევა სამხატვრო მუშაობის შესახებ.

### კლუბებისა და წრეების მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში

(მომხსენებელი ამხ. ქშონზერი)

მომხსენებელი ეხება რა არჩევნების პოლიტიკურ მნიშვნელობას, ვრცლად ჩერდება კლუბებისა და სამხატვრო წრეების განსაკუთრებულ როლზე ამ კამპანიის ჩატარებაში. საანგარიშო კამპანიის ჩატარებაში მეტი მნიშვნელობა ეძლევა კლუბებს, რომლებმაც, პირველ ყოვლისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ლექცია-მოხსენებების მოწყობას. კლუბებმა ამ თავითვე უნდა შეარჩიონ თემები მოხსენებისათვის და გამოძებნონ სამიხოთ ლექტორ-მომხსენებლები. მოხსენებები უნდა იქნეს ცოცხალი და რაც შეიძლება მოკლე, ქალაქის საბჭოს მუშაობის ყველა დარგის შემცველი.

არა ნაკლებ მნიშვნელოვან როლის შესრულება შეუძლიათ დრამატიულ წრეებს, რომლებმაც თავისი მუშაობა საარჩევნო პერიოდში უნდა შეუფარდონ კამპანიის მიმდინარეობას. კულტგანყოფილებას მწერლებისა და ლიტერატორებისათვის გადაცემული აქვს მასალები თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ; ეს მასალები მათ მხატვრულ-დრამატიულ ფორმებში უნდა დაამუშაონ. ამ მასალის დამუშავებისთანავე იგი გადაეგზავნება კლუბთან არსებულ დრამატიულ წრეებს გამოსაყენებლად. ამავე დროს შერჩეულია ამ არჩევნებისათვის სპეციალური საარჩევნო დრამატ. ლიტერატურა, რომელიც ითარგმნება ქართულ ენაზე და ამ მოკლე ხანში გადაეცემა ამავე წრეებს.

უკანასკნელ ხანებში ცოცხალმა გაზეთებმა შეაჩერეს თავისი გამოსვლა მუშათა კლუბებში. ამ არჩევნებისათვის კულტურული მუშაობის ეს ფორმაც უნდა აღორძინდეს. მრავალ კლუბებთან ცოცხალი გაზეთის შემადგენლობა დაშლილია. კლუბებმა ახლავე უნდა მოუყარონ მათ თავი და დაამუშავონ ცოცხალი გაზეთებისათვის ის მასალები, რომელიც მათ გადაეცემათ. ასეთივე მობილიზაცია უნდა გაუკეთონ კლუბებმა მომღერალთა გუნდებს, რომელთაც მაინც და მაინც დიდი მუშაობა არ დასჭირდებათ, რადგან მათ უკვე შესწავლილი აქვთ მრავალი რევოლიუციონური სიმღერები, რომლებითაც ეხლაც შეიძლება გამოსვლა. ასე უნდა მოიქცენ მუსიკალური წრეებიც. ფართო ასპარეზი უნდა მიეცეს ამ კამპანიაში კლუბებთან მომუშავე მხატვრებსაც, რომლებმაც წარსულში საკმაო უნარი და ცოდნა გამოიჩინეს. მათ უნდა დახატონ პლაკატები, ლოზუნგები, რომლებიც კლუბებმა უნდა გამოაფინონ ყველგან, სადაც კი მოსახერხებელია. ამავე მხატვრების დახმარებით უნდა მოეწყოს ყველა კლუბებში საბჭოთა აღმშენებლობის გამოფენები. უნდა დაიხატოს დიაგრამები, შესდგეს სტატისტიკური ცხრილები, მოდელები, მაკეტები და სხვ. გამოფენა უნდა მოეწყოს არა მივარდნილ ჩაკეტილ ოთახში, არამედ ფოიეში, გაშლილ დარბაზებში:—იქ, სადაც ხალხი იკრიბება. გამოფენა უნდა შეიცავდეს ექსპონატებს მშენებლობის ყველა დარგებიდან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ექსპონატებს იმ რაიონის მშენებლობიდან, სადაც კლუბი მუშაობს. გამოფენა უნდა იძლეოდეს იმის შედარებით სურათს, თუ როგორი იყო თბილისი ამ რამოდენიმე წლის წინათ და რა არის დღეს. იქვე შეიძლება მოთავსდეს ამ რაიონის მუშა დეპუტატების, საბჭოთა თანამდებობებზე დაწინაურებული მუშების სურათები და სხვ. შემდეგ მომხსენებელი ჩერდება კედლის გაზეთის მუშაობაზე და მოკლედ განმარტავს მათ როლს ამ კამპანიაში.

### აზრთა გაცვლა-გამოცვლა

მოხსენების გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს ორატორებმა აღნიშნეს, რომ არჩევნებთან დაკავშირებით მხატვრული მუშაობის ჩატარება სავსებით დამოკიდებულია კულტგანყოფილებაზე, რომელმაც უნდა მოამზადოს და მიაწოდოს კლუბებსა და წრეებს საჭირო მასალები. კულტგანყოფილებამ უნდა დააჩქაროს ამ მასალების შედგენა, რადგან 5 იანვრამდე, ე. ი. იმ ვადამდე, როცა კულტგანყოფილების განკარგულებით კლუბები და წრეები უნდა შეუდგენ მუშაობას, ძალიან მცირე დრო დარჩა და კლუბები ვერ მოასწრებენ პიესების მომზადებას, ცოცხალი გაზეთების, მომღერალთა გუნდების გაწვრთნას, კედლის გაზეთების შედგენას და სხვ.

თათბირმა ქშონზერის მოხსენება მიიღო სახელმძღვანელოდ და გამოჰყო კომისია კლუბებისა და წრეებისათვის სამუშაო გეგმის შესამუშავებლად.

## როგორ მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა

### კახეთის მაზრაში

(წერილი გურჯაანიდან)

საბჭოების გადასარჩევი წინასწარი მუშაობა გაცხოველებულად მიმდინარეობს. თემებზე მიმაგრებულია 35 პასუხისმგებელი ამხანაგი. ამ დღეებში მაზრაში შესდგა მათი თათბირი სადაც საფუძვლიანად გაეცნენ ინსტრუქციებს. 9 დეკემბერს ყველა მათგანი გაემგზავრა თავ-თავიანთ რაიონებში. ადგილებზე იწვევენ საარჩევნო კომისიის წევრებს, ამუშავებენ გეგმებს, ყოფენ თემებს საარჩევნო უბნებათ. უკვე შეუდგნენ აღწერას და სიების შედგენას. ყველა თემებში იწვევენ ყველა ორგანიზაციების და სოფლის აქტივის სათემო თათბირებს სადაც შუქდება საარჩევნო საკითხები. დიდ მონაწილეობას იღებს სამზადისში სოფლის მასწავლებლობა. ზოგიერთ ადგილებში მათ მოახდინეს კულაკის ლიტერატურული გასამართლება, რაც დიდ ინტერესს იწვევს საშუალო და ღარიბ გლეხობაში. სამკითხველოები უშვებენ სპეციალურ კედლის გაზეთებს ინსტრუქციის გაცნობას ფართო ხასიათი მიეცა: მას ეცნობიან ღარიბების, მუშა-მოსამსახურების, მოჯამაგირეების ჯგუფები. საინტერესოა ის მოვლენა, რომ ღარიბები და მოჯამაგირეები ზოგან მოითხოვენ რომ სეზონურად მუშა-ხელის დამქირავებლებსაც აეკვეთოს ხმის უფლება.

კულაკობაც დიდ ინტერესს იჩენს არჩევნების სამზადისისადმი. ისინი ცდილობენ კრებებზე დასწრებას და ყური უგდონ ინსტრუქციის ახსნა-განმარტებას. როდესაც მათ ითხოვენ—გარედან მაინც უგდებენ ყურს. ძალიან ცდილობენ აღიდგინონ ჩამორთმეული საარჩევნო უფლება. ბევრ მათგანს მოაქვს ექიმების მოწმობა, თავიანთ ავადმყოფობაზე. რაც ვითომ უფლებას აძლევს მათ დაქირავებული შრომით სარგებლობისა, ვაჭრობისა და სხვა.

თვალსაჩინოა კომკავშირის მონაწილეობაც ქ. გურჯაანში მოწვეული იყო კომკავშირის ორგანიზაციის სამაზრო პლენუმი, რომელზედაც სპეციალური მოხსენება იდგა არჩევნების შესახებ. ადგილებს მიეცათ დირექტივები ადგილობრივ კონფერენციების მოწყობის შესახებ მოჯამაგირეებთან და უპარტიო ახალგაზრდობასთან.

საბჭოს წევრი კომკავშირლები აბარებენ ანგარიშებს ასეთ კონფერენციებზე. აგრეთვე იმუშავებენ კანდიდატთა სიას, რომელთა წამოყენება სასურველია საბჭოებში.

ამხ. კოხტაშვილის მიერ (აღმასკომის საორგ. განყოფილების გამგეა) დათვალიერებულ იქნა 11 თემი ყ. თელავის მაზრაში მიმდინარე მუშაობის შემოწმების მიზნით.

ზოგან აღმოჩენილია დეფექტები, რაც გამოიხატება სხვადასხვა ორგანიზაციების კამპანიაში სუსტ მონაწილეობაში (კოოპერაცია, გლეხკომები), სიების შედგენაში შეცდომების დაშვებით, ინსტრუქციის მუხლების არა სწორად განმარტებაში და სხვა ერთ მომხსენებელს ინსტრუქცია ისე გაუშუქებია თითქოს 60 წელზე ზევით მოქალაქეებს მხოლოდ სათათბირო ხმა ქონოდეთ) ყველა ასეთი მოვლენების წინააღმდეგ მიღებულ იქმნა სათანადო ზომები.

25 დეკემბრისათვის წინასწარი მუშაობა უნდა იქმნეს დამთავრებული და მუშაობის შესაჯამებლად მაზრის ცენტრში მოწვეული იქნება მიმაგრებულ ამხანაგების მეორე თათბირი.

ალაზნელი.

### ქუთაისის მაზრაში

ქუთაისის მაზრიდან დაბრუნდა საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ამხ. **დ. ქუჩულორია**, რომელმაც ქუთაისის მაზრაში საბჭოთა არჩევნებისათვის წარმოებულ მოსამზადებელი მუშაობის შესახებ ჩვენს გაზეთის თანამშრომელს განუცხადა შემდეგი:

მთელ მაზრაში ჩამოყალიბებულია როგორც სამაზრო, ისე სათემო-საქალაქო საარჩევნო კომისიები. თვითეულ თემზე მისამაგრებლად გამოყოფილია თითო პასუხისმგებელი ამხანაგი. შედგენილია საარჩევნო გეგმა მაზრის მასშტაბით. ადგილებზე დაწყებულია სიების შედგენა.

მოსამზადებელ მუშაობის მთავარ დეფექტებათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ თემებზე მიმაგრებული ამხანაგები ჯერაც არ არიან თემებში გაგზავნილნი, რის გამო მაზრის ცენტრმა არ იცის როგორ ტარდება მუშაობა ადგილებზე: სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დღემდე არ შეუდგენიათ არჩევნებში თავიანთი მონაწილეობის გეგმა; განსაკუთრებით მოისუსტებს ამ მხრივ პროფკავშირების მუშაობა.

არჩევნების პოლიტიკური მნიშვნელობა არ არის გაშუქებული მაზრაში. საერთოდ და, კერძოდ, ქალთა სადელეგატო კრებებზე, კომკავშირში, ღარიბთა ჯგუფებში, მოჯამაგირეთა შორის და სხვ.

აღსანიშნავია აგრეთვე შემდეგი გარემოება: მთელ მაზრაში გლეხობა დაყოფილია 4 ჯგუფად—ღარიბი, საშუალო, შეძლებული და კულაკური ნაწილი. ამ დაყოფის მიხედვით ღარიბები შეადგენენ 51,14 პროც., საშუალო—37,50 პრ., შეძლებული—8,78 პრ., კულაკური ნაწილი—5,4 პრ.

გლეხობის ასეთ ფენებად დაყოფას შეუძლია ადგილებზე გამოიწვიოს მრავალი შეცდომები. ამიტომ საარჩევნო სიების შედგენის დროს საჭიროა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებმა, საარჩევნო კომისიებმა და თემებზე მიმაგრებულებმა იხელმძღვანელონ მხოლოდ საარჩევნო ინსტრუქციით, რომლის მიხედვით გლეხობა დაყოფილი უნდა იქნეს 3 კატეგორიად—ღარიბი, საშუალო და კულაკური ნაწილი.

ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს და პარტორგანიზაციებს გადაწყვეტილი აქვთ დეკემბრის მეორე ნახევარში მოახდინონ საარჩევნო კომისიების სოციალურ და პარტიულ შემადგენლობის შემოწმება იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად დაცულია წარმომადგენლობითი ნორმა და გამოასწორონ შეცდომები, სადაც ასეთებს ექნება ადგილი.

გარდა ამისა არჩევნებთან დაკავშირებით ადგილებზე მოწვეული იქნება მოჯამაგირეთა და მათი კომიტეტების თათბირი, აგრეთვე ჩატარებული იქნება სოფლის მასწავლებელთა რაიონული თათბირები.

22 დეკემბრისათვის მოწვეულია ქალთა სადელეგატო კრებების სამაზრო კონფერენცია, 28 დეკემბერს შესდგება ღარიბთა ჯგუფების სამაზრო კონფერენცია; ამ დრომდე ადგილებზე ჩატარებული იქნება ღარიბთა ჯგუფების კრებები და სათემო თათბირები.

არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად და არჩევნების წარმატებით ჩატარების მიზნით შესაფერი ღონისძიებების გამოსამუშავებლად მაზრაში ჩატარებული იქნება რაიონული პარტიული და თემებზე მიმაგრებულ ამხანაგების თათბირები.

### საგარეჯოს თემში

(წერილი საგარეჯოდან)

მიმდინარე წლის ნოემბერში, თემების რაიონიზაციის შემდეგ, საგარეჯოს თემს შეუერთდა ყოფ. მანავის თემის ოთხივე სოფელი და აგრეთვე პატარძეულის თემის ორი სოფელი: [illegible] და [illegible]. გაერთიანებულ თემში უკვე დაიწყო მზადება საბჭოების არჩევნებისათვის. საგარეჯოში დაარსდა სათემო საარჩევნო კომისია 11 წევრის შემადგენლობით და მანავში სასოფლო საარჩევნო კომისია 5 წევრის შემადგენლობით. საარჩევნო კომისიები უკვე შეუდგნენ მოსამზადებელ მუშაობას. თემი დაიყო 14 საარჩევნო უბნად. თითეულ საარჩევნო უბანზე მიმაგრებულია საარჩევნო კომისიის წევრები და ადგილობრივი აქტიური მშრომელი ინტელიგენტები. ჩატარდა პროფორგანიზაციების, ღარიბთა ჯგუფების და მშრომელი გლეხობის სასოფლო ყრილობები, რომელზედაც გაკეთდა მოხსენებები არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საარჩევნო კომისიამ დაასრულა არჩევნებში მონაწილე მოქალაქეთა აღწერა. ამჟამად სწარმოებს მუშაობა შავი სიების შესადგენათ.

ვ. ბ—ლი.

## კოლმეურნეობათა გამოკვლევა ამიერკავკასიაში

გაზეთ „ზარია ვოსტოკა“ და რამოდენიმე სამეურნეო ორგანიზაცია, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ სოფელთან, შეუდგნენ კოლმეურნეობათა შემოწმებას ამიერ-კავკასიაში. შემოწმების მიზანია კოლმეურნეობათა, რაც შეიძლება მეტი რიცხვის მდგომარეობის გამოკვლევა, მათი ნაკლისა თუ მიღწევების აღნუსხვა. ეს აუცილებელია კოლმეურნეობათა შემდგომ მშენებლობის უფრო წარმატებით განვითარებისათვის. დაწყებული შემოწმება მხოლოდ მაშინ გამოიღებს სათანადო ნაყოფს, როცა მასში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მასები და მათთან ერთად ყველა ისინი, ვისაც რაიმე კავშირი აქვს კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობასთან. კოლმეურნეობათა შემოწმებისათვის შედგენილ წერილებში სრულიადაც სავალდებულო არაა ამა თუ იმ კოლექტივის მთელი მუშაობის გაშუქება. არც ის ვარგა, რომ კორესპონდენციები კოლექტიურ მეურნეობათა მდგომარეობის შესახებ წარმოადგენდნენ ჩვეულებრივ კანცელიარიულ ანგარიშს.

სასურველია, რომ კორესპონდენცია იძლეოდეს კოლექტიურ მეურნეობის მთლიან სახეს ცოცხალი მაგალითებისა და საყურადღებო ფაქტიური მასალების მიხედვით. თუ კი ეს კორესპონდენციის დამწერს არ ეხერხება, მას შეუძლია აიღოს ერთი რომელიმე დარგი იმ კოლექტიური მეურნეობისა, რომლის მუშაობასაც ის იცნობს. საკმაოა ყველა დანარჩენ საკითხებიდან გამოჰყოს ის, რომელიც ავტორის აზრით მეტი ყურადღების ღირსია და მასზე ააგოს წერილი.

კორესპონდენციებს არას შემთხვევაში არ უნდა ექნეს არსებულ ნაკლოვანებათა მიფუჩეჩების ხასიათი. მით უფრო დაუშვებელია შექებისა და ხოტბა-დიდების წერილები. კოლექტივის მიღწევები უნდა აღინიშნოს მიუდგომლად და გადაუჭარბებლად. წერილები უნდა იყვეს უაღრესად საქმიანი შინაარსის. არ არის საჭირო ლაპარაკი კოლმეურნეობათა საერთო მნიშვნელობასა და ამოცანების შესახებ. გაცილებით მეტი ფასი აქვს ფაქტების მოყვანას. რაც მეტი იქნება კორესპონდენციაში ფაქტი, მით უფრო მეტი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება მას, მით უფრო მეტი ღირებულება ექნება კორესპონდენციასაც.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლექტიურ მეურნეობათა სოციალური შემადგენლობის გამომჟღავნებას. ჩვენ ვიცით, მაგალითად, როცა კულაკობა იმ მიზნით, რომ ისარგებლოს [illegible] პრივილეგიებით და შიგნიდან შეაფერხოს კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა, კოლექტივში შესვლის დიდ სურვილს იჩენს. საჭიროა იმის გამორკვევა, რამდენად მტკიცედ ტარდება ამ შემთხვევაშიაც კულაკობის გარიყვის და განცალკევების პოლიტიკა.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს კოლექტივის სამეურნეო მიღწევების გაშუქებას. კოლექტივი უნდა წინამძღოლობდეს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და ინტენსიფიკაციის გზით, ის სანიმუშო მეურნეობას უნდა წარმოადგენდეს სოფლად. საჭიროა კორესპონდენციაში ამ მხრივაც იქნას მოყვანილი ფაქტები.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, კოოპერატიულ, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციების დამოკიდებულებას კოლექტიურ მეურნეობის მშენებლობის საკითხისადმი. სწორად ატარებენ თუ არა ისინი პარტიის დირექტივებს ამ დარგში, ახლო უდგანან თუ არა კოლექტიურ მეურნეობის ჭირვარამს, იჩენენ თუ არა ნამდვილ და არა მარტო ფორმალურ მზრუნველობას კოლექტიურ მეურნეობებზე და სხვა. ყველა ამ მომენტებს კორესპონდენტებმა თვალსაჩინო ადგილი უნდა დაუთმონ.

და ბოლოს რამოდენიმე სიტყვა შემოწმების ორგანიზაციულ მხარეზე. კოლექტიურ მეურნეობათა შემოწმების ჩასატარებლად არჩეულია ცენტრალური კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: ა. ჩხენკელი, ტაგიევი, სეფი, ბაგიროვი, შირვანსკი, ბირიუზოვი, სუვაკი, კარენევი, ცაგარელი, ხარაევი, და მკრტიჩიანი. კომისიას გადაწყვეტილი აქვს შემდეგნაირად დააჯილდოვოს ის კოლექტივები, რომელნიც ცნობილ იქნებიან საუკეთესო კოლექტიურ მეურნეობად. სულ დაჯილდოვებულ იქნება 23 საუკეთესო კოლმეურნეობა. ჯილდოები ასეთია: 1) პირველი ჯილდო იქნება **ერთი**: 5 ათასი მან. და, ამას გარდა, 5 ათასი მან. გრძელვადიან უპროცენტო სესხი, 2) მეორე ჯილდო —**სამი**: თვითეული — 3 ათასი მან. და კიდევ ორ-ორი ათასი მან. გრძელვადიან უპროცენტო სესხი, 3) მესამე ჯილდო **ხუთი**: თვითეული 2 ათასი მან. და თითოს ათასი მან. გრძელვადიან უპროცენტო სესხი, 4) მეოთხე ჯილდო — **ექვსი**: თვითეული ათასი მან. და თითოს ათასი მან. გრძელვადიან უპროცენტო სესხი, 5) მეხუთე ჯილდო — **რვა**: თვითეული 2 ათასი მან. გრძელვადიან უპროცენტო სესხის სახით.

ამნაირად, სულ გაცემული იქნება 23 ჯილდო საერთო რაოდენობით — 30 ათასი მან. და ამას გარდა, კიდევ 38 ათასი მან. გრძელვადიან (10 წლამდე) უპროცენტო სესხი. ამას გარდა, ყოველი დაჯილდოვებული კოლმეურნეობა მიიღებს წიგნებს კოლმეურნეობათა მშენებლობის შესახებ. ცენტრალური კომისია ცალკე იმსჯელებს და გადასწყვეტს ფულად გასცეს ჯილდო, სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, თუ სხვა სახით იმის და მიხედვით, თუ რა უფრო სჭირდება თვითეულ დაჯილდოვებულ კოლმეურნეობას.

ამასთან ერთად კომისია უყურადღებოდ არ დასტოვებს საუკეთესო კორესპონდენციის ავტორებსაც. მათთვისაც დაწესებულია შემდეგი ჯილდო: შვიდი საუკეთესო კორესპონდენციის ავტორებს მიეცემათ შემდეგი ჯილდოები: 1) პირველი ჯილდო—იქნება **ერთი**, 100 მან., 2) მეორე ჯილდო — **ორი**, თითო 50 მან., 3) მესამე ჯილდო— **ოთხი**, თითო 25 მან. ამას გარდა ყოველი დაჯილდოვებული ავტორი წლის განმავლობაში უფასოდ მიიღებს გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს დამატებინათ (ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებულს). ჯილდო ავტორებს მიეცემა საუკეთესო კორესპონდენციისათვის იმის და მიუხედავად, არის იგი დაწერილი სუსტ თუ ძლიერ კოლმეურნეობაზე.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მუშა და გლეხი კორესპონდენტები, სოფლის ყველა მოწინავე ელემენტები აქტიურად გამოეხმაურებიან კოლექტიურ მეურნეობათა შემოწმებას და ამით ხელს შეუწყობენ ახალი სოფლის მშენებლობის განვითარებას.

ა. ბ—ლი.

## ღარიბთა ჯგუფების შემოწმება

### ღარიბთა ჯგუფების კონფერენცია

### მარტყოფის თემი, თბილისის მაზრა

როგორც სხვა მაზრებში, ისე თბილისის მაზრაშიც ღარიბთა ჯგუფების მუშაობა საგრძნობლად მოისუსტებდა და ზოგიერთ თემში სრულებით არ არსებობდა. თბილისის კომიტეტმა ამ გარემოებას მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება და მთელ მაზრაში მოახდინა ღარიბთა ჯგუფების საქმიანობის გამოკვლევა. ამის შემდეგ ღარიბთა ჯგუფების მუშაობას გამოცოცხლება დაეტყო, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ თბილისის მაზრაში პირველობა ეკუთვნის მარტყოფის თემს. აქ პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელობით კვირას, 9 დეკემბერს მოწვეული იქნა 16 უღარიბესი გლეხთა ჯგუფების კონფერენცია.

კონფერენციას 245 კაცი დაესწრო. დღის წესრიგში დასმული იყო ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები: 1) ჩვენი ამოცანები ღარიბთა შორის მუშაობაში, 2) საბჭოს არჩევნები და ღარიბთა ჯგუფები, 3) ღარიბ ჯგუფთა უფლებები და მოვალეობანი, 4) კოოპერაციის და საკრედიტო ამხანაგობების გამგეობის ინფორმაციული მოხსენება, თუ რამდენად დაეხმარენ კრედიტების მიწოდების მხრივ ღარიბ გლეხობას, ან რამდენი იქნა შეყვანილი უფასო წევრი კოოპერატივში.

კონფერენცია გახსნა მარტყოფის პარტიული კომიტეტის პ. მდივანმა ამხ. **გ. ხუციბერიძემ**. პრეზიდიუმში აირჩიეს 11 კაცი. მათ შორის სამი ქალი და 5 მოჯამაგირე.

პირველ და მეორე საკითხზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. **ადიკაშვილმა**, რომელმაც აღნიშნა ის ღონისძიებანი, რაც მიმართულია ამჟამად ღარიბ-ჯგუფთა შორის მუშაობაში.

მომხსენებელმა ორნახევარი საათი ილაპარაკა, და გარკვევით გააცნო გლეხობას ის საკითხები, რაც ღარიბ ჯგუფებმა უნდა გადასჭრას საბჭოს მომავალ გადარჩევების დროს.

მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. **გ. ხუციბერიძემ**, რომელმაც ფართოდ შეეხო ყოველივე იმ საკითხებს, რაც დაკავშირებულია ღარიბ ჯგუფების წესიერ მუშაობაში და აღნიშნა, რომ დღემდე ჩვენც არ ვიყავით გარკვეული ღარიბ-ჯგუფთა შორის მუშაობის პრინციპებში, ამიტომ იყო, რომ გვქონდა შეცდომებიც.

ამიერიდან კი შესაძლებელია მთელი 100 პროცენტით შევსძლოთ გადალახვა იმ სიძნელეების, რომელნიც წინ გადაგვეღობება მომავალ მუშაობაში.

პარტიული ორგანიზაციის ამოცანაა სწორი ხელმძღვანელობა გაუწიოს ღარიბ ჯგუფებს და ამიტომ ჩვენი თემი დაყოფილია რამდენიმე ერთეულად: მარტყოფი, ნორიო, ახალსოფელი, საცხენისი და ლილო. აღნიშნულ ერთეულებში კომპარტიის უჯრედები ყოველგვარ ხელმძღვანელობას გაუწევენ მათ ახლოს არსებულ ღარიბთა ჯგუფებს.

მეოთხე საკითხზე მოკლე მოხსენებით გამოვიდა კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. **ბერიშვილი** და საკ. ამხანაგობის თავმჯდომარე ამხ. **სოლოღაშვილი**, რომლებმაც გააცნო კონფერენციის წევრებს ის მიღწევები, რაც აქვთ ხსენებულ ორგანიზაციებს ღარიბთა ჯგუფების დახმარების აღმოჩენის საქმეში

კონფერენციამ ერთხმულოვნად მოიწონა პარტორგანიზაციის მიერ აღებული ხაზი ღარიბთა ჯგუფების მუშაობაში და დაიხურა სალამოს 5 საათზე.

ბაელვა.

## ზოგიერთი განმარტება

### საქ. ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს ადგილობრივ ბიუჯეტს, ისევე, როგორც კავშირში შემავალ სხვა რესპუბლიკების ადგილობრივ ბიუჯეტებს, დღესაც მრავალი ნაკლი აქვს. ეს დებულება უდავოდ უნდა ჩაითვალოს, მიუხედავათ იმისა, რომ საქართველოს ადგილობრივმა ბიუჯეტმა უკვე განვლო მეტად მძიმე გზა, გადალახა მრავალი დაბრკოლება, აღნუსხა თავის ფარგლებში მოაქცია შემოსავლის ყველა წყარო, რაც შეიძლება მიზანშეწონილად დაინაწილა მთელი შემოსავალი სხვადასხვა სახის ადგილობრივ უამრავ საჭიროება-მოთხოვნილებას შორის, ნაწილობრივად დაძლია თავისი დეფიციტიანობა და სხვა.

საკმარისია მხოლოდ ზერელედ თვალის გადავლება საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა-განვითარება-მიმართულებაზე დღიდან მის შემოღებისა, რომ ყველასათვის უდავოდ გახდეს, თუ რა სიძნელეები და დაბრკოლებები დასძლია მან, რამდენად მიუახლოვდა ადგილობრივ მოსახლეობას და რამდენად გააძლიერა ადგილობრივი საჭიროებათა სავსებით აღნუსხვა და დაკმაყოფილება. მაგრამ, ვიმეორებთ, არც საქართველოს და არც კავშირის სხვა რომელიმე რესპუბლიკას ადგილობრივი ბიუჯეტი, სხვადასხვა მიზეზების გამო, დღესაც არ არის ყველა ჩვენი მოთხოვნილების ისეთი გამომხატველი, რომ უზრუნველყოს ქვეყნის ყოველმხრივი განვითარება იმ რაოდენობით და სიჩქარით როგორც ეს ჩვენ გვსურს. ცნობილია ყველასათვის, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის ეს უმთავრესი ნაკლი გამომდინარეობს არსებულ ეკონომიურ პირობებიდან და განთავისუფლებულ ხალხის შეუდარებლად გაზრდილ მოთხოვნილებებიდან, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია.

რა თქმა უნდა, რომ ყოველივე ღონისძიება მიღებული საკავშირო მასშტაბით ადგილობრივი ბიუჯეტის ამ მნიშვნელოვან ნაკლის დასაძლევად.

თავის თავად ცხადია, რომ მეტად სასარგებლო და სასურველია [illegible] ამხანაგების და მუშაკების გამოსვლა პრესაში, მათი მითითებანი ბიუჯეტის ნაკლოვანებებზე და რჩევა-დარიგება, თუ როგორ და რა ღონისძიებებით შეიძლება მოხდეს ბიუჯეტის გაჯანსაღება მისი საშემოსავლო წყაროების სავსებით აღნუსხვა გაძლიერება და სხ.მაგ., მეტად სასარგებლო იქნებოდა, რომ გაზ. „კომუნისტი“-ს № 280-ში საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ მოთავსებულ წერილის ავტორს ჩვენი ბიუჯეტის სწორი ანალიზი მოეცა და მიეთითებინა, თუ როგორ და რა საშუალებით შეიძლება უფრო ჩქარი ტემპით დავძლიოთ არსებული დეფიციტიანობა, ე. ი. ჩვენი ეკონომიური ჩამორჩენილობა, როგორ და რა წყაროებიდან უნდა გადიდდეს ადგილობრივი მნიშვნელობის სხვა შემოსავალი და სხვა.

ამის მაგიერ წერილის ავტორმა დაუშვა შეცდომები მთელი რიგი, არა სწორად გააშუქა ადგილობრივი ბიუჯეტის ზოგიერთი მხარე, ბიუჯეტის არსებულ დეფექტებს დაუმატა ნაკლოვანებანი, რომელნიც სინამდვილეში არ არსებობენ და წერილი დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: „ვფიქრობთ, ფინსახკომი ბიუჯეტის შემდგენლობის დახასიათებულ ნაკლოვანებებს და ბიუჯეტში შეიტანს აუცილებელ შესწორებებს“.

ამიტომ ფინსახკომი, რომელიც დიახაც მოვალეა მუდამ ზრუნავდეს ბიუჯეტის ნორმალურად განვითარებაზე და აგრეთვე იმაზედაც, რომ ბიუჯეტი სწორად იყოს გაშუქებული პრესაში- ყველა მოქალაქისათვის, ჯეროვნად შეიტანს გაზეთ „კომუნისტში“ მოთავსებულ წერილში აუცილებელ შესწორებებს.

[illegible] საჭირო შესწორებანი შემდეგში გამოიხატება:

1. ადმინისტრატიული ხარჯების 20 პროც. შემცირება უნდა ჩატარებულიყო 1927-28 წლის ბიუჯეტის შედგენის დროს. იყო თუ არა შესრულებული ცენტრის მნიშვნელოვანი დირექტივა ადგილების მიერ გასულ სამეურნეო წლისათვის შედგენილ ბიუჯეტში? მივმართოთ ოფიციალურ ცნობებს ე. ი. საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს მიერ 1927-28 წლის დამტკიცებულ ადგილობრივ ბიუჯეტს ეს (ცნობები აი რას გვიჩვენებენ (ათას მანეთებში):

| ადმინისტრატიული ხარჯების დასახელება | 1926-27 წლ. დამტკიცებ იყო მთელ რე.პუბლ. | შემცირებული იყო რესპუბლიკაში 27-28 წლ. | შემცირების პროცენტი |
|---|---|---|---|
| აღმასკომები | 2.845,2 | 401,4 | 14,1 |
| მილიცია | 207,0 | 53,6 | 25,7 |
| განათლების განყ. | 321,1 | 112,0 | 34,8 |
| ჯანმრთელობის " | 125,3 | 30,4 | 23,9 |
| სოც. უზრუნ " | 19,2 | 16,9 | 87,6 |
| კომუნალური " | 450,7 | 150,8 | 33,4 |
| სულ | 3.968,7 | 765,2 | 19,3 |

ამას გარდა, აქ არ არის ნაჩვენები 28.000 მანეთი, რომლითაც შემცირებული იყო იუსტიციის ორგანოების ხარჯები.

მაშასადამე, თავის დროზე ადმინისტრატიული ხარჯები ადგილობრივ ბიუჯეტში შემცირებულ იქნა 19,3 პროც., მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ 1927-28 წლის [illegible] ბრივ ბიუჯეტს პირველად დაეკისრა ადმინისტრატიული ხასიათის ახალი სავალდებულო ხარჯები: თემის ფინმომუშავენი რაისტატისტიკოსები, არქივ-მიწერი, ბიუჯეტზე გადაყვანილი საწარმოების ხელფასი და სხვადასხვა, —აშკარა გახდება, რომ საქართველოს 1927-28 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში 20 პროც. მეტად იყო შემცირებული ადმინისტრატიული ხარჯები და ზოგიერთი ამ სახის ხარჯები კი თითქმის მთლიანად მოსპობილი. (მაგ.: სოცუზრუნველყოფის განყოფილებები). ვინაიდან დირექტივა ადმინისტრატიული ხარჯების შემცირების შესახებ სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ეს ხარჯები ყოველწლივ აუცილებლად 20 პროც. უნდა მცირდებოდნენ, ე. ი. დირექტივა არ გულისხმობს საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოშიაც საბჭოთა აპარატის სრულიად მოსპობას ან განადგურებას,—ამიტომ 1927-28 წელში ადმინისტრატიული ხარჯების 20 პროც. შემცირების შემდეგ 1928-29 სამეურნეო წლისათვის სავალდებულო იყო ადმინისტრატიული ხარჯების შემდეგი მხოლოდ უმტკივნეულო, და არა განმეორებით კიდევ 20 პროც.-იანი შემცირება.

ადმინისტრატიულ ხარჯების ასეთი დამატებითი შემცირება საქართველოს 1928-29 წლ. ადგილობრივ ბიუჯეტშიაც გატარებულია. ამას მოწმობენ შემდეგი ცნობები: ადმინისტრატიული ხარჯები (აფხაზეთის გამოკლებით) შარშანდელთან შედარებით წელს დამატებით შემცირებულია 140 ათასი მანეთით, ეს იმ დროს და პირობებში, როდესაც საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტით მხოლოდ მილიციელების ჩამორჩენილ ხელფასის ცოტაოდენ გამოსწორებას დასჭირდა ზედმეტი 100 ათას მანეთზე მეტი. ასე, მაგ. თუ 1927-28 წლ. მილიციის შენახვაზე ნავარაუდევი იყო (აფხაზეთის გამოკლებით) 1928,6 ათასი მანეთი, წელს იმავე მოთხოვნილებაზე დანიშნულია 1900,4 ათასი მანეთი; მაშასადამე, მკითხველისათვის ნათელი უნდა გახდეს ის, თუ რამდენად [illegible] იყო საქართველოში წელს ფაქტიურად შემცირებული მილიციელთა არსებული შტატი, რომ ხელფასის 100 ათას მანეთით გადიდების შემდეგ ჩვენ მაინც მივიღეთ საბოლოოდ ამ დარგში 28,2 ათასი მანეთის ეკონომია. რასაკვირველია, გაზ. „კომუნისტში“ მოთავსებულ წერილში ნაჩვენები მილიციელთა შესანახი ხარჯების 1,5 პროც. რაოდენობით შემცირება პატარა განმარტებას მოითხოვდა, ხოლო ზემოდ მოყვანილი ცნობების გაცნობა და მათი სწორი გაშუქება კი ზედმეტად გახდიდა წერილის ავტორის კატეგორიულ მოთხოვნას 1928-29 წელშიაც ხელმეორედ ადმინისტრატიულ ხარჯებს 20 პროცენტით შემცირების შესახებ.

2. აღნიშნულ წერილის ავტორი სრულიად არა სწორად მიაკუთვნებს „განსაკუთრებულ ხარჯების“ 50 პროც. ადმინისტრატიულ ხასიათის ხარჯებს. ეს უბრალო შეცდომაა და ნომენკლატურის არ ცოდნა. ადგილობრივ ბიუჯეტის მე-15 კარი ე. წ. „განსაკუთრებული ხარჯები“ მოქმედ ნომენკლატურის თანახმად შესდგება შემდეგი ცალკე ხარჯებიდან:

1) გაუთვალისწინებელი ხარჯები, 2) ვალის და სესხის გადახდა, 3) სესხის პროცენტების გადახდა, 4) პაების და აქციების შეძენა, 5) დაბრუნება უკანონოდ შემოსულ თანხების, 6) ნატურალურ ფონდის და ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის და სალაროს დანაკლისი და 7) პერიოდულ გამოცემების სუბსიდია.

ჩვენთვის გაუგებარია თუ რატომ მიაკუთვნა აქ ჩამოთვლილ ცალკე ხარჯებს ადმინისტრატიულ ხასიათი? „გაუთვალისწინებელი ხარჯებიდან“ შეიძლება დაიხარჯოს რაიმე დამატებითი თანხა ადმინისტრატიულ ხასიათის ხარჯებზე, მაგრამ ამ თანხას სულ სხვა დანიშნულება აქვს. შარშან, მაგ., ამ თანხიდან მხოლოდ ნაწილობრივად [illegible] იმ ახალი და სრულიად მოულოდნელი ხარჯების დაფარვა, რომლებიც ადგილობრივ ბიუჯეტს დაეკისრა შესრულების პროცესში (პურის ფონდი, [illegible] მაგიდების ხარჯები და სხვა). მაგრამ „განსაკუთრებულ ხარჯებში“ მოთავსებული „გაუთვალისწინებელი ხარჯები“ მთლიანად რომ ადმინისტრატიულ ხასიათის ხარჯებად ჩავთვალოთ, მაშინაც წერილის ავტორის საწინააღმდეგო ცნობებს მივიღებთ. აი ეს ცნობები (ათას მანეთებში):

| | 1927-28 წ. | %/% | 1928-29 წ. | %/% |
|---|---|---|---|---|
| გაუთვალისწინებელი ხარჯები | 467 | 18,2 | 410 | 8,3 |
| დანარჩენი ხარჯები | 20.86 | 81,8 | 4.550 | 91,7 |
| სულ განსაკუთრებული ხარჯები | 2.553 | 100 | 4.960 | 100 |
| აქედან ვალის, სესხის და პროც. გადახდა | 1.824 | 71,4 | 3.981 | 80,2 |
| პაების და აქციების შეძენა | 262 | — | 569 | — |

ამ ცნობების შემდეგ მკითხველისათვის გაუგებარი უნდა გახდეს, თუ რატომ უნდა ჩაითვალოს პაების და აქციების შეძენა, ვალის და სესხის გადახდა, უკანონოდ შემოსულ გადასახადის დაბრუნება და სხვა ამგვარი ხარჯები ადმინისტრატიულ ხასიათის ხარჯებად და საიდან მიიღო წერილის ავტორმა, რომ „ნახევარი განსაკუთრებულ ხარჯებისა იგივე ადმინისტრატიული ხასიათის ხარჯებია“.

როგორც დავინახეთ, ეს შემცდარი აზრია და წერილის ავტორი ასეთ შეცდომას არ დაუშვებდა, მომქმედ ნომენკლატურას რომ იგი ოდნავ მაინც გაცნობოდა.

3. რამდენად სწორია ხსენებულ წერილის ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტის მთელი შემოსავალი არასწორად ნაწილდება სხვადასხვა პირველხარისხოვან საჭიროებათა შორის და რომ ამ სენით მხოლოდ საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტი დაავადებულია, ვინაიდან „ასეთი (ე. ი. არასწორ, ვ. ო.) დამოკიდებულებას სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის არსად არა აქვს ადგილი“.

მივმართოთ ოფიციალურ ცნობებს იმის შესახებ, თუ რა იხარჯება და რა ხვედრითი წონა უკავია კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკების ადგილობრივ ბიუჯეტში სოფლის მეურნეობას და საგზაო მშენებლობას ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ ადგილობრივ მრეწველობას და კომუნალურ მეურნეობას.

აი, რა სურათს ვღებულობთ ოფიციალურ ცნობებიდან:

| რესპუბლიკები | 1926/27 წ. დაიხარჯა ადგილობრივ ბიუჯეტით: სოფლის მეურნეობაზე და გზებზე | %/% | მრეწველობაზე და კომუნ მეურნეობაზე | %/% | მთელი ბიუჯეტი |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთში | 77.882,2 | 6,2 | 218.202,2 | 17,3 | 1.265.043,3 |
| უკრაინაში | 15.960,6 | 4,2 | 107.647,0 | 31,3 | 378.302,9 |
| ბელორუსიაში | 3.243,5 | 9,3 | 2.885,7 | 8,2 | 34.770,2 |
| ა-კავკასიაში | 3.521,3 | 4,3 | 25.132,5 | 30,7 | 82.031,1 |
| საქართველოში | 1.450,7 | 3,5 | 16.952,3 | 38,3 | 43.682,8 |
| მთელ კავშირში | 105.592,3 | 5,8 | 360.177,8 | 19,8 | 1.810.117,7 |

ასეთია ოფიციალური ცნობები, თუმცა აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ცნობები ამოკრეფილია 1926—27 წლის ბიუჯეტებიდან და ცოტა მოძველებულად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ამ ცნობებითაც შეიძლება ვისარგებლოთ და სწორი დასკვნა გავაკეთოთ, ვინაიდან ამ ერთი წლის განმავლობაში სხვადასხვა რესპუბლიკებში არ შეცვლილა და არც შეიძლება შეცვლილიყო ბიუჯეტების სხვადასხვა პრინციპებზე აგება.

ზემოდ მოყვანილ ცნობებით რომ უკრიტიკოთ, უანალიზოთ ვისარგებლოთ, მართლაც საქართველოს ამ მხრივ, ე. ი. ადგილობრივი შემოსავლის განაწილების მხრივ მრეწველობის, კომუნალურ მეურნეობის, საგზაო მშენებლობის და სასოფლო მეურნეობის შორის უკანასკნელი ადგილი უკავია. მაგრამ მხედველობაში, რომ მივიღოთ ზოგიერთი გარემოება, რომლის საფუძველზე აგებულია ცალკე რესპუბლიკების ადგილობრივი ბიუჯეტები, ეს კი უსათუოდ მხედველობაში უნდა იყოს მიღებული,—მაშინ სულ სხვა სურათს მივიღებთ და სულ სხვა დასკვნამდის მივალთ. მართლაც, როგორ შეიძლება უბრალო შედარების მოხდენა იმ დროს, როდესაც სხვადასხვა რესპუბლიკებში სულ სხვადასხვა პრინციპზეა აგებული ადგილობრივი ბიუჯეტი: ერთ რესპუბლიკაში, მაგ., ადგილობრივი ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში სრულიად არ არის გატარებული ადგილობრივი მრეწველობის ხარჯები, მეორე რესპუბლიკის ბიუჯეტში არ არის მთლიანად ნაჩვენები კომუნალური მეურნეობის მთელი გასავალი, მესამე რესპუბლიკაში საბჭოთა მეურნეობა გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე და ბიუჯეტიდან სრულიად ამორიცხულია და სხვა.

მაგალითად ბელორუსიაში ადგილობრივი მეურნეობის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი, ადგილობრივი მრეწველობა მთლიანად გაერთიანებულია ტრესტებში და ამის გამო ბელორუსიის ადგილობრივი მრეწველობა მხოლოდ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში არის ნაჩვენები და ისიც მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მრეწველობის მთელი მოგებიდან ადგილობრივ ბიუჯეტშია გადასარიცხი. ასე, თუ ბელორუსიის 1926—27 წ. ადგილობრივ ბიუჯეტში ნაჩვენებია მრეწველობის წმინდა მოგების ნაწილი—815 ათასი მანეთი, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა თანხა უნდა იყოს ნაჩვენები იმავე ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში ამავე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ არ შეიძლება უბრალო შედარება და იმის მტკიცება, რომ ბელორუსიაში სასოფლო მეურნეობაზე და გზებზე იხარჯება ბიუჯეტის 9,3 პროც., მრეწველობაზე და კომუნალურ მეურნეობაზე კი 8,2 პროც., და რომ ამ მხრივ ბელორუსიაში ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები უფრო სწორად, უფრო ზედმიწევნით და ნაყოფიერად არის დანაწილებული. ამგვარი უბრალო შედარება და აღიარება, „რომ ასეთ დამოკიდებულებას სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის არსად არ აქვს ადგილი“-ო, დიდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან სხვადასხვა პრინციპებზე აგებულ ბიუჯეტების ცნობები უკორექტივოთ შეუდარებელი არის. იმ დროს, როდესაც ბელორუსია, ანდა უკრაინა ადგილობრივ მრეწველობას ადგილობრივ ბიუჯეტში მხოლოდ აქტიური სალდოთი ატარებს და კომუნალურ წარმოებებს კი ნაწილობრივად არ ათავსებს ბიუჯეტში, საქართველოს ქალაქების მთელი კომუნალური მეურნეობა და ადგილობრივი მრეწველობა (გარდა თბილისის მაზრისა) მთელი გასავლით და შემოსავლით მოთავსებულია ადგილობრივ ბიუჯეტში.

როგორ შეიძლება ამ პირობებში უბრალო პარალელის გატარება და უბრალო აღიარება შეუდარებელ შედეგებისა და ფაქტებისა! ამას გარდა, აღძრულ საკითხის სწორად გაშუქებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ადგილობრივი ბიუჯეტის ცნობების მოყვანა; უსათუოდ საჭიროა აგრეთვე დახასიათება და შეჯამება ყველა იმ თანხებისა, რომლებიც ამა თუ იმ რესპუბლიკაში იხარჯება სასოფლო მეურნეობაზე და გზებზე სახელმწიფო ბიუჯეტით, საკრედიტო დაწესებულებების მიერ და სხვა წყაროებიდან. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ დასკვნის მისაღებად იმიტომ, რომ იმ გზას, იმ საბჭოთა მეურნეობას, ან იმ სასოფლო მეურნეობისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომელსაც საქართველოში არსებულ პირობების მიხედვით რესპუბლიკანური ხასიათი აქვს, ბელორუსიაში, რუსეთში და უკრაინაში ამავე ხასიათის საჭიროებას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ხშირად ის, რაც საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტით კმაყოფილდება, დანარჩენ რესპუბლიკებში ადგილობრივი ბიუჯეტით არის გათვალისწინებული. ეს ყველასათვის ცნობილი და უდავო ფაქტებია და ამიტომ აღნიშნულ წერილის ავტორს არ უნდა დაეშვა თავის წერილში შეცდომა სახსრების დანაწილების საკითხში. საქართველოს ადგილობრივ ბიუჯეტს რომ მივმართოთ, ადგილობრივ მრეწველობის, კომუნალურ მეურნეობის, სასოფლო მეურნეობის და საგზაო მშენებლობის ხვედრითი წონის შემდეგ სურათს მივიღებთ:

| წლები | სასოფლო მეურნეობის და გზების ხარჯების ხვედრითი წონა | ადგ. მრეწველობის და კომუნ. მეურნეობის ხვედრითი წონა |
|---|---|---|
| 1925-26 | 3,5 | 17,9 |
| 1926-27 | 3,5 | 38,8 |
| 1927-28 | 4,4 | 43,4 |
| 1928-29 | 4,3 | 39,5 |

ასეთ სურათს იძლევა საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტი ამ ოთხი სამეურნეო წლის განმავლობაში.

თუ არავითარ გარემოებებს არ მივიღებთ მხედველობაში, ამ სურათის მიხედვით უნდა ითქვას, რომ საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტი 4 წლის განმავლობაში სრულიად უგეგმოდ, უპრინციპოთ და, ბოდიშს ვიხდით, უჭკუოთ ვითარდებოდა, ვინაიდან პირველი შეხედულებით გაუგებარია, თუ რატომ იცვლებოდა ყოველწლივ ასე უცნაურად დასახელებულ ხარჯების ხვედრითი წონა. რასაკვირველია, ამ გარემოებას განმარტება სჭირდება, ვინაიდან სინამდვილეში საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტის ყოველი კაპეიკი აწონ-დაწონილი იყო თავის დროზე და ასეთ მნიშვნელოვან ხარჯების ზრდა-მიმართულება როგორც არის: სასოფლო-მეურნეობის, გზების, ადგილობრივი მრეწველობის და კომუნალურ მეურნეობის ხარჯები, მიმდინარეობდა წინასწარ დამუშავებულ და არსებულ საერთო პოლიტიკასთან სრულიად შეფარდებულ გეგმით.

ზემოდ მოყვანილ ცნობებიდან კი ეს დებულება უშუალოდ არ გამომდინარეობს იმიტომ, რომ საქართველოში ისევე, როგორც სხვა რესპუბლიკებშიაც ადგილობრივ ბიუჯეტის აღნაგობა თითქმის ყოველ წლივ მნიშვნელოვნად იცვლება. მაგალითად, რატომ გაიზარდა 1926-27 წ. წინა წელთან შედარებით კომუნალურ მეურნეობის და ადგილობრივ მრეწველობის ხარჯების ხვედრითი წონა ას პროცენტზე მეტად და სასოფლო მეურნეობის და გზების ხვედრითი წონა კი დარჩა უცვლელ. (?) რატომ იცვლება დასახელებულ ხარჯების ხვედრითი წონა შემდეგ წლებშიაც, ცოტა არ იყოს, უცნაურად? რატომ მნიშვნელოვნად არ იზრდება სასოფლო მეურნეობის და გზების ხარჯების ხვედრითი წონა ბიუჯეტში და სხვა? საქმე იმაშია, რომ 1926-27 წელში თბილისის კომუნალური წარმოებები: ტრამვაი, წყალსადენი, აბანოები, სასაკლაო, ფუნიკულიორი და სხვა პირველად იყო შეტანილი ადგილობრივ ბიუჯეტში მთელი შემოსავლით და გასავლით. ეს ბიუჯეტის გარეშე მყოფი თანხა თითქმის 9.000.000 მანეთს უდრიდა და, რასაკვირველია, მისი ბიუჯეტში გატარებამ სრულიად დაჩრდილა სხვა ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდაც კი. შემდეგ, 1927-28 წელში ადგილობრივი მრეწველობის და კომუნალური მეურნეობის ხვედრითი წონა კიდევ მნიშვნელოვნად იზრდება იმიტომ, რომ ამ წელში დამატებითი იყო აგრეთვე პირველად გატარებული ადგილობრივ ბიუჯეტით ქ. ქუთაისის, ბათომის, სოხუმის და ზოგიერთ სხვა ქალაქების კომუნალური მეურნეობა მთელი შემოსავლით და გასავლით. 1928-29 წელში აღნიშნული პროცესი დამთავრდა და ამიტომ კომუნალურ მეურნეობის და ადგილობრივ მრეწველობის ხვედრითი წონა თითქმის სამი პროცენტით შემცირდა (43,4—39,5). ნამდვილად კი თუ რა ყურადღება ექცეოდა ადგილობრივ ბიუჯეტში სასოფლო მეურნეობას და გზების მშენებლობას, ამას გვიჩვენებს შემდეგი ცნობები:

| წლები | სასოფლო მეურნეობის და გზების ხარჯები (ათას მან.) | ხარჯების ზრდა %/%-ში | კომუნალური მეურნეობის და ადგ. მრეწველ. ხარჯ. (ათას მან.) | ხარჯების ზრდა |
|---|---|---|---|---|
| 1925-26 | 916,8 | — | 3.469,6 | — |
| 1926-27 | 1.450,7 | 58,3 | 16.952,3 | 354,3 *) |
| 1927-28 | 2.084,9 | 43,7 | 20.490,6 | 20,2 |
| 1928-29 | 2.453,0 | 12,9 | 22.481,7 | 9,7 |

ამ ცხრილებიდან ნათლად სჩანს, თუ რა ყურადღება ექცეოდა საქართველოში ცალკე ხარჯების ზრდას და 1925-26 წლიდან დაწყებული რამდენად ჩამორჩენილია კომ. მეურნეობის და ადგილობრივ მრეწველობის ხარჯების ზრდა სასოფლო მეურნეობის და გზების ხარჯების ზრდისაგან.

ამ მოსაზრებათა შემდეგ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ წერილის ავტორი აღარ უსაყვედურებს საქ. ფინსახკომს და სხვა ორგანოებსაც, რომელნიც ყოველ წლივ ამტკიცებენ ბიუჯეტს, იმას, „რომ კურსი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე არ უნდა იქნას გაგებული ისე, ვითომც ჩვენ სოფლის მეურნეობას ყურადღება არ უნდა მივაქციოთ“.

ამ უმთავრეს შენიშვნებით ჩვენ ვათავებთ წერილს და აქ არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, თუ რამდენად სწორია წერილის ავტორის მითითება იმაზე, რომ ზოგიერთი საშემოსავლო წყარო სავსებით არ არის აღნიშნულ ბიუჯეტით და რომ ზოგიერთ ხარჯებმა შარშანდელ წელთან შედარებით 1928-29 წ. იკლეს.

საქ. ადგილობრივ ბიუჯეტის საბოლოოდ ჩამოყალიბების შემდეგ ჩვენ მოვათავსებთ წერილს, რომელშიაც გაშუქებულ იქნება ყველა ის საკითხები, რომელთაც ამ წერილში ვერ ჰპოვეს თავისი გამოხატულება გაზეთში ადგილის სიმცირის გამო.

ვლ. ორჯონიკიძე.

---

*) ზემოდ მოყვანილ შესწორებებით (თბილისის კომუნ. მეურნეობის 9.000.000 მან:) რეალური ზრდა გამოიხატება 35,9 პროც.-ში, ვ. ო.

ბიბლიოთეკა

# ჭიათურა

## საწარმოო თათბირების მუშაობა--რა უშლის ხელს მათ მუშაობას

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

დიდი ხანი არ არის, რაც ჭიათურის ქარხანა-მაღაროებში ჩამოყალიბდა საწარმოო კომისიები და დაიწყეს მუშაობა საწარმოო თათბირებმა.

ზოგიერთ ქარხანა-მაღაროში საწარმოო თათბირები მხოლოდ ეხლა შედიან პრაქტიკაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ მოიპოვეს პოპულიარობა, როგორც მუშები, ისე საშუალო და უფროსი ტეხნიკური პერსონალი სერიოზულად ეპყრობიან საწარმოო თათბირების მუშაობას და ამ თათბირებს უყენებენ მრავალი ნაკლის გამოსასწორებლად.

დღეს, როდესაც პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ დასვა ჭიათურის წინაშე საკითხი შავი ქვის ექსპორტის გადიდების შესახებ, საწარმოო თათბირების მუშაობას ჭიათურაში ეძლევა ფრიად დიდი მნიშვნელობა, მათ წინაშე წამოჭრილია განსაკუთრებული ამოცანები.

საწარმოო თათბირების საშუალებით, მათი უშუალო დახმარებით, გაჯანსაღებულ უნდა იქნეს ჭიათურის წარმოება, გამოსწორებულ უნდა იქნეს მრავალი ნაკლი, რომელიც აქვს ამ წარმოებას და გამოინახოს გზები შავი ქვის ექსპორტის გაძლიერებისათვის.

ამასთან ერთად, საწარმოო თათბირების დახმარებით უნდა მიეცეს ფართე გასაქანი მუშათა გამომგონებლობას ჭიათურაში, რაც, უეჭველია, შეუწყობს ხელს წარმოების გაფართოებას, მის რაციონალიზაციას.

დღიდან საწარმოო თათბირების ჩამოყალიბებისა, მათი მუშაობა ჭიათურაში, მიმდინარეობს სწორი ხაზით.

ჭიათურის ქარხანა-მაღაროების მუშებმა და ინჟენერ-ტეხნიკოსებმა შეისწავლეს კარგად ის დეფექტები, რომლებიც უშლიან ხელს ქარხნების მუშაობას, შავი ქვის ამოღებას, გადაზიდვის საქმეს და შეერთებული ძალით ეს დეფექტები სწორდება.

დაუგდოთ ყური თვით საწარმოო თათბირებს:

**მუშა ცარციძე** აღნიშნავს, რომ მაღარო № 2 მთის გადახრის გამო მოსალოდნელია ჩამოინგრეს ამიტომ საჭიროა ამ მაღაროდან დაჩქარებით იქნეს გამოტანილი მადანი, რომელიც იქ დიდი რაოდენობით არის.

**მუშა ივანიშვილი** მიაქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ პერევისის რაიონში რკინის გზის ხაზი უვარგისია, რაც აძნელებს და აფერხებს ვაგონების მოძრაობას.

პერევისის მთელი რიგი მუშები მოითხოვენ, რომ მნგრეველებს დაურიგდეთ წერაქვის ორ-ორი ტარი, რათა ტარის გატეხის გამო არ შეფერხდეს მუშაობა.

**ქარხნის მუშა გაფრინდაშვილი** აღნიშნავს, რომ ქარხანა ვერ ღებულობს რიგიანად დამტვრეულ ქვას, რის გამო ქარხანაში მუშაობა ძნელდება.

**მუშა სამხარაძე** ამბობს, რომ ქარხნის ღარებს სჭირიათ შეკეთება, რომ რიგიანად მიაწოდონ ქარხნებს ქვა.

ქარხნისა და მაღაროების მუშებს არ ჩამორჩებიან აგრეთვე მტვირთველი მუშები, რომლებიც მუშაობენ რკინის გზის ბაქნებზე და ტვირთავენ ვაგონებს საექსპორტო მადნით.

**მუშა ლეშქაშელი** აღნიშნავს, რომ ექსკავატორები მუშაობენ მორიგეობით, რაც არ არის ხელსაყრელი, საჭიროა ექსკავატორების სისტემატიური მუშაობა.

**კაკაბაძე** ამბობს, რომ რკინის გზის ვაგონები დაზიანებულია, რის გამო მადანი იკარგება გზაში, რითაც ტრესტი ზარალობს.

როდესაც ახლო ვეცნობით საწარმოო თათბირების მუშაობას, ნათელი ხდება ის გარემოება, რომ თათბირები დიდათ უწყობენ ხელს წარმოებას და, ახლო მომავალში, როდესაც მუშები უფრო დაწვრილებით გაეცნობიან ამ თათბირების მნიშვნელობას, მაშინ თათბირები გადაიქცევიან მძლავრ იარაღათ წარმოების გაფართოების დარგში.

⁂

იმ მიღწევებთან ერთად, რომლებიც აქვს საწარმოო თათბირებს, უნდა აღინიშნოს, აგრეთვე ის მიზეზები, რომლებიც უშლიან ხელს საწარმოო თათბირების მუშაობას.

ზოგიერთ ქარხანა-მაღაროში არ არის ბინები, სადაც შესაძლებელია თათბირების მოწვევა, სამთამადნო კავშირის რაიკომმა მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას და ეს საკითხი დასვა ტრესტის წინაშე, ტრესტმა უნდა მიიღოს ზომები ამ საკითხის მოსაგვარებლად რაც შეიძლება სასწრაფოდ.

ზოგიერთი ქარხანა-მაღაროების მუშები არ იცნობენ საწარმოო თათბირების დებულებას, რის გამო მათი მუშაობა მოისუსტებს, ამიტომ საჭიროა, რომ ადგილკომებმა მიიღონ სათანადო ზომები, მოიწვიონ ხშირ-ხშირად საწარმოო კომისიების სხდომები, მუშების კრებები და დაწვრილებით გააცნონ მათ საწარმოო თათბირების მიზნები და დანიშნულება.

არის შემთხვევები, როდესაც ქარხანა-მაღაროებში საწარმოო თათბირების მუშაობას უყურებენ ზერელედ და სთვლიან „სხვათა შორის" მუშაობად. ამ ადგილებში უნდა იქნეს გაძლიერებული მუშაობა, ჩატარებული უნდა იქნეს ახსნა-განმარტებითი კამპანია.

უნდა მიექცეს ყურადღება აგრეთვე თათბირების მუშაობის გეგმიანობას, საკითხების სათანადო შერჩევას და სხვ.

აღნიშნულია აგრეთვე ადმინისტრაციის უყურადღებობა თათბირების დადგენილებებისადმი. ზოგიერთი ადმინისტრატორი აჭიანურებს საქმეს, ისეთი საკითხები, რომლებიც შეიძლება მოგვარებული იქნეს **ადგილობრივ**, გადააქვთ ტრესტში, რაც იწვევს საქმის გაჭიანურებას და საკითხის მოგვარების დაგვიანებას.

რათა საწარმოო თათბირებში ჩარეულ იქნენ მუშების ფართო მასები და ამ თათბირებს მიეცეთ მეტი შინაარსი. საჭიროა მუშების წახალისება ჯილდოებით. შემოღებულ უნდა იქნეს იმ მუშების დაჯილდოება, რომლებსაც შეაქვთ თათბირზე საქმიანი წინადადებები,

აგრეთვე უნდა მიექცეს ყურადღება გამომგონებელ მუშების დაჯილდოებას წახალისების მიზნით.

ჭიათურა 17 დეკემბერი.

ე. ხუციშვილი.

### ამხანაგი კ. ა. გამეზარდაშვილი

კალისტრო არქიპოს ძე გამეზარდაშვილი არის ღარიბი გლეხის შვილი შორაპნის მაზრის სოფ. რცხილათიდან. დაიბადა ის 1883 წელს. რადგან მამა ადრე მოუკვდა, იგი აიყვანეს გასაზრდელათ თავის ახლო ნათესავებმა და მიაბარეს ს. ზოვრეთის სოფლის სკოლაში. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციის გამარჯვების ხანაში, მისი ნათესავებს—იაკობ, სოკრატ და იუსტინე გამეზარდაშვილების სახლ-კარი გადასწვეს „ყაზახებმა" და ისინი გადაასახლეს ციმბირში და არხანგელსკის გუბერნიაში.

კალისტრო დარჩა მარტო.

სოფ. ალიხუმის მასწავლებლის დახმარებით იგი შევიდა ალიხუმის სკოლაში და მიაღწია პირველ კლასამდე. ზამთრობით სწავლობდა სკოლაში. ზაფხულობით კი მუშაობდა ჭიათურის შავ ქვაზე მზიდავათ და მაღაროებში.

მსოფლიო ომის დაწყებამდე ამხ. კალისტრო მუდმივად ჭიათურის მაღაროებში მუშაობდა. ომის დაწყებისას 1914 წ. თებერვლის რევოლუციამდე ის მუშაობდა სარაყამიშში, სადაც გაეცნო ბოლშევიკურ მუშაობას და ჯარში მომუშავე ამხანაგებს.

1918 წელს ამხ. კალისტრო ბრუნდება თავის სოფელში. ის რამოდენიმეჯერ იყო დაპატიმრებული მენშევიკების მიერ პარტიული მუშაობისათვის.

1921 წლის შემდეგ ის იყო რაიკომის მდივნად, აღმასკომის თავმჯდომარედ, გლეხკომის თავმჯდომარედ და ამავე დროს არ სწყვეტდა კავშირს ჭიათურის მაღაროების მუშებთან.

მიმდინარე წლის ნოემბრის 15 ჭიათურის მუშებმა იგი დააწინაურეს და წამოაყენეს შავი ქვის ტრესტის მმართველის მოადგილეთ.

ამხ. კალისტრო კომპარტიის წევრია 1917 წლიდან.

## ჭიათურის ქრონიკა

### სადელეგატო ინსტიტუტები

სამთამადნო კავშირის ჭიათურის რაიკომი შეუდგა სადელეგატო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას ადგილებზე. ხსენებულ ინსტიტუტების ჩამოყალიბება დამთავრდება 20 დეკემბრამდე.

### საურთიერთო დამხმარე სალაროები

ქარხანა-მაღაროებთან შექმნილი იქნება მუშათა საურთიერთო დამხმარე სალაროები. ბევრ ადგილკომთან უკვე დაარსდა ასეთი სალაროები.

### სახელების შეცვლა ქარხანა-მაღაროებისათვის

რადგან ჭიათურის სამრეწველო რაიონის ქარხანა-მაღაროები დღევანდლამდის ატარებენ ყოფილ მესაკუთრეების სახელწოდებას, როგორიც არის: ყოფ. სვიმონოვისეული, კარუტო, ჯაყელი, თოფურია, ფორვუდ-სელარ და სხვა, ჭიათურის რაიკომმა დაადგინა შეიცვალოს ეს სახელები ახალით.

ჭიათურის რაიკომი ამჟამად ათანხმებს ამ საკითხს შავი ქვის ტრესტთან.

### ჭიათურის რაიპარტკომში

რაიკომი შეუდგა ქალაქის და თემების საბჭოების წევრთა დატვირთვის გამოკვლევას. გამოკვლევის მასალები გამოყენებული იქნება საბჭოთა მომავალ არჩევნებისათვის.

18 დეკემბერს რაიკომი იწვევს უღარიბეს გლეხთა ჯგუფების სარაიონო თათბირს. თათბირის დღის წესრიგში დასმულია ერთი საკითხი; უღარიბეს გლეხთა შორის მუშაობა და საბჭოთა მომავალი არჩევნები.

### რემედასის კვირეული

16-დან 23 დეკემბრამდე ჩატარებული იქნება რემედასის კვირეული. გამოყოფილია კვირეულის ჩამტარებელი კომისია, რომელმაც შეიმუშავა კვირეულის ჩატარების გეგმა ჭიათურასა და ქარხანა-მაღაროებში.

### 120 ვაგონი დღეში

ჭიათურიდან შორაპნისაკენ ყოველდღიურათ გადის 90 ვაგონი, რომლებსაც გააქვთ 1.170 ტონა შავი ქვა.

რადგან მოთხოვნილება შავ ქვაზე გაიზარდა, ტრესტმა გამოითხოვა რკინის გზიდან დამატებით 30 ვაგონი.

15 დეკემბრიდამ ჭიათურიდან შორაპნისაკენ გავა ყოველდღიურათ 120 ვაგონი, ამ რიგად დღეში ჭიათურიდან გატანილი იქნება 1560 ტონა შავი ქვა.

## სასამართლოს ამოცანები კულაკთან ბრძოლაში

რამდენადაც წარმატებით იზრდება სოციალისტური სექტორი, იმდენად მეტ შევიწროებას განიცდიან ნეპმანი და კულაკი. ისინიც ამ შევიწროებაზე უპასუხებენ აქტიური წინააღმდეგობით სხვადასხვანაირ ფორმებში.

ერთი ამ ფორმათაგანია დასაბეგრი ობიექტების დაფარვა: ნეპმანი ახდენს საწარმო-სავაჭროს ლიკვიდაციას და მისი გადატანით „ჭერ ქვეშ" ან კიდევ შემოსავალის გადამალვით. ხოლო შინ თუ რამე ნივთები მოეპოვება, ეს ყოველივე გადააქვს ცოლის და სხვა ნათესავების სახელზე. ამ ფორმის ბოროტებამ განსაკუთრებით იმატა ჩვენში 1927 წლიდან და დღეს თითქმის უმაღლეს წერტილს აღწევს.

საუბედუროდ ჩვენი სასამართლოები აქ ვერ იჩენენ სათანადო სიფხიზლეს, იბნევიან ფორმალობის ბურუსში, ნეპმანი და მისი დაქირავებული იურისტი კი ამით მარდათ სარგებლობენ. ამ ბოროტებას ჩვენი საგადასახადო ორგანოები ვერ შეებრძოლებიან წარმატებით, თუ სასამართლო და პროკურატურა მეტის ინტერესით და ერთგულებით არ დაეხმარა მათ. ჩვენი ფინ-ორგანოები ყოველდღე ჩივიან სასამართლოს ზედმეტ ფორმალობაზე ამ მხრივ — და ხშირად სრულიად სამართლიანად. ეს ბოროტება იმდენად უყურადღებოთ რჩება, რომ ჩვენ დღემდე არ გვახსოვს არც ერთი კარგად მოწყობილი საჯარო პროცესი ასეთ დამნაშავეთა საქმიანობის სათანადო გამომზეურებით. ალბად სასამართლოები, მიუხედავად ჩვენი ცირკულიარებისა, ამ საქმეს უბრალო ბოროტებად თვლიან. ეს ბოროტება კი პირდაპირ პროლეტარიატის სახელმწიფოს ძირითად ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული და ჩვენს სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულ და სოციალურ დაცვის ღონისძიებებში მას კონტრ-რევოლუციის შემდეგ პირველი ადგილი ეკუთვნება (ს. ს. კ. თავი II).—

ნეპმანზე კიდევ მეტ ეშმაკობას იჩენს კულაკი. ის ყიდულობს მიწას იჯარის ან ეგრედ წოდებულ დამუშავების სახით (ვითომდა მიწის გასაპოხიერებლად და ჯაგნარის გასაწმენდათ), ან აქირავებს სამეურნეო იარაღს, ან საქონელს, ან კიდევ ეწევა მევახშეობას. ყოველივე ამას კი ისეთ ფორმებში ატარებს, რომ გარეგნულად კულაკი ხშირად დაქირავებულ მუშის როლში გამოდის, ხოლო ღატაკი — დამქირავებლისა და განმკარგულებლის როლში.

ღარიბ გლეხს მუშა საქონელი არა ყავს, ის ზოგჯერ იჯარით აძლევს მიწას, ზოგჯერ კი მუშა საქონელს ქირაობს, ორივე შემთხვევაში აქ მის „კლიენტად" კულაკია, რომელიც გარეგნულად ვითომდა საწყალ მოიჯარადრეს და დაქირავებულ მუშას წარმოადგენს. სინამდვილეში კი კულაკის ეკონომიური ურთიერთობა ღარიბთან მუდამ სასარგებლოა პირველისათვის და საზარალო მეორისათვის.

როგორ აფასებს ამ დამოკიდებულებას ჩვენი სასამართლო? სამწუხაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ ის ამ საკითხს ვერ უდგება ღირსეულად. ამის მაჩვენებელია მრავალი ფაქტები.

აი მაგალითად, რას სწერენ სახალხო მოსამართლეები თავიანთ სამთვიან მოხსენებებში: წალკის რაიონის სახალხო მოსამართლე — „კულაკობა არ იზრდება, პირიქით ქრება"; ბაშკიჩეთის რაიონიდან — „კულაკობისა და მევახშეობის ზრდას ადგილი არა აქვს", ლიუქსემბურგის რაიონიდან — „კულაკები და მევახშეები არა გვყავს"; კახეთის მაზრიდან — გურჯაანის მოსამართლე — „ჩემდამი რწმუნებულ რაიონში მევახშეობას ადგილი არა აქვს, რაც ჩანს იქიდან, რომ საანგარიშო დროში (სამ თვეში) მევახშეობის შესახებ საჩივარი არ შემოსულა"; ზუგდიდის მაზრის მოსამართლე — „კულაკობა, მარქსისტულ შეფასებით, ჩვენს მაზრაში არ მოიპოვება". —

ჩვენ განგებ ავიღეთ ისეთი მაზრები, სადაც კულაკობა უფრო მეტია და ადვილი შესამჩნევი, რაღა უნდა ითქვას ისეთ მაზრებზე, როგორიც არის ლეჩხუმი, შორაპანი და სხვები.

მეტად მიუღებელია ასეთი შეფასება, მით უმეტეს, რომ ამ მოხსენებათა ავტორების 99 პროც. მუშებია და ძველი პარტიის წევრები.

განა შეიძლება ლაპარაკი კულაკთან ბრძოლაზე, როდესაც ჩვენი სასამართლო თვით კულაკის არსებობასაც ვერ ამჩნევს?

მართლაც არა მარტო მოხსენებებში რჩება კულაკი შეუმჩნეველი, ასეთ „უჩინმაჩინის ქუდში" გამოდის ის თვით სასამართლოს ღია სხდომაზედაც. აი მაგალითები:

1927 წლის განმავლობაში, ჩვენ სასამართლოში გაიარა 70.000 სამოქალაქო საქმემ, რომელთა ძიების თანხა უდრიდა 4.000.000 მანეთს, ამ საქმეთა უმრავლესობა ეხებოდა მუშებსა და გლეხებს ერთი მხრით, ნეპმანებს და კულაკებს მეორე მხრით. თავისი შინაარსით ეს საქმეები შეეხება უმეტესათ ფულების ან სათესლე მასალის გასესხებას — ვალდებულებას, ან მუშა საქონლის და მუშა ხელის დაქირავებას, ან იგივე იჯარისა და სხვა ქონებრივ გარიგებობის დავას. ვის შეუძლია განაცხადოს, რომ ეს კონფლიქტები სოციალისტურ ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენდა? პირიქით მათი 100 პროც. აღმოცენებულია კაპიტალისტურ — კერძო ვაჭრობა მეურნეობის — ნიადაგზე. მაშასადამე ამ ურთიერთობაში ადგილი ექნებოდა მოგებას, კაბალურ დამოკიდებულებას, მევახშეობას და სხვა კაპიტალისტურ ატრიბუტებს.

როგორ გამოამზეურა ჩვენმა სასამართლომ ეს ეკონომიურ უთანასწორობის ნაშთები? ამაზე გარკვეულ პასუხს იძლევა ერთი ციფრი.

იმავე წლის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში აღძრულია 16 საქმე მევახშეობის შესახებ. განა შეიძლება დავიჯეროთ, რომ 70.000 საქმიდან მხოლოდ 16 იყო მევახშეობის ნიშნებით?! ნუ თუ ჩვენი ქვეყნის კულაკობა ასე ლმობიერი და მოწყალეა, რომ ყოველ ღარიბზე ზრუნავს და არავის ზედმეტს არაფერს ახდევინებს?! არა—ასეთ რამეს ჩვენ კულაკებს ვერ შევწამებთ. კულაკი ისეთი სოკოა, რომელიც, მხოლოდ, გაჭირვებულთა ზურგზე იზრდება და რომელიც მხოლოდ კაბალა-ექსპლოატაციით საზრდოობს. კულაკი გაცილებით მეტი მზაკვარია, ვიდრე ჩვეულებრივი ვაჭარი ან მწარმოებელი. მის მზაკვრობას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ მას საქმე აქვს არა კლასობრივათ შეგნებულ, ორგანიზაციულად დარაზმულ პროლეტარებთან, არამედ შეუგნებელ — ბოგანო გლეხთან. სწორედ აქ უნდა იჩენდნენ ჩვენი სასამართლოები კლასობრივ გამჭრიახობას, აქ უნდა ეღობებოდენ წინ კულაკის წურბელობას.

ჩვენ კი რას ვხედავთ? ერთ წელში მხოლოდ 16 საქმეა აღძრული მევახშეობაზე, ისიც რა შედეგით? 16 კაციდან — 9 გადაუწყვიტეს პირობითი სასჯელი, 3 გაანთავისუფლეს ამნისტიით და 4—კი მიესაჯა არა უმეტეს 6 თვის ციხისა.

სად არის აქ კლასობრივი მიდგომა? ვერ გვაკმაყოფილებს ვერც მოჯამაგირეთა საქმეების გარჩევა. მათი უმრავლესობა ჭიანურდება. ძალიან ბევრ შემთხვევაში კი უკანონოთ წყდება. ხშირია შემთხვევები, როცა მოჯამაგირე უჩივის დამქირავებელს ეთქვათ 10 მანეთს, შრომის კანონების მიხედვით კი ერგება 30 და 50 მანეთი*). მან კანონები არ იცის, ამიტომ სამოქ. სამრ. კოდექსის 7 მუხლის თანახმად თვით მოსამართლეა ვალდებული გამოიჩინოს ინიციატივა და გამოარკვიოს, რამდენი ერგება მომჩივანს, თუ განცხადებით თანხაზე მეტი ერგება უნდა მიუსაჯოს. მაგრამ არა მარტო ეს უნდა გამოარკვიოს მოსამართლემ, ის ვალდებულია არსებითად შეეხოს დაქირავებულისა და დამქირავებლის ურთიერთ დამოკიდებულებას და გამოარკვიოს სრულდებოდა თუ არა შრომის კანონები, რა ფორმებში ტარდებოდა მოჯამაგირის შრომის გამოყენება სამუშაო დღეს ან უქმე დღეებში, ქონდა თუ არა ადგილი ზედმეტ ექსპლოატაციის, უდიერ მოქცევას, აუტანელ დატვირთვას (განსაკუთრებით თუ მოჯამაგირე მოზარდია ან დედაკაცი). იყო თუ არა აგრეთვე ის დაზღვეული (როცა ამას კანონი მოითხოვს) და სხვა. ყოველ შემთხვევაში, როცა კანონის დარღვევას ადგილი ქონდა დამქირავებელი უნდა მიეცეს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

როგორი მაგალითები გვაქვს ჩვენ აქ?

ყოვლად მიუღებელი. მოსამართლე ძვირად თუ ეხება ყოველივე აღნიშნულის გამორკვევას; ყოველ შემთხვევაში გასაკვირველია ის გარემოება, რომ ერთი წლის განმავლობაში ჩვენ გვაქვს ორი შემთხვევა დამქირავებელ კულაკის გასამართლებისა; საქართველოში კი ითვლება 17.000 მოჯამაგირე. ნუ თუ კულაკები აქაც „მამაშვილურ" ლმობიერებას იჩენენ?! ნუ თუ ისინი ასე კარგათ ასრულებენ საბჭოთა შრომის კანონებს?! რასაკვირველია, არა!

აუარებელი კანონები და ცირკულიარებია დაწერილი ამ თემებზე, მრავალი მითითება აქვთ სასამართლოებს, მაგრამ ყოველივე ეს უსარგებლოდ დაიკარგება, თუ მოსამართლე თავის დანიშნულების სიმაღლეზე არ დგას, თუ მოსამართლემ მგელი ცხვრის ტყავში ვერ შეამჩნია.

უნდა ითქვას, რომ კულაკთან და ნეპმანთან ბრძოლის ფრონტზე სასამართლოს და პროკურატურას მეტის მეტად საპასუხისმგებლო საქმე ევალებათ. წინასწარ მოწყობილი ერთი კარგი სასამართლო პროცესი კულაკის საქმიანობის ნიღაბ ახდით გაცილებით უფრო მეტს იმოქმედებს, ვიდრე ათეული საგიტაციო წიგნი და მიტინგი; ის, რაც სასამართლოში გამომზეურდება საჯაროთ, მოწმეების ჩვენებით და ექსპერტების დასკვნით, დამსწრეზე გაცილებით მეტ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე გაზეთში და ჟურნალში დაწერილი წერილი. ხოლო, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენი გლეხი გაზეთსა და წიგნს ჯერ კიდევ ნაკლებად კითხულობს, მაშინ სასამართლოს საჯარო პროცესებს კულაკთან ბრძოლაში კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვთ.

ი. ტალახაძე.

---

*) ასეთი საქმე იყო ბორჯომის სასამართლოში 1927 წ. მოჯამაგირე ჩიოდა: „კულაკმა ერთი წლით დამიქირავა. შვიდი თვის შემდეგ დამითხოვა და აგერ ერთ წელი გადის, არ იხდის ნამსახურის საფასურს 10 მანეთს". ჩვენი კანონების მიხედვით მას ერგებოდა—დაახლოებით 105 მანეთი.

---

## საყურადღებო წვრილმანი

რკინის გზის ახალგაზრდა მუშები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ კოლექტიურ ხელშეკრულების გადასინჯვაში.—ჭიათურის ყოფ. სვანიშვილის ქარხანაში საწარმოო თათბირის მუშაობა ცხოველდება.—აზარტიულ თამაშს კერძო საჩაიებში ბოლო არ ელება.

### ვემზადებით კოლხელშეკრულების გადასასინჯათ

27 ნოემბერს შესდგა დეპოსა და ამხ. სტალინის სახ. ორთქ. შემკეთებელ ქარხნის მუშა-ახალგაზრდობის საერთო კრება, რომელსაც 300—400 კაცი დაესწრო. დღის წესრიგში ორი საკითხი იდგა: ამხ. ორჯონიკიძეს სახ. კლუბის ახსექციის ანგარიში და კოლხელშეკრულებას გადასინჯვის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ამირანაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ახსექცია ნაყოფიერად მუშაობდა. კლუბში გაერთიანებულია 215 ახალგაზრდა, მათ შორის 60 ბავშვია. ახალგაზრდობაში ჩატარდა რამოდენიმე შეჯიბრება. აღსანიშნავია, რომ სროლაში ჯილდო ერგო ქალს. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა ახსექციას არ ჰქონია მჭიდრო კავშირი ქ. კ. უჯრედებთან. საკმაოდ არ არის ჩაბმული საკლუბო მუშაობაში მუშა-ახალგაზრდობა, ზამთრის მუშაობისათვის არ არის მოწყობილი კუთხეები და სხ.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე ამხანაგმა. ორატორები აღნიშნავდენ მრავალს ნაკლს ახალგაზრდათა შორის მუშაობაში. ამხ. ამირანაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ ახსექციის მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლათ და მიეცა პრაქტიკული მითითებები.

კოლხელშეკრულების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. რ. მელქაძე, რომელიც აღნიშნავს, რომ ძველი კოლექტიური ხელშეკრულების გადასინჯვის დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ მუხლებს, რომლებიც არ შესრულებულა. ასეთ მუხლებში შესწორებები უნდა შევიტანოთ და მივიღოთ ზომები, რათა ახალი კოლექტიური ხელშეკრულებით ახალგაზრდათა მდგომარეობა საწარმოებში საგრძნობლად გავაუმჯობესოთ.

მუშა-ახალგაზრდობას არა აქვს საშუალება კვალიფიკაციის ამაღლებისა. საჭიროა მოწყობილ იქნეს საწარმოო წრეები.

დეპოში წესიერათ არ იგზავნებიან ახალგაზრდები დასასვენებელ სახლებში. გარდა ამისა ხშირია შემთხვევა როცა ახალგაზრდები ათავებენ ხელობას და წარმოებაში, კი არ გადაყავთ, არამედ შავ სამუშაოზე. კოლხელშეკრულებაში კი აშკარად არის ნათქვამი, რომ ხელობის შესწავლის შემდეგ ახალგაზრდა მუშა უნდა იგზავნებოდეს პირდაპირ საწარმოოში. ახალგაზრდები ხშირათ თხოულობენ თავის შვებულებით დასასვ. სახლში წასვლას, მაგრამ პროფკავშირი არ აძლევს. განაკვეთები დროზე არ ემატებათ. ამას გარდა რკ. გზების ადმინისტრაცია სცდილობს ჯავშნის შემცირებას რკ. გზების საწარმოებში.

კრებამ საჭიროდ სცნო კოლხელშეკრულების გადასინჯვის კამპანიის ჩასატარებლად წარმოებებში შეიქმნეს საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც დაამუშავებენ კოლხელშეკრულების გადასინჯვასთან დაკავშირებულ საკითხებს: რაციონალიზაციის, შრომის დაცვის, შეგირდების შესახებ და სხვა.

ფ. მესხიძე.

### წარმოებას ვაუმჯობესებთ

(წერილი ჭიათურიდან)

ყოფილ სვანიშვილის ქარხნის საწარმოო თათბირმა განიხილა ორი საკითხი: ქარხანაში არსებული რკინის გზის ლიანდაგის მთლიანად გადაკეთება ახალ სისტემაზე და ერთი ახალი დაზგის შეძენის შესახებ.

ეს დაზგა საგრძნობლად გააუმჯობესებს მარგანეცის დამუშავების საქმეს; ქარხანა რვა საათის განმავლობაში გამოუშვებს 2.000 ფუთ მარგანეცის ზედმეტს და დაზოგავს 400-500 ფუთ მარგანეცს, რომელსაც აქამდე ქარხანა ჰკარგავდა. საერთოდ კი რკინის გზის გადაკეთება და დაზგის შეძენა. წარმოებას მისცემს დღიურად 70 მანეთ მოგებას, რითაც გაწეული ხარჯები დაიფარება ორი კვირის განმავლობაში.

თათბირმა წინადადება მისცა ადმინისტრაციას, რათა დაჩქარებით მოაგვაროს ეს საკითხები.

მუშ.

### საზარტო სათამაშოები საჩაიეში

(მილიციის საყურადღებოდ)

საზოგადოებრივი ორგანიზაციების კუთვნილი აზარტიული სათამაშოების უმრავლესობა დაიხურა. დარჩენილიც უახლოეს დროში დაიხურება, მაგრამ მათ მაგიერ გამრავლდა კერძო პირების საიდუმლო აზარტიული სათამაშოები, სადაც ულმობლად ატყავებენ მუშა-მოსამსახურეებსაც.

ორჯონიკიძის ქუჩა სახლი № 74-ში გახსნილია საჩაიე, რომელიც ეკუთვნის ვინმე აკაკი ავალიანს. წინა ოთახში მართლაც საჩაიეა. უკანა ორ ოთახში კი, დილიდან საღამომდე გაჩაღებულია აზარტიული თამაში; ბაქარა, ზარი, ბაიბურთი და სხვა. ასე გრძელდება თითქმის ერთი წელიწადია და ამ მოვლენისათვის დღემდის არავის ყურადღება არ მიუქცევია. ამ „საჩაიეს" უმთავრესად მუშები ეტანებიან. ისინი შედიან ჩაის დასალევად, მაგრამ ებმებიან საჩაიეს პატრონის მიერ დაგებულ ფულის მახეში და თავიანთ უკანასკნელ კაპეიკებს სტოვებენ იქ. გარდა ამისა, საჩაიეში თავს იყრიან ქუჩის ბიჭ-ბუჭები და სხვა საეჭვო პირები.

ასეთივე ტიპის სათამაშო გამართულია გოგოლევის ქუჩა № 61-ში აქ ხელოსან ჯანგავაძეს, საკუთარ სახელოსნოში მოწყობილი აქვს სათამაშო კუთხე, სადაც დილიდან საღამომდე სწარმოებს აზარტიული თამაში და ამ ნიადაგზე არის ერთი ყიჟინ-ხივილი და უშვერი სიტყვებით გინება. არის შემთხვევა, როცა ფულის გარდა, მუშა ტანსაცმელსაც აგებს.

ამას წინად რკ. გზის მტვირთველმა მუშამ, სერგო ჟანიძემ, გარდა ფულისა წააგო კიდევ ქუდი, ხალათი და ქამარი. ასეთ მოვლენებს აღნიშნულ „სახელოსნოში" ხშირად აქვს ადგილი. მოქ. ჯანგავაძეს ღამით, საზარტო სათამაშო გადააქვს თავის ბინაზე (გოგოლევის № 69), სადაც მთელი ღამე გრძელდება თამაში. ასე აძრობს ტყავს მოქ. ჯანგავაძე მუშებს.

სად არის მილიცია, რატომ არ მიაქცევს ამ მოვლენას ყურადღებას?

უბნელი.

### ჩვენი მუშაობა

(ამხ. სტალინის სახ. ორთქ. ვაგონ. შემკ. ქარხანა)

სარონოდო და სადურგლო სამქროების გაერთიანებულმა საშეფო უჯრედმა თავიდანვე კარგათ აწყო ალღო სოფლად მუშაობას. საბჭოთა ხელისუფლების დასახულ მიზანს, უჯრედი საქმეებით ამართლებს.

საშეფო უჯრედი ამჟამად აერთიანებს 250 წევრს და ყავს თავისი ბიურო, რომლის თავმჯდომარეა ახალგაზრდა მუშა, ამხ. შატბერაშვილი. საწევრო წიგნაკების დარიგების შემდეგ სოფ. გადასახადიც წესიერათ იკრიბება. რაიკომიც დამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას უწევს ინსტრუქტორებით და ლიტერატურით.

უჯრედს წინეთ შეფად აყვანილი ჰყავდა სოფ. თელეთ-გორი. ამ სოფელში უჯრედმა ბევრი რამ გააკეთა: დაარსა სკოლა და სამკითხველო, გამოუწერა სხვადასხვა ლიტერატურა, უყიდა დროშა და რაც მთავარია დაარსა ქ. კ. უჯრედი, რომელშიაც სოფლის ახალგაზრდობის საკმაო ნაწილია ჩაბმული. სამეურნეო დარგშიაც ბევრი რამ აქვს გაკეთებული. ბიუროს ხელმძღვანელობით დაარსებულია ღარიბ გლეხთა კოლექტივი.

უკანასკნელად სოფ. თელეთ-გორი, გადავიდა სხვა საშეფო უჯრედის ხელში, აღნიშნულ უჯრედს კი მისცეს ფაქტიურად ჩამორჩენილი სოფელი ლილო. ამ სოფელში 350 წერა-კითხვის უცოდინარია. ბიუროს შემუშავებული აქვს საშეფო მუშაობის გეგმა, რომლის თანახმად პირველ რიგში უნდა გაიხსნას წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლა. ამჟამად უკვე სწარმოებს მუშაობა არხის გასაყვანად და სამკითხველოს მოსაწყობად. ასე ნაყოფიერად მუშაობს ჩვენი საშეფო უჯრედი.

შეფმუშაკი.

დღეს, საღამოს 6— საათზე, რედაქციის ბინაზე (კამოს ქ. № 68) შესდგება გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა საერთო კრება. ყველა მუშკორების დასწრება აუცილებელია.

## კოლექტიური მეურნეობანი

მშრომელი გლეხობის კოლმეურნეობებში გაერთიანების მისწრაფება თანდათანობით იზრდება.—პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებმა უფრო მეტი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ კოლექტიურ მეურნეობებს.

### საგარეჯოს რაიონში

(წერილი საგარეჯოდან)

საგარეჯოს რაიონში დღემდე ადგილობრივ ორგანოების მიერ ნაკლები ყურადღება ექცეოდა კოლექტიურ მეურნეობათა შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ საგარეჯოს რაიონი მდიდარია სახნავ სათესი მიწებით და ხელსაყრელი პირობებიც მოიპოვება, უკანასკნელ წლამდე აქ არც ერთი კოლექტივი არ იყო დაარსებული. მართალია, საგარეჯოში დაარსებული იყო ამხ. ვანო სტურუას სახელობის არტელი, მაგრამ მისი მუშაობა არ იდგა სათანადო სიმაღლეზე. არტელს აკლდა ხელმძღვანელობა. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ არტელი დაშლის გზაზე დადგა. ამჟამად მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა.

მიმდინარე წელში ადგილობრივმა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კოლექტივების ჩამოყალიბებას, ადგილობრივი ხელისუფლება მხურვალედ გამოეხმაურა ამ საქმეს.

ამა წლის მაისის თვეში სოფ. საგარეჯოში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო არტელი „წინსვლა", კოლექტივში გაერთიანებულია 20 უღარიბესი გლეხი. კოლექტივების წევრები დიდ ხალისს იჩენენ მუშაობაში, ამჟამად კოლექტივის მიერ 35 დესეტინის სივრცეზე უკვე დათესილია გარჩეული და შეწამლული ხორბალი. დათესილ ხორბლის რაოდენობა უდრის 213 ფუთს. ხსენებულ კოლექტივს ბევრი რამ აქვს დასახული მიზნად. მხოლოდ საჭიროა მისთვის ყოველ მხრივად ხელის შეწყობა. მიღებულია ზომები „წინსვლისათვის" ხოლტის სისტემის ტრაქტორის შესაძენად. ადგილობრივმა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობამ დიდი დახმარება გაუწია კოლექტივს თესლის მიცემაში.

ეს ორი თვეა გამოკვლეულ იქნა ზემოდ დასახელებული ამხ. ვანო სტურუას სახელობის არტელი. სათანადო დეფექტების გამოსწორების შემდეგ არტელი გადაკეთდა კოლექტივად, რომელიც აერთიანებს ოცამდე წევრს. კოლექტივს 7 ნახევ. დესეტინა გაშენებული აქვს ვაზით, ბაღით, ბოსტნით და სხვა ნარგავებით. ადგილობრივ ხელისუფლების მიერ კოლექტივს მიეზომა 70 დესეტინა მიწა. საგარეჯოს საკრედიტო ამხანაგობამ კოლექტივს მისცა 12 ფუთი კარგად დარჩეული სათესლე ხორბალი. კოლექტივი უვლის ასამდე სკას.

ა. წ. სექტემბერში სოფ. თოხლაურში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი, რომელიც აერთიანებს თხუთმეტამდე გლეხს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კოლექტივში მოჰყოლოდნენ ზოგიერთი არა სასურველი ელემენტები. ამხანაგების მითითებით ეს პირები ჩამოშორებულ იქნენ კოლექტივისაგან. მომავალში საჭიროა, ამ მხრივ მეტი სიფრთხილე.

კოლექტივს უკვე მიეზომა 50 დესეტინა საუკეთესო მიწა. ადგილობრივმა საკრედიტო ამხანაგობამ კოლექტივს გაუწია დახმარება სამოცდა შვიდი ფუთი სათესლე ხორბლით. ამ ახლად დაარსებულ კოლექტივს ბევრი დახმარება სჭირდება.

სოფელ ანთოკში ერთ-ერთი გლეხის ინიციატივით შესდგა კომუნა, რომელშიაც წევრად შესულია 13 გლეხი. კომუნას ჯერ მოქმედება არ დაუწყია, თუმცა უკვე მიეზომა 40 დესეტინამდე მიწა. ადგილობრივ სოფლიდან გადაეცა სამი ულელი ხარი და ორი ურემი, საგარეჯოს საკრედიტო ამხანაგობას განზრახული აქვს გაუწიოს დახმარება 50 ფუთ სათესლე ხორბლით. აღნიშნულ სოფელში კომუნის ჩამოყალიბებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ. მით უმეტეს მაშინ, როდესაც გლეხობის ინიციატივით ეწყობა ეს საქმე.

რაიონში არსებობს აგრეთვე სამანქანო ამხანაგობები სოფ. გიორგიწმინდაში და მანავში. უკანასკნელ ხანებში საგარეჯოში მოეწყო მეწვრილეთა კოლექტივი, რომელიც აერთიანებს 16 წევრს. ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობამ გაუხსნა 300 მანეთის კრედიტი. კოლექტივს დიდი მომავალი აქვს. გასულ გაზაფხულზე საგარეჯოში დაარსდა აგრეთვე ფეიქარ ქალთა არტელი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საგარეჯოს რაიონში უკვე ფართოდ სწარმოებს მუშაობა კოლექტივების ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ რომ ხელმძღვანელობა ძალიან მოისუსტებს, საჭიროა მტკიცე ხელმძღვანელობა და დიდი მუშაობა კოლექტივების შესაქმნელად.

ალ. ბედიაშვილი.

### არტელების ჩამოყალიბება

(წერილი ფოთიდან)

ქალაქის განაპირა უბნებში დაარსდა ორი სასოფლო-სამეურნეო არტელი „მეურნე"-ს და „წითელი მეურნე"-ს სახელწოდებით. ხსენებულ არტელებში გაერთიანებულია ქალაქის ღარიბი მოსახლეობა, სულ 35 ოჯახი, რომლებმაც სრული შეგნებით და ნებაყოფლობით მიჰყვეს ხელი არტელების დაარსების საქმეს, არტელების სამუშაო გეგმა და ხარჯთაღრიცხვა შედგენილია და გადაგზავნა საქართველოს კოლმეურნეობების ცენტრს, რომლის დამტკიცების შემდეგ არტელებს მიეცეთ ცენტრის მიერ გრძელვადიანი სესხი, პირველს 1000 მანეთი, ხოლო მეორეს 2.000 მანეთი.

არტელებს მიზნად აქვსთ სხვადასხვა სახის მეურნეობის განვითარება, როგორიც არის მეფრინველეობა, მესაქონლეობა, მეღორეობა, მებოსტნეობა და ისეთი კულტურული მცენარეების მოშენება, რომლისაც ფოთის მდებარეობის პირობებში შეუძლია ნაყოფიერი გავრცელება.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადასცა ხსენებულ არტელებს 50 დესეტინა მიწა და ცდილობს გაუწიოს ყოველგვარი დახმარება საჭირო იარაღ-მანქანების შეძენის საქმეში, რაც აუცილებელია მეურნეობისათვის.

პირველ რიგში საჭიროა კოლმეურნეობების ცენტრის მიერ სწორი ხელმძღვანელობა, რაც გამოიხატება ადგილობრივით აგრონომის მივლინებაში, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს ახლად დაწყებულ საქმეს რჩევა-დარიგების მიცემით.

ბ. თავაძე.

### მეტი ყურადღება კოლმეურნეობას

სოფ. ხაშმი, თბილისის მაზრა

გასულ წელს სოფ. ხაშმში დაარსდა კოლმეურნეობა, რომლის სახელწოდებაც არის „პირველი ცდა". კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო ათი კაცი. სართიჭალის თემაღმასკომმა კოლექტივს გადასცა სამი დესეტინა ბაღ-ვენახი, რომელსაც მუშაობდნენ კოლექტიურად. მაგრამ კოლექტივის წევრთა შორის აღმოჩნდნენ ისეთი მავნე ელემენტები, რომლებიც ხელს უშლიდენ კოლექტივის ნაყოფიერ მუშაობას.

კოლექტივის გაჯანსაღების მიზნით თემაღმასკომმა გამოჰყო კომისია. კომისიის კვლევა-ძიებიდან გამოირკვა, რომ კოლექტივზე გაცემული თანხები მოიხმარებოდა პირადი საჭიროებისათვის, აგრეთვე ადგილი ქონდა უდისციპლინობას, კოლექტივის ზოგიერთი წევრი მუშაობდა საერთო მამულში, ზოგი კი თავის პირად საქმეზე გარბოდა, აგრეთვე ადგილი ქონდა შემოსავალ-გასავლის წიგნის არასწორ წარმოებას. ამის გამო კოლექტივის წევრების უმრავლესობა მოითხოვდნენ კოლექტივიდან გაედევნათ მავნე ელემენტები და მათ მაგივრათ მიეღოთ უღარიბესი გლეხობა.

ასეც მოხდა. საქმის გამორკვევამ დაგვანახვა, რომ საჭირო იყო კოლექტივის გაწმენდა ხელის შემშლელ პირებისაგან. რომლებიც გაძევებულ იქნენ კოლექტივიდან. მათ მაგიერ კოლექტივის ჩაეწერნენ უღარიბესი გლეხები 14 კაცი, რომლებიც უფრო მეტ აქტივობას იჩენენ. კოლექტივის წევრებმა მოითხოვეს თავიანთი მიწის ნორმების სხვებზე გადაცემა და სამაგიეროდ კოლექტივისათვის ერთი მთლიანი ნორმის მიზომვა. ეს საკითხი გადატანილ იქნა გლეხთა საერთო კრებაზე, რომ მათ თითოეული გამოეთქვათ თანხმობა კოლექტივისათვის მიწების ერთად გამოყოფაზე. გლეხობას საერთო კრებამ ერთხმად გამოსთქვა სურვილი კოლმეურნეობისათვის მიწების ერთად მიზომვის შესახებ. მოკლე ხანში კოლექტივს ექნება ერთ ფარგალში მიზომილი მიწები. რაც ხელს შეუწყობს სოფლის კოლექტიურ მეურნეობის გაჯანსაღების საქმეს.

ხაშმელი.

## გადამახინჯება თვითდაბეგვრის გატარებაში

კანონი თვითდაბეგვრის შესახებ ადგილებზე ცუდათ ტარდება.—ზოგიერთი საბჭოები თვითდაბეგვრის გატარების საკითხს დამოუკიდებლად—ამრჩეველთა შეუკითხავათ სწყვეტენ.—ბევრ ადგილას თვითდაბეგვრით შეკრებილი თანხა პირდაპირი დანიშნულების მიხედვით არ იხარჯება.—ოზურგეთის სამაზრო აღმასკომი ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების 50 პროცენტის დაფარვას თვითდაბეგვრით აპირებს.—თვითდაბეგვრით შეკრებილი თანხა კანონით არ უნდა აღემატებოდეს სას.-სამეურნეო გადასახადის ჯამს, ფაქტიურად კი იგი მთელ საქართველოში სას.-სამ. გადასახადის ჯამს აღემატება 30 პროცენტით, ცალკე რაიონებში კი—25-დან 739 პროცენტამდე.

ამიერ-კავკ. ცაკს გამოცემული აქვს დადგენილება, რომლის თანახმად სოფლის და თემის მოსახლეობის საერთო კრებას (რომელშიც უნდა დაესწროს ამ პუნქტის ამომრჩეველთა არა ნაკლებ ორი მესამედისა, ნება ეძლევა თვითდაბეგვრის საშუალებით დააკმაყოფილოს ადგილობრივი კეთილმოწყობის და კულტურულ-სამეურნეო ცხოვრების ცალკე მოთხოვნილებები (გზების გაყვანა, სკოლების და სამკურნალოების მშენებლობა, წყალსადენის გაყვანა). თვითდაბეგვრის წესით ერთი წლის განმავლობაში შეკრებილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს სასოფლო სამეურნეო გადასახადის რაოდენობას.

თვითდაბეგვრით შესაკრებ თანხის განაწილება ევალება სოფლის ან თემის საბჭოს, რომელიც ვალდებულია აღრიცხოს დასაბეგრ მეურნეობის მთელი შემოსავალი და მტკიცედ დაიცვას პროგრესიული დაბეგვრის პრინციპი.

აკრეფილი თანხები უნდა დაიხარჯოს მხოლოდ და მხოლოდ დანიშნულების მიხედვით და ამომრჩეველთა საერთო კრებას უნდა წარუდგინოს ანგარიში თანხების გამოყენების შესახებ.

ამიერ-კავკ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილებამ გამოიკვლია, თუ როგორ ხორციელდება ადგილებზე დადგენილება თვითდაბეგვრის შესახებ და გამოარკვია, რომ თვითდაბეგვრის გატარების დროს ადგილი აქვს მნიშვნელოვან დეფექტებს:

თვითდაბეგვრის საკითხს ხშირად დამოუკიდებლად სწყვეტს საბჭო, საკითხი არ ირჩევა სოფლის ან თემის ყრილობაზე, ან საკითხს არჩევენ ყრილობაზე, რომელსაც ესწრება მოსახლეობის მხოლოდ 10—15 პროცენტი.

თვითდაბეგვრით აკრეფილი თანხები ძალიან ხშირათ იხარჯება არაპირდაპირი დანიშნულებით (მაგალითად საბჭოსათვის შენობების აგება, მილიციელის და ორკესტრის შენახვა, საბჭოს წევრების სამგზავრო ხარჯები და სხვ.) ოზურგეთის აღმასკომის ბიუჯეტში შეტანილია აღმასკომის ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების 50 პროცენტი, ხოლო დანარჩენი 50 პროცენტი დაფარული უნდა იქნეს თვითდაბეგვრით.

დადგენილების თანახმად თვითდაბეგვრა შეიძლება გატარებული იქნეს მხოლოდ სოფლებში, ფაქტიურად კი საქართველოში თვითდაბეგვრა ტარდება ზოგიერთ ქალაქებში და თემებშიც (მაგ. სენაკში),

თვითდაბეგვრის გატარების დროს კარგად ვერ არის დაცული კლასობრივი ხაზი. ხშირად ერთნაირად ბეგრავენ, როგორც კულაკს აგრეთვე საშუალო და ღარიბ გლეხს (რაჭის მაზრა, აფხაზეთი) სოფლის მოსახლეობის დაყოფა შეძლების მიხედვით სხვადასხვა მაზრებსა და თემებში სწარმოებს სხვადასხვა წესით: ზოგან მოსახლეობა დაყოფილია 8 კატეგორიათ, ზოგან ხუთათ და ზოგან შვიდათ. ბეგვრის გაწერის დროს მხედველობაში არ იღებენ მჭამელთა რაოდენობას ოჯახში.

დირექტივის თანახმად, თვითდაბეგვრის თანხა არ უნდა აღემატებოდეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჯამს. დადგენილების ეს მუხლი ფაქტიურად დარღვეულია თითქმის ყველა მაზრებში. საერთოდ თვითდაბეგვრის თანხების აღრიცხვა ძალიან ცუდათ არის დაყენებული, მაგრამ იმ ცნობების მიხედვითაც კი, რომლებიც შეკრებილია, ნათელი ხდება დირექტივის დამახინჯება. მაგალითად საქართველოში გამოკვლეულ 8 თემში სასოფლო-სამ. გადასახადის ჯამი უდრის 68.898 მანეთს, ხოლო ამავე თემებში აკრეფილ თვითდაბეგვრის თანხა—83.807 მანეთს.

1927—28 წელში თვითდაბეგვრით შეკრებილი თანხა აღემატება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჯამს: გორის მაზრაში—25.5 პროცენტით, ახალციხის მაზრაში—75 პროცენტით, სიღნაღის მაზრაში 182 პროც., შორაპნის მაზ. 516 პროც. სამ.-ოს.—98 პროც. რაჭის მაზრაში—739 პროცენტით, ხოლო მთელ საქართველოში 30 პროცენტით. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჯამი საქართველოში უდრიდა 2.207.225 მანეთს, თვითდაბეგვრით შეკრებილი თანხა უდრის (არასრული ცნობებით)—2.247.270 მან.

გამოირკვა აგრეთვე, რომ საბჭოები ზოგან ამომრჩევლებს არ უდგენენ ანგარიშს, თუ რა მიზნებზე დაიხარჯა თვითდაბეგვრით აკრეფილი თანხები.

უმაღლეს ორგანოების დირექტივის ასეთი დამახინჯება, ამიერ-კავკ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილების დასკვნით, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ადგილობრივ საბჭოების მუშაკებს სრულიად არ დაუმუშავებიათ უმაღლეს ორგანოების დადგენილებები თვითდაბეგვრის შესახებ და გლეხობა არ იცნობს ამ დადგენილებებს. ამ გარემოებას მომავალში უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება და მიღებულ უნდა იქნეს გადამჭრელი ზომები, რომ სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრამ სავსებით გაამართლოს თავისი მიზანი.

## საქართველოს მეაბრეშუმეთა თათბირი

16 დეკემბერს, თბილისის საბრეშუმო სადგურში გაიხსნა „საქართველოს აბრეშუმი"-ს პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირი. თათბირს ესწრებიან აგრეთვე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის, საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და „სოფლის კავშირის" წარმომადგენლები.

პირველ სხდომაზე მოსმენილი იქნა „საქართველოს აბრეშუმი"-ს თავმჯდომარის ამხ. მანჯგალაძის მოხსენება გასული საოპერაციო წლის მუშაობის შესახებ და იტალიაში ყოფნის დროს მეაბრეშუმეობის დარგში მიღებული შთაბეჭდილების შესახებ.

მომხსენებელი აღწერს იტალიის მეაბრეშუმეობის მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ იტალიაში მართალია გაცილებით უკეთ არის დაყენებული მეაბრეშუმეობა, მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ მეაბრეშუმეობას იტალიაში დიდი ხანია მიქცეული აქვს სერიოზული ყურადღება. ჩვენი მეაბრეშუმეობა განვითარების გზას დაადგა რამდენიმე წლის წინათ და დღეს უკვე გვაქვს თვალსაჩინო მიღწევები. თუ 1919 წელს აბრეშუმის მოსავალი საქართველოში უდრიდა 20.000 კილოგრამს, 1927—28 წელში მოსავლის რაოდენობა გაიზარდა 150.000 ფუთამდე. გარდა ამისა მიღებულია გადამჭრელი ზომები თუთის ხის გასაშენებლად, რა მიზნითაც მრავალ ადგილას ეწყობა თუთის ხის სანერგეები. მეაბრეშუმეობა თანდათანობით ვრცელდება საქართველოს ისეთ კუთხეებში, სადაც მეურნეობის ეს დარგი დიდი ხანია მიტოვებული იყო სრულიად. ამჟამად მოწყობილია ევროპიული ტიპის აბრეშუმის ქარხნები ოზურგეთში, ხონში, ქუთაისში და თელავში. ყველა ამ ქარხნებში ჩაბმულია სულ 3.126 მუდმივი მუშა, ხოლო სამმართველოებიანათ ერთად 4.852 კაცი. მუშა-მოსამსახურეთა თვიური ხელფასი შეადგენს 155.000 მანეთს. (1925 წელში შეადგენდა 5520 მანეთს).

### ამხ. გ. ჟურულაშვილის სიტყვა

ამხ. მანჯგალაძის შემდეგ სიტყვით გამოვიდა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. ჟურულაშვილი, რომელმაც განაცხადა:

ძველათ მეაბრეშუმეობას ჩვენში ჰქონდა ნედლი მასალის დამზადების ხასიათი. უკანასკნელ წლებში ჩვენ დავიწყეთ მუშაობა რომ მეაბრეშუმეობას მიეცეთ სამრეწველო ხასიათი. ამჟამად საბჭოთა ხელისუფლებას აღებული აქვს კურსი ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარებაზე. 5 წლიანი პერსპექტიული გეგმის თანახმად მეაბრეშუმეობის პროდუქცია ხუთი წლის განმავლობაში აყვანილი უნდა იქნეს 300.000 ფუთამდე. ის მოითხოვს მუშაობის დაჩქარებული და ინტენსიური ტემპით წარმართვას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ამ მიზნით გაძლიერებული უნდა იქნეს აგრიკულტურული ღონისძიებები; გაფართოებული უნდა იქნეს ინსტრუქტორების შტატი და მიღებული უნდა იქნეს ზომები მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. რომ მოსახლეობა მეტად დაინტერესდეს მეაბრეშუმეობით. საჭიროა აბრეშუმის თესლის გაუმჯობესება, რაც გამოიწვევს აბრეშუმის მოსავლიანობის ზრდას.

საჭიროა ქარხნის პროდუქციის (ძაფის) ხარისხის გაუმჯობესება რა მიზნითაც მიღებული უნდა იქნეს ზომები ქარხნის მუშების კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამასთანავე მიღებული უნდა იქნეს ზომები თვითღირებულების დასაკლებათ. თვითღირებულება კი შემცირებული უნდა იქნეს არა ხელფასის შემცირებით, არამედ წარმოების უკეთ შესწავლით, უკეთ დაყენებით და შრომის ნაყოფიერების ზრდით.

## ბავშვთა სანატორიუმი

საქართველოს ცაკთან არსებულმა ბავშვთა კომისიამ გადასწყვიტა ტუბერკულიოზით დაავადებულ ბავშვებისათვის მოაწყოს ახალი სანატორიუმი.

საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სამეცნიერო საბჭომ მიზანშეწონილათ სცნო, რომ სანატორიუმი ქლექიან ბავშვებისათვის მოეწყოს ქობულეთში.

ამ დღეებში ქობულეთში გაემგზავრება სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ადგილის შერჩევა სანატორიუმისთვის.

კომისიის დადგენილებით სანატორიუმის მოწყობა უნდა დამთავრდეს ერთი წლის განმავლობაში.

## ამხ. ი. კვარაცხელიას ხსოვნას

2 დეკემბერს, საღამოს ათ საათზე, სამაზრო აღმასკომის პლენუმის სხდომის შემდეგ შინ მიმავალი ამავე პლენუმის წევრი ამხ. **იოსებ კვარაცხელია** ქალაქის ბაღთან ვერაგულად იქნა მოკლული.

იოსები ძველი რევოლუციონერია, ის 1902 წლიდან აქტიურ მონაწილეობას ღებულობს რევოლუციონურ მოძრაობაში. ამ დროიდან 1924 წლამდე თვალსაჩინო წევრი იყო მენშევიკური პარტიის. ზუგდიდის მაზრაში იოსების შესადარი მენშევიკურ პარტიის არაფერი გაჩნდა. ის იყო დამფუძნებელი კრების წევრი. ამხ. იოსები პოპულიარული პიროვნება იყო ზუგდიდის მაზრაში, განსაკუთრებით გლეხობაში, როგორც მჭერმეტყველი და გლეხთა ტრიბუნი.

იოსებში პოლიტიკური გარდატეხა მოხდა 24 წლის ავანტიურის შემდეგ. მენშევიკურ ავანტიურის დროს ის, პარიტეტული კომიტეტის დავალებით ასრულებს ზემო სამეგრელოს „აჯანყებულთა" ხელმძღვანელის როლს. გამოსვლების მეორე დღეს, ანუ 1924 წლის 29 აგვისტოს ის უარს ამბობს სამარცხვინო საქმეში მონაწილეობაზე. მენშევიკების მოქმედებას უწოდებს ავანტიურას. აი რას აცხადებს ის საჯაროდ ავანტიურის მესამე დღეს: „მე მხოლოდ მაშინ მივხვდი ჩემი პარტიის, ე. ი. მენშევიკების მოღალატეობა-გამცემლობას, როდესაც აჯანყებულებში ბოლშევიკების წინააღმდეგ ჩემ გვერდით დადიანები და ჩიქოვანები დავინახე, რომლებსაც მე ყოველთვის ვებრძოდი. ღრმად დავრწმუნდი, რომ მენშევიკურმა პარტიამ უღალატა მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას. ამიტომ ამის შემდეგ დანაშაულად მიმაჩნია ჩემის მხრივ მშრომელების ამ თავად-აზნაურობის პარტიის რიგებში დარჩენა, რისთვისაც მოუწოდებ ყველა პატიოსან მშრომელთ დასტოვონ მშრომელთა მოღალატე მენშევიკური პარტია და გვერდში ამოუდგნენ კომუნისტებს".

ეს სიტყვები ამხ. იოსებმა რამდენიმე ხნის შემდეგ საქმედ აქცია: მან არამც თუ თვითონ დაგმო მუშათა კლასის მოღალატე მენშევიკური პარტია, არამედ დიდად შეუწყო ხელი მენშევიკურ პარტიის ლიკვიდაციას ზუგდიდის მაზრაში. „მე მუშათა პარტიის გარეშე სიცოცხლე აღარ შემიძლია"-ო — ასე ამბობდა ამხ. იოსები, როდესაც მან განცხადება შემოიტანა კომპარტიაში ჩარიცხვის შესახებ. ჩვენი პარტიის ცაკმა ის მიიღო ბოლშევიკურ პარტიის რიგებში სტაჟის გაუქმელად 1925 წლიდან. ამავე წლის მიწურულში იოსების პარტიული მანდატი მოდის მაზრკომში, ეს მანდატი პირადათ მე გადავეცი. გახარებული თვალებით აიღო ხელში და მითხრა: „ამხ. ისაკი, ეს წმიდათა წმიდა უთუოდ სამარეში ჩამყოლოდეს". შემდეგ დაუმატა: „მე ვარ მოღალატეების მოღალატე, ამიტომ მე ისინი ან დღეს ან ხვალ ფიზიკურად მომკლავენ. აწ ჩემი სიკვდილი საძრახისი აღარ იქნება, არამედ სასიქადულო, ვინაიდან მუშათა კლასისათვის მის მოწინავე მებრძოლ რიგებში „მოვკვდები"-ო. ვამშვიდებდით ამხ. იოსებს, მაგრამ ესეც აუსრულდა მას. შური იძიეს, ამხ. იოსები ფიზიკურად მოგვტაცეს ხელიდან, „მოღალატეს" სამაგიერო გადაუხადეს. ჩვენი მაზრის შავრაზმელებმა იდღესასწაულეს. მათ გონიათ, რომ ასე უბრალოთ ჩაივლის. ცდებიან.

ი. ქვანია.

# რემედასის კვირეული

## დადგენილება № 99

### სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

რემედასის მატერიალური სახსარის გაძლიერებისა და მისი იდეებისა და მიზნების პოპულიარიზაციისათვის — სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს რემედასს მოაწყოს საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე კვირეული დეკემბრის 23-დან 28-მდე, ამ რიცხვითურთ, — ამა დადგენილების შემდეგ მუხლებში აღნიშნულ საფუძველზე.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ვადის განმავლობაში რემედასს ნება ეძლევა:

ა) მოაწყოს ფასიანი კონცერტები და სპექტაკლები.

ბ) მოაწყოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები საზოგადოების მიზანის შესაფერის თემებზე, რათა ფართოდ ჩააბას მოქალაქენი საზოგადოების მუშაობაში და აგრეთვე გაავრცელოს მათ შორის რემედასის მიზნები და იდეები, რისთვისაც გამოიყენებს საზოგადო აუდიტორიებს და კინო თეატრებისა და რადიო-გადაცემათა სადგომებს.

3. ნება დაერთოს რემედასს სამი დღის განმავლობაში — დეკემბრის 23-დან, 25-მდე, ამ რიცხვითურთ, — აწარმოოს ყველგან ფულის ნებაყოფლობითი შეგროვება ყულაბებით ქუჩებში, საზოგადო ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულებებში.

4. დაწესებულ იქნეს დეკემბრის 23-დან 25-მდე, ამ რიცხვითურთ, შემდეგი დაბეგვრა რემედასის სასარგებლოდ:

ა) სპეციალური გამოსაღები ყველა გასართობისა და სანახაობის (თეატრი, კინო, კლუბი და სხვ.) ბილეთებზე—მისი ღირებულების 10 პროც.-ის რაოდენობით.

ბ) სპეციალური გამოსაღები ყველა რესტორანისა, ღვინის სარდაფისა და სასტუმროს ბრუნვაზე — 10 პროც.-ის რაოდენობით.

5. წინადადება მიეცეს თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს — გამოუშვას სამი დღით მთავარ ხაზებზე მიმოსვლისათვის ტრამვაის ერთი ვაგონი და ამის მთელი შემოსავალი გადასცეს რემედასს.

6. ნება დაერთოს რემედასს აწარმოოს კვირეულის განმავლობაში ლოტერეას გათამაშება ქალ. თბილისში (განსაზღვრულ პუნქტებში და ყველა კინო-თეატრში) და ადგილობრივ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

# საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

### ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციების გამოკვლევა

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენება ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციების და საკავშირთაშორისო ბიუროს გამოკვლევის შედეგების შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ბიუროს სუსტი კავშირი ჰქონდა ადგილობრივ ორგანიზაციებთან; სუსტი იყო აგრეთვე კავშირი ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციებსა და ცენტრალურ გამგეობებს შორის ზოგიერთ კავშირებში (გემოკვების, რკინისგზელთა და ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირები).

როგორც ბიურო, ისე ცალკე სექციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ გამოკვლევების წარმოების საკითხს. სუსტად არის დაყენებული აგრეთვე ანგარიშწარმოება და საზოგადოებრივი მუშაობა ინჟინერ-ტეხნიკოსთა შორის. შესაფერი ყურადღება არ ექცეოდა პრაქტიკანტებისა და სტაჟიორების გამოყენების საქმეს. ბიურო და სექციები მუშაობას არ აწარმოებენ წინასწარ შემუშავებული გეგმით. ადგილი აქვს აგრეთვე ინჟინრების გამოუყენებლობის სპეციალობის მიხედვით. ფართოდ ვერ არის გაშლილი თვითკრიტიკა. ჟურნალი „ტეხნიკა და ცხოვრება“, რომელსაც ხელმძღვანელობს ბიურო, საკმარისად ვერ ვრცელდება.

მოხსენების გამო რეზოლუციისა და პრაქტიკული წინადადებების დასამუშავებლად გამოყოფილი იქნა კომისია, რომელშიაც შევიდნენ ამხ. გოდაბრელიძე, მიქაძე, ანთიძე, კაკაბაძე და ფეოდოროვი.

### საბავშვო ბაგები წარმოებებთან

პროფსაბჭომ ს.მ.უ. საბჭოსთან ერთად შეიმუშავა იმ წარმოებების სია, რომლებმაც საბავშვო ბაგების შესანახად ჯანსახკომში უნდა შეიტანონ ხელფასის ერთი მეოთხედი პროცენტი.

საბავშვო ბაგები ეწყობა აბრეშუმის, ტყავის, ტას, სურსათ-გემოვნების, სამკერვალო, ქაღალდის, ქიმიური, ბამბეულის და ჩაის მრეწველობის წარმოებებთან.

### ბიუჯეტის განხილვა

საქართველოს პროფსაბჭოს და კავშირების ცენტრალურ გამგეობების ბიუჯეტის განსახილველად გამოყოფილი იქნა კომისია ამხ. ანთიძის, ზაიანდუროვის და მიქაძის შემადგენლობით.

### პროფკურსები

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა 1-ლი თებერვლიდან გახსნილი იქნეს თბილისში რესპუბლიკანური კურსები პროფმუშაკების მოსამზადებლად.

# ქრონიკა

### 25 დეკემბერი სამუშაო დღეა

საქართველოს შრომის სახ. კომისარიატის განმარტებით, 25 დეკემბერი სამუშაო დღეა.

### 1929 წლის უქმე და დასასვენებელი დღეები

საქართველოს შრომის სახ. კომისარიატმა შეიმუშავა 1929 წლის უქმე და დასასვენებელი დღეების ცხრილი. ამ დადგენილების თანახმად, უქმე დღეებათ გამოცხადებულია—1 იანვარი (ახალი წელიწადი), 22 იანვარი (1905 წლის 9 იანვრის და ლენინის ხსოვნის დღე), 25 თებერვალი (საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღე), 12 მარტი (თვითმპყრობელობის დამხობის დღე), 18 მარტი (პარიზის კომუნის დღე), 1 და 2 მაისი (ინტერნაციონალის დღეები) და 7 და 8 ნოემბერი (ოქტომბრის რევოლუციის დღეები).

განსაკუთრებულ დასასვენებელ დღეებათ გამოცხადებულია: 7 იანვარი, 6 მაისი, 15 ივლისი და 12 აგვისტო.

არასამუშაო დღეთ გამოცხადებულია 20 სექტემბერი (26 კომუნარის ხსოვნის აღსანიშნავად).

### ამერიკელი სპეციალისტის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ამერიკელი სპეციალისტი-ინჟინერი ლ. ბენჯამინი.

### ხორცის ბაზარზე

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის დადგენილებით, ამ დღეებში თბილისის სხვადასხვა უბნებში დამატებით გაიხსნება 12 ახალი ხორცით სავაჭრო პუნქტი. ლენინის რაიონში გაიხსნება 3 პუნქტი (ცენტრალურ ბაზარში —2, საბჭოს ქუჩაზე—1. ვერის ბაზარზე—1, ჟორესის ქუჩაზე—1, კახეთის ქუჩაზე—1, პუშკინის ქუჩაზე—1, ვაკეში —1 და კომუნარის ქუჩაზე—1.

ამ დღეებში თბილისის კოოპერატიულ ხორცის სავაჭროებში დაიწყება გაყინული ხორცის გაყიდვა.

### თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმში

გუშინ დღის 1 საათზე ამხ. ვ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზედაც თბილისში ფიზკულტურის დარგში მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ფიზკულტურის თბ. საბჭოს წარმომადგენელმა ამხ. კვინიხიძემ.

ფიზკულტურის საქმის გაუმჯობესების მიზნით შესაფერი ღონისძიებების გამოსამუშავებლად სხდომამ გამოყო კომისია ამხ. ავაქოვის, ქაცარავას, კამალოვის, სიხარულიძის და კვინიხიძის შემადგენლობით.

შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. გავაშელის მოხსენება ქალაქის ლომბარდის მუშაობის შესახებ. ლომბარდის მუშაობის გასაჯანსაღებლად სხდომამ მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებები.

### თბილისის აღმასკომში

**საბავშვო კინო.** განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა თბილისში მოაწყოს საბავშვო კინო-თეატრი.

◆ **ბაღი.** კეთილმოწყობის განყოფილებას განზრახული აქვს ყოფ. საკათედრო ტაძრის ეზოში გააშენოს ბაღი.

### მიწად-მოქ. სახ. კომისარიატში

◆ **აგრო-დახმარება.** ზუგდიდის მაზრაში ახალ აგრო-პუნქტების მოსაწყობად წელს დაიხარჯება 40.000 მან.

◆ **მეფრინველეობა.** ახალქალაქში ჯიშიან ფრინველების მოსაშენებელ სადგურის მოსაწყობად გადაიდო 1000 მ.

### სხვადასხვა

◆ **ინჟ. კამპანიონის მოხსენება.** სამშაბათს, 18 დეკემბერს, საღ. 7 ს. სახ. უნ-ტის გეოლოგიურ კაბინეტის აუდიტორიაში შესდგება საქ. გეოლოგიურ ინსტიტუტის საბჭოს საერთო სხდომა. მოხსენება ინჟ. კამპანიონისა— „გურჯაანის ფლორიდინის ბუდობების შესახებ“.

# სასამართლო

### გაფლანგვა იუსტიციის სახალხო კომისარიატში

(პროცესის მეთორმეტე დღე)

ექსპერტებმა ოთხი დღე მოანდომეს მხარეების მიერ წარმოდგენილ წერილობითი შეკითხვების პასუხის დამზადებას.

გუშინ დილის სხდომაზე უზენაესმა სასამართლომ მოისმინა ექსპერტების პასუხი.

ექსპერტები სავსებით ადასტურებენ წინასწარ გამოძიების დროს მათ მიერ მიცემულ დასკვნებს და არავითარი ცვლილება არ შეაქვთ ამ დასკვნებში.

ექსპერტების დასკვნით, იუსტიციის სახალხო კომისარიატის საფინანსო ნაწილში გაფლანგულია სულ 21,492 მანეთი.

ეს თანხა ცალკე ბრალდებულთა შორის ამ ნაირად ნაწილდება:

მოლარე ჩიკოიძეს საკუთრად გაფლანგული აქვს 8121 მანეთი, გარდა ამისა საფინანსო ნაწილის გამგეს მაისურაძეს და ჩიკოიძეს ერთიანეთთან შეთანხმებულად გაფლანგული აქვთ 11.729 მანეთი.

ბუხჰალტერ ჟამუტაშვილს გაფლანგულად ეთვლება ფოსტით მიღებული თანხა—728 მანეთი, სამეურ. ნაწილის გამგეს განჯღუმოვს გაფლანგული აქვს 302 მანეთი.

ბუხჰალტერ კარახანს ექსპერტების დასკვნით არ შეიძლება რომელიმე თანხა დაერიცხოს გაფლანგულად.

ამ გაფლანგულ თანხიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი არის დაფარული ბრალდებულთა მიერ.

დაუფარავი თანხა, რომელიც უნდა აუნაზღაურდეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს, უდრის 17.514 მანეთს.

ექსპერტები შეკითხვების საპასუხოდ აღნიშნავენ, რომ არევ-დარევა საქმის წარმოებაში და ბუხჰალტერული ანგარიშწარმოების მახინჯი ფორმები ხელს უწყობდა ბრალდებულებს ბოროტმოქმედების ჩადენაში.

დილის სხდომა მოუნდა ექსპერტების პასუხის მოსმენას.

საღამოს სხდომაზე სწარმოებდა ექსპერტების დასკვნების მუხლობრივად განხილვა.

დღეს დაიწყება მხარეთა კამათი.

### ცოლის მკვლელი

ამა წლის 6 ოქტომბერს დუშეთის რაიონულ მილიციის სამმართველოში, თოფით ხელში გამოცხადდა სოფელ ახალ-ოსების მცხოვრები ვანო რაჟდენის ძე როსტიაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ მან მოკლა თავისი ცოლი დარო დრიაშვილი და ითხოვა სათანადო ზომების მიღება.

ძიება-ძიებით გამოირკვა შემდეგი:

გასულ წელს ვანო როსტიაშვილი მოჯამაგირედ ყოფილა სოფელ ახალ ოსეთში ვინმე გიორგი ხოსიაშვილთან. ვანოს ამავე სოფელში მოეწონა ახალგაზრდა ქალი დარო დრიაშვილი და გადასწყვიტა როგორმე მოეხერხებია მისი ცოლად შერთვა.

ქალი წინააღმდეგი იყო. ვანომ მოლაპარაკება გამართა ქალის მშობლებთან, რომლებიც თანახმა გახდნენ.

ქალის მშობლებს ვაჟი არ ჰყავდათ, ვანო როსტიაშვილი ჯანღონით სავსე და მუყაითი მუშა იყო, რომელიც დრიაშვილის ოჯახს ფეხზე წამოაყენებდა თავისი შრომით. ამ მოსაზრებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი და ქალის მშობლებმა ვანო როსტიაშვილი ჩაისიძეს.

მათი ქორწინების რეგისტრაციაში გატარების მეორე დღიდანვე ქალი ახლოსაც აღარ ეკარება თავის ქმარს და მშობლებს უცხადებს, რომ როსტიაშვილთან ცხოვრება მას არ შეუძლია.

ქალი მშობლებისაგან მოითხოვს, რომ მათ როსტიაშვილი გააძევონ ოჯახიდან. თვითონ კი სტოვებს ოჯახს და ნათესავებთან გადადის საცხოვრებლად.

ქალის მშობლები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ქალის ასეთ მდგომარეობას და წინადადებას აძლევენ როსტიაშვილს დასტოვოს ოჯახი.

— ერთი წელიწადი მიმუშავნია თქვენს ოჯახში. მომეცით, რაც მეკუთვნის და გეცლებით,—უპასუხებს როსტიაშვილი.

საქმეში ერევიან ადგილობრივი საბჭოს წევრები, რომლებიც არკვევენ რამდენი უნდა მიეცეს როსტიაშვილს ხელფასის სახით.

საკითხის საბოლოოდ მოსაგვარებლად საჭირო გახდა ქალის მოყვანა და მისი აზრის მოსმენა.

დარო დრიაშვილის მოყვანას კისრულობს თავიანთ ყოფილი ქმარი როსტიაშვილი, რომელიც მიდის იმ ოჯახში, სადაც დარო თავს აფარებდა.

ქალი როსტიაშვილს უარს ეუბნება მასთან წასვლაზე. მაშინ მასპინძელი კისრულობს დაროს მიყვანას ოჯახში, ხოლო როსტიაშვილი მიდის ხელცარიელი. როსტიაშვილზე ძალიან ცუდ გავლენას ახდენს ქალის ასეთი უარი. მან გადასწყვიტა შურისძიება. წავიდა სახლში. აიღო ფარულად ფარაჯაში თოფი და ჩასაფრდა იმ გზაზე, რომლითაც დაროს და მის მხლებელს უნდა გამოევლო.

დარო და მისი თანამგზავრი უკვე უახლოვდებოდნენ სახლს, როცა უეცრად გავარდა თოფი და დარო დრიაშვილი მიწაზე დაეცა უსულოდ.

როსტიაშვილი თავისით მიდის მილიციაში და ითხოვს დაპატიმრებას.

როსტიაშვილი გაასამართლა თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლოს გამსვლელმა სესიამ ამხ. პ. ბურკაძის თავმჯდომარეობით.

**ვანო როსტიაშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით სასტიკი იზოლიაციით.**

მსჯავრდადებულმა განაჩენი გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში, რომელმაც უშედეგოდ დასტოვა საჩივარი.

**გერ.**

## უგეგმო მშენებლობის წინააღმდეგ

უკანასკნელ ხანებში თბილისის გარე უბნებში გახშირდა უგეგმო და უნებართვოთ დასახლების შემთხვევები. უგეგმოთ აგებულ სახლების უმრავლესობა უბრალო ხის შენობებია, ნაწილი კი სახელდახელოთაა აგებული აგურით, ასე რომ ისინი უფრო დროებით თავშესაფარებს წარმოადგენენ, ვიდრე მკვიდრ შენობებს. გარდა იმისა, რომ ამგვარათ აგებული სახლები აბრკოლებს კეთილმოწყობის საქმეს გარეუბნებში, ამავე დროს შეუძლებლად ხდის სანიტარულ პირობების დაცვას.

სახლები ისე უსისტემოთ შენდება, რომ მოუხერხებელია მათში კანალიზაციის და წყალსადენის გაყვანა, ქუჩების და მოედნების მოწყობა და სხვ.

გარდა ამისა, გარეუბნებში უგეგმოთ აშენებულ სახლების რიცხვის გამრავლება ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის ხანძრის გაჩენისა და გადამდებ სენების გავრცელებისათვის.

გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, თბილისის აღმასკომმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა მიღებული იქნეს სასტიკი ზომები როგორც ცენტრში, ისე გარეუბნებში სახლების უნებართვოთ და უგეგმოთ აგების წინააღმდეგ.

თბილისის აღმასკომის დადგენილებით ამიერიდან უგეგმოთ და უნებართვოთ აგებული სახლები დაშლილი იქნება, ხოლო დამნაშავენი მიცემული იქნებიან პასუხისგებაში. ადმინისტრატიულ განყოფილებას წინადადება მიეცა გააძლიეროს მეთვალყურეობა და მიიღოს შესაფერი ზომები, რათა ქალაქის ფარგლებში უგეგმოთ და უნებართვოთ არ იქნეს აგებული არც ერთი სახლი.

ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილებას დაევალა დაჩქაროს გარეუბნების დაგეგმვა მათი კეთილმოწყობის მიზნით.

## რკინის გზეზე

### დაუდევარი სადგურის უფროსი

სადგ. ულუხანლუში 16 დეკემბერს სასაქონლო მატარებელი მიღებულ იქნა დაკავებულ ხაზზე.

მოსალოდნელი იყო დაჯახება, მაგრამ მემანქანეებმა დროზე შეამჩნიეს, რომ ხაზი დაკავებული იყო და გააჩერეს. დაჯახება აცილებულ იქნა.

როგორც გამოირკვა ბრალი მიუძღვის სადგურის მორიგე შაპარინს, რომელმაც არ გასცა განკარგულება ისრის გადაყვანის შესახებ.

## შემთხვევები

### ბავშვის გასრესა

გუშინ, დღისით, ტრამვაის ვაგონი (№ 95 მარშრუტი მე-14) თურიევის ქუჩაზე (ლენინის რაიონი) დაეჯახა 7 წლის გოგი მაისურაძეს (მცხ. ნაზარეთის ქ. 67) და გასრისა. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა სისხლის სამართლის მილიციის და პროკურატურის წარმომადგენლები. როგორც ირკვევა, ვატმანს ვაგონი დიდ სისწრაფით მიჰყავდა. ვატმანი გიორგ. ბერაბაძე დაპატიმრებულია.

### ხანძარი

გუშინწინ ღამით ლომინაძის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა სახლს № 9. სახანძრო რაზმმა ცეცხლი ჩააქრო 10 წუთის განმავლობაში.

### დაჯახება

კვირას, 16 დეკემბერს, ტრამვაის ვაგონი № 257 რომელსაც მართავდა ვატმანი ვასილ დარბაისელი პლეხანოვის პროსპექტზე, კინო „აპოლო“-ს პირდაპირ, დაეჯახა საგუშაგოზე მდგომ მილიციელს—კუზმა დანიელის ძე კოვალიოვს და დაშავა. კოვალიოვი გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში. ვატმანი დაპატიმრებულია.

### გაფლანგვა

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა დავით ნემოხძე ოჩარაშვილი, რომელმაც მუშკოოპში სამსახურის დროს გაფლანგა სახაზინო 236 მანეთი.

— დაპატიმრებულია მოსე კონსტანტინეხძე სამსონიძე, რომელსაც ბრალდება სახელმწიფო დაზღვევის ფულის მითვისება.

### მოწამვლა

გუშინ, დღისით, რესტორანში ღვინის სმის დროს მოიწამლა პეტრე სავლისძე მშიჩიტეტიძე.

მშიჩიტეტიძეს აღმოუჩინეს საჭირო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში.

### დაჭრა

გრიგოლ გეურქის ძე ბეჟანიძემ (მცხ. ღვინის აღმართი № 29) დანით მსუბუქად დასჭრა გიორგი მიხეილისძე ფანიევი. დაჭრილი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში. ბეჟანიძე დაპატიმრებულია.

### გარყვნილების ბუდე

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ივანე გრიგოლისძე ვართანოვი, რომელსაც კომუნალურ ქუჩაზე № 22 სახლში მოწყობილი ჰქონდა გარყვნილების ბუდე.

### ქურდობა

მილიციამ დააპატიმრა ანუშევან ანტონისძე კალაშიანი და ანატოლი ევსეევისძე ზავატაროვი, რომლებსაც ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

# ხელოვნება

## სახელმწიფო აკადემიური ოპერა

### „ევგენი ონეგინი“ — ბადრიძის დებიუტი

„ონეგინში“, რომელიც დადგმულ იქნა 16 დეკემბრის დღით, მთავარ ინტერესს იწვევდა ლენსკის პარტიის ახალი შემსრულებელი (მიმდინარე სეზონში პირველად გამოვიდა)—ბადრიძე. სიამოვნებით შეიძლება აღინიშნოს, რომ დებიუტანტმა ფრიად დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დასტოვა: მისი პატარა, მაგრამ იბილი, მოქნილი ტენორი (რომელსაც იტალიელები უწოდებენ „tenore di grazia“) ძლიერ სასიამოვნოა სმენისათვის, ხოლო სიმღერა ევსე გარეშე მუსიკალურია და გრძნობიერი. თავის შარშანდელ (იშვიათ) გამოსვლებთან შედარებით, ბადრიძეს ეტყობა ერთგვარი წარმატება. მას უკეთ უჭირავს თავი სცენაზე, გაუმჯობესდა გამოთქმა (რუსულ ენაზე),—მაგრამ, რასაკვირველია, ყველაფერ ამას ვამბობთ შედარებით. მხედველობაში გვაქვს, რომ ახალი მომღერალის (რომლისგანაც ბევრს მოველით) პირველი, გაუბედავი ნაბიჯები. რომ მან გაამართლოს იმედები, ბევრი უნდა იმუშაოს როგორც ხმის დამუშავებაზე (ზედა ფარდების შესახებ ძნელია რაიმეს თქმა ლენსკის პარტიის მიხედვით), ისე სცენიური გადმოცემის გაუმჯობესებაზე.

განსაკუთრებით დამაკმაყოფილებლად იმღერა ბადრიძემ არიები «Я люблю вас, Ольга», «Куда, куда вы удалились» და დუეტი ონეგინთან დუელის სცენაში. არიაში „В нашем доме“ ინტონაცია არ იყო საკმაოდ მკაფიო (ეს ალბად მღელვარების შედეგია). საერთოდ ბადრიძეს წილად ხვდა დიდი წარმატება.

ლამაზად მღეროდა ვარშავსკაია (ტატიანა), მაგრამ განა შეიძლება სიმღერის ასე გაჭიანურება წერილის სცენაში?

დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დასტოვა პავლოვსკიმ (ონეგინი). თუმცა გამოცხადებული იყო, რომ მსახიობი ავად არისო, მაგრამ ის მაინც საკმაოდ კარგად მღეროდა და თამაშობდა.

კოტაევა (ოლღა) სცენიურად დამაკმაყოფილებელი არ იყო პირველ მოქმედებაში. დანარჩენი შემსრულებლები—წინანდელებია. ახალგაზრდობა (დილის წარმოდგენაზე აუდიტორია უმთავრესად ახალგაზრდობისაგან შესდგებოდა) მხურვალედ ხვდებოდა შემსრულებლებს.

### დერჟინსკაიას გამოსათხოვარი გამოსვლა

იმავე დღეს საღამოთი თბილისის საზოგადოებას გამოეთხოვა ქ. დერჟინსკაია. მსახიობი გამოვიდა სხვადასხვა ოპერების ნაწყვეტებში („ფაუსტი“—სცენა ბაღში, „პიკის ქალი“—სცენა არხთან და „აიდა“—მესამე მოქმედება). ჩვენ „კომუნისტი“-ს ფურცლებზე უკვე გამოვთქვით აზრი ნიჭიერი გასტროლიორის მიერ ამ პარტიების შესრულების შესახებ. თვითეულ ამ პარტიისათვის დერჟინსკაია პოულობს ხმის სათანადო ელფერს, სწორ სცენიურ გადმოცემას და ის ყველგან გვევლინება მაღალ-კულტურიან მომღერლად და მსახიობად.

საზოგადოებამ სათანადოთ შეაფასა ამ იშვიათი მსახიობის თვისებები. „აიდა“-ს მესამე მოქმედების შემდეგ, რომელიც მომღერალმა განსაკუთრებული სილამაზით ჩაატარა, დერჟინსკაიას გამოძახებას და ტაშს აღარ ჰქონდა ბოლო.

**დ.**

## ხელოვნების ქრონიკა

### ქუთაისის სატირის თეატრი

ქუთაისში რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა აგიტ-რევსატირის თეატრი. დასში მიწვეული არიან შემდეგი მსახიობები: მარო ალექსი-მესხიშვილი, მერი იასელი, ცეცო მეძმარიაშვილი ლელი შერბაცკაია, შ. აბაკელია, ვახტანგ ხმალაძე, კ. აბესაძე, მ. აბაზაძე, მიხ. ნიმო, მიხ. სვანიძე, მ. ჟვანია, ბ. კოკელაძე და ს. ბაქრაძე; რეჟისორებათ მიწვეულია: დოდო ანთაძე, ვ. აბაშიძე, და გრ. სულიაშვილი. რეჟისორის თანაშემწეთ—ე. მოსცემლიძე. მხატვრები: ვ. ოცხელი და ე. ახვლედიანი. თეატრის მთავარ ხელმძღვანელათ მიწვეულია კოტე მარჯანიშვილი..

დასი უკვე შეუდგა მუშაობას. სეზონი გაიხსნება იანვრის პირველ რიცხვებში.

◆ **„ფაუსტი“.** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ფაუსტი“.

◆ **„კაცი პორტფელით“.** მუშათა თეატრის რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „კაცი პორტფელით“.

# კინო

### კინო-საქმის რეორგანიზაცია

მიმდინარე წლის აგვისტოში მოსკოვში დაარსდა სპეციალური კომისია ამხ. ბოგმანის თავმჯდომარეობით, რომელსაც დავალებული ჰქონდა კინო - მრეწველობის რეორგანიზაციის საქმის შესწავლა.

4 დეკემბერს, შრომისა და თავდაცვის საბჭომ მოისმინა ამ კომისიის მუშაობის ანგარიში.

კომისიის წინადადებით, კინო - საქმის ხელმძღვანელობა, მოწესრიგება და მეთვალყურეობა თავმოყრილი უნდა იქნეს საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, რომელსაც უნდა გადაეცეს საკავშირო ხასიათის ყველა კინო - ორგანიზაციები და საწარმოები, რესპუბლიკანურ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოების გამგებლობაში კი უნდა გადავიდეს რესპუბლიკანური ხასიათის კინო - ორგანიზაციები.

საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან უნდა დაარსდეს მუდმივი ფოტო - კინო - კომიტეტი. კინო - ფილმების გამოშვების იდეოლოგიურ - მხატვრული ხელმძღვანელობა რჩება მოკავშირე რესპუბლიკების განათლების კომისარიატების ხელში.

კომისიის მოხსენების მოსმენის შემდეგ შრომისა და თავდაცვის საბჭომ საჭიროდ აღიარა საკავშირო ტრესტის შექმნა ფოტო - კინო მასალებისა და აპარატურის წარმოების მოსაწყობათ და საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაავალა ერთ თვეში წარუდგინოს შ. და თ. საბჭოს დასამტკიცებლად ახალი ტრესტის წესდების მთავარი დებულებები.

საბჭოთა კავშირში კინო - მრეწველობის მაქსიმალურად განვითარების მიზნით შრომისა და თავდაცვის საბჭომ საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაავალა სამ თვეში შეიმუშაოს ტრესტის მუშაობის გეგმა უახლოესი ორი წლისათვის. ამასთანავე ერთად, შრომისა და თავდაცვის საბჭომ საჭიროდ აღიარა საბჭოთა კავშირში ფოტო - კინო საქმის განვითარებისათვის ხელის შემწყობი კომიტეტის დაარსება საკავშირო სახკომსაბჭოსთან.

კომიტეტის მუშაობის ხელმძღვანელობა დაევალა საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **რუძუტაკს.**

## საქ. სახელმწიფო კინომრეწველობის საქმიანობა

**„მალარია“.** თბილისში დაბრუნდა რეჟ. ბუშის ჯგუფი, რომელიც ამზადებს ფილმს „მალარია“. ექსპედიციამ გადაიღო პალიასტომის ტბა, ფოთის მიდამოები, ბათომის სუბტროპიკული ბუნება და ჩაის პლანტაციები, ოზურგეთის აბრეშუმის ძაფ-სახვევი ფაბრიკა და სხ. თბილისში გადაღებული იქნება ფილმის მეცნიერული კადრები.

— **„კომუნარის ჩიბუხი“.** საქ. სახ. კინომრეწველობის სამხატვრო საბჭომ განიხილა და მოიწონა რეჟ. მარჯანიშვილის ახალი სურათი „კომუნარის ჩიბუხი“.

სურათი აგებულია ი. ერენბურგის მოთხრობაზე და ხატავს პარიზის კომუნის უკანასკნელ დღეებს, კერძოდ, ვერსალელების დაბრუნებას პარიზში, პარიზის ბურჟუაზიის შურისძიებას. მთავარ როლს სურათში ასრულებს 4 წლის სერგო ზაზონლაევი.

„პატარა კომუნარის“ დედის როლს ასრულებს ქართული დრამის მსახიობი-ქალი ვერიკო ანჯაფარიძე. მისი ქმრის როლს—შანგა ჩხეიძე და ბარიკადებზე მებრძოლ კომუნარქალის როლს ჰეჭეჭაძის ქალი.

სურათი „კომუნარის ჩიბუხი“ გამოშვებული იქნება იანვარში.

— **სახ. კინო-მრეწველობის ქრონიკა № 2.** დამზადებულია და ამ დღეებში გამოშვებული იქნება საქ. სახ. კინომრეწველობის ქრონიკის მორიგი № 2. ქრონიკაში შედის: ოქტომბრის დღესასწაული თბილისში, ახალი პურის ქარხანა აზერბეიჯანში, თბილისის ფიზკულტურელები „კრასნოდარელები“-ს ჩამოსვლა და საზღვარგარეთის ქრონიკა.

— **საქ. სახ. კინომრეწველობის სამულტიპლიკაციო** სახელოსნოში, სასწრაფოდ მზადდება ფილმი საბჭოების გადარჩევის შესახებ და ერთი ანტირელიგიური სურათი, რომელშიც ნაჩვენები იქნება საეკლესიო დღესასწაულებთან დაკავშირებული ჩვეულებების მავნებლობა.

**„თეთრი მხედარი“.** რეჟ. ძიგანმა და ოპერატორმა მ. გალპერინმა დაიწყეს ანტირელიგიური სურათის „თეთრი მხედარი“ გადაღება. მხატვრად მოწვეულია ფიდორი. მთავარ როლებში—ესპოვის ქალი და მსახიობები გუგუშვილი და სკალდოროვი.

# ჭადრაკი № 8

### ვ. გოგლიძის რედაქტორობით

ამოცანა

ვ. სერედასი (თბილისი)

(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

ამოცანა

ე. პალკოსკასი (პრაგა)



შამათი სამ სვლაში

### პარტია № 8 (ლაზიერის პაიკის დებიუტი)

გათამაშებულია 1928 წ. 28 ივნისს ამიერ-კავკასიის შეჯიბრების მეხუთე ტურში

თეთრები: ვ. მაკაგონოვი.—შავები: ი. ტალვიკი.

1. d2-d4, მg8—f6 2. მg1—f3 (დამახასიათებელი სვლა ისეთი სტილის მოთამაშისთვის, როგორიც მაკაგონოვია: იგი არ თამაშობს 2. c4, რათა არ მისცეს შავებს შესაძლებლობა e5 თამაშის (ბუდაპეშტის გამბიტი), რის შემდეგ პარტია თავიდანვე მეტად მწვავე ხასიათს ღებულობს) 2. . . , e7—e6 3. c2—c4, d7—d5 (ამ სვლით შავებს გადაჰყავთ თამაში ორტოდოქსალურ დაცვაზე, შეიძლებოდა თამაში შემდეგნაირადაც: 3 . . . , კb4+ 4. კd2, კ:d2 5. ლ:d2, b6 6. მc3, კb7 თანასწორი მდგომარეობით 4. მb1—c3, მb8—d7 5. კc1—g5, კf8—e7 6. e2—e3, 0—0 7. ეa1—c1 c7—c6 8 კf1—d3 (ამ სვლით თეთრებს მხედველობაში აქვთ შემდეგში c—პაიკის გაწევა, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოჰყავთ შავების პასუხის გამო) 8 . . . , d5:c4 9. კd3:c4, მf6—d5 10. კg5:e7, ლd8:e7 11. ლd1—b3, მd5:c3? (სუსტი სვლაა, რის შემდეგ შავები მეტად შევიწროვებულ მდგომარეობაში ვარდებიან; სჯობდა 11 . . . , მb6 12. კd3, e5 კუსთვის დიაგონალის გახსნით და თანაც შევიწროვებულ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად) 12. ლb3:c3, მd7—b6 (ისევ არ ვარგა: სჯობდა ეe8 და შემდეგ e5 თამაში) 13. 0—0, კc8—d7 14. კc4—d3, ეf8—c8 15. ლc3—c2, h7—h6 16. მf3—e5 (მდგომარეობა გამოირკვა: თეთრების პოზიცია ბევრად სჯობია შავებისას, მათ ეხლავე შეუძლიათ შეუდგნენ მოწინააღმდეგის მეფის ფრთაზე შეტევას f—პაიკის მიწევით, შავებისთვის კი არავითარი გეგმა არ სჩანს თამაშის გასაგრძელებლათ და ისინი იძულებულნი არიან თეთრების მოქმედების მოლოდინში იყვნენ) 16. . . . , ეc8—c7 17. a2—a3, კd7—e8 18. f2—f4, ეa8—d8 19. კd3—e4, მb6—d5 20. ეf1—e1, მd5—f6 21. კe4—f3 მf6—d7 (გაუგებარია, რისთვის დასჭირდათ შავებს 3 სვლის დაკარგვა მხედრის d7—მოსაყვანად, როდესაც ამის თამაში პირდაპირ შეეძლოთ მb6—d7, თეთრებიც თავის მხრივ გაუბედაობის გამო ვერ სარგებლობენ მოწინააღმდეგის სუსტი თამაშით, მათ უნდა ეთამაშათ 19. f4—f5 ხაზის გახსნით შეტევისათვის) 22. მe5—d3, f7—f6 23. ლc2—a4, a7—a6 24. ლa4—a5, ეd8—c8 25. b2—b4, კe8—f7 26. ეc1—c3, ლe7—d6 ეe1—c1, მფg8—f8 28. a3—a4, მფf8—e7 29. b4—b5, a6:b5 30. a4:b5, b7—b6! (შავები საუკეთესოდ იცავენ თავს და შემდეგშიც უკეთეს მდგომარეობას აღწევენ) 31. ლa5—b4, c6—c5! 32. d4:c5, b6:c5 33. ლb4—a5, კf7—e8! 34. მd3—b4, ლd6—b6! 35. ლa5:b6 (არ შეიძლებოდა მc6+ თამაში ეe7:c6 ფიგურის დაკარგვის გამო) 35 . . . , მd7:b6 36. მb4—c6+, კe8:c6 37. კf3:c6, c5—c4 38. ეc1—d1, ეc8—d8 39. ეd1:d8, მფe7:d8 40. ეc3—a3, მb6—c8! 41. ეa3—a2, მფd8—e7? (ამ სვლით შავები კარგავენ მოგების შესაძლებლობას, საჭირო იყო ეტლით ღია ხაზის დაკავება, მაგ., 41 . . . , ეa7 42. ე:a7? მ:a7 პაიკ b5 და აგრეთვე პარტიის მოგებ თ ან 41 . . . , ეa7 42. ეd2+, მფc7 43. კd7, c3!! 44. ეd3, c2! 45. ეc3+, მფ:d7 46. ე:c2, ეb7 ზედმეტი ფიგურით, ან ასე 41 . . . , ეa7 42. ეd2+, მფc7 43. მფf2, მფb6 44. ეd8, ეc7 45. ეe8, მe7 46. ეb8+, მფc5 47. კe4, f5 48. კc2, მd5 49. ეe8, ეb7 50. ეc8, მb4 მოსაგები პოზიციით, პარტიაში მოყვანილ სვლის შემდეგ პარტია მალე თავდება ყაიმით) 42. ეa2—d2, ეc7—a7 43. მფg1—f2, მc8—b6 44. მფf2—e2, ეa7—a3 45. h2—h4 დათანხმდნენ ყაიმზე.

მიუხედავად, მრავალ შეცდომებისა ორივე მხრიდან, პარტია მაინც საინტერესოა.

# ფიზკულტურა და სპორტი

### გემო-კვების მუშაკები—მელითონეები

კვირას, 16 დეკემბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა გემოკვების მუშაკებისა და მელითონეთა კავშირების ფეხბურთელთა გუნდების ამხანაგური შეჯიბრება.

ეს მეორე შეჯიბრებაა მიმდინარე სეზონში, რომელშიაც მონაწილეობას იღებს მელითონეთა გუნდი. ამ გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია უკანასკნელი დროის განმავლობაში. გუნდმა ზედიზედ დაამარცხა რკინისგზელების და გემოკვების მუშაკების გუნდები.

სამი მოთამაშის (მატვეენკო, ვორონოვი და ასლამაზოვი) მელითონეებთან გადასვლის გამო, გემოკვების მუშაკებს კვირის შეჯიბრებაში მოუხდათ „ნაცრისფრი“ შემადგენლობით გამოსვლა. „ნაცრისფრთა“ შორის იყვნენ ისეთი ძლიერი მოთამაშეები, როგორიც არიან ოტტო და სომოვი, ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ მელითონეებს შესუსტებულ „მოწინააღმდეგესთან“ ჰქონდათ საქმე.

თამაში ორივე ტაიმში თითქმის თანაბრად მიმდინარეობდა. ორივე გუნდი ერთნაირი ინტენსივობით აწარმოებდა „ბრძოლას“. პირველი ტაიმი უშედეგოთ დამთავრდა. მეორე ტაიმში მელითონეებმა შესძლეს ერთი ბურთის გატანა, რომლის გაქვითება ვეღარ მოახერხეს გემოკვების მუშაკებმა და მატჩი დამთავრდა 1:0 მელითონეების სასარგებლოდ.

ამ შეჯიბრებაში აღსანიშნავია ორივე მეკარის (დ. ცომაია და ა. პაპკოვი) მოხდენილი თამაში.

გამარჯვებული გუნდი თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: დ. ცომაია, მატვეენკო, ვორონოვი, სიხარულიძე, ალექსეევი, გოლიკოვი, ბელოენკო, ასლამაზოვი, მესხიძე, მარჯანი და ქებაძე.

მატჩს სჯიდა ქ. კრავჩენკო.

### შვედური ესტაფეტა

ამ დღეებში ლენინის სახელობის სტადიონზე ჩატარდა შვედური ესტაფეტა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ნაკრები გუნდი 4 კაცის შემადგენლობით: მალიშკოვი (მშენებელთა კავშირი), ცაცუშვილი (საბჭოთა მუშაკების კავშირი), ცვარცხაბია (გემოკვების მუშაკთა კავშირი) და გოგოლიშვილი (საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა კავშირი). ესტაფეტის ჩატარების მიზანი იყო ამიერ-კავკასიის ახალი ზეწევის დამყარება.

ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის დღესასწაულის დროს ბაქოელი ფიზკულტურნიკების მიერ დამყარებული იყო ზეწევი—4,32 წუთი 1.500 მეტრზე. თბილისელი ფიზკულტურნიკების მიერ ზემოაღნიშნულ ესტაფეტის დროს დამყარებული ზეწევი უდრის 4,46,5 წუთს, ე. ი. ამიერ-კავკ. ზეწევი გაუმჯობესებული იქნა 5 წამით.

# რადიო-გადაცემა

### სამშაბათი, 18 დეკემბერი

დღეს, 18 დეკემბერს 4 კილოვატიან რადიო სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

გლეხთა რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; ამხ. ვოლსკის მოხსენება—„ა.ლ.კ.ქ მონაწილეობა საბჭოთა არჩევნებში“; სომხური რადიო-გაზეთი; ტეხნიკური კონსულტაცია; საუბარი—„ქუნთრუშა და მისი საწინააღმდეგო აცრა“—სომხურ ენაზე; კონცერტი სტუდიიდან; ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; 19 დეკემბრის პროგრამის გადაცემა.

# მეცნიერება და ტეხნიკა

## პარიზის პასტერის ინსტიტუტი

(მისი არსებობის 40 წლის გამო)

ამ რამდენიმე ხნის წინად შესრულდა ორმოცი წელიწადი იმ დაწესებულების ოფიციალურად გახსნის დღიდან, რომელსაც ეწოდება პარიზის პასტერის ინსტიტუტი.

40 წლის ნაყოფიერმა მუშაობამ პასტერის ინსტიტუტი აქცია მიკრობიოლოგიის მსოფლიო ცენტრად, და ამიტომ მისი წარმოშობის და აყვავების ისტორიის განხილვა უდრის მთელი ბაქტერიოლოგიის ისტორიის აღდგენას მეხსიერებაში—მისი ჩასახვის მომენტიდან დღევანდლამდე.

ინსტიტუტის დაარსების საბაბათ გახდა პასტერის გენიალური აღმოჩენები, რომელთა წყალობით მთელი რიგი ბუნების მოვლენები და მათ შორის გადამდები სნეულებანი, პირველად იქმნა ახსნილი და განმარტებული, როგორც ცოცხალ არსებათა, მიკროორგანიზმთა აქტივობის შედეგი.

პასტერის მიერვე აღმოჩენილ იქნა ავადმყოფობის თავიდან აღმაშორებელი საშუალებანი მთელ რიგ გადამდებ სენთა წინააღმდეგ; რომელთა შორის საყოველთაო ყურადღება მიიპყრო ცოფის საწინააღმდეგო აცრის მეთოდმა.

მუშაობამ ცოფის შესასწავლად და იმ გარემოებამ, რომ პასტერს მრავლად მიმართავდენ ცოფიან ცხოველთა მიერ დაკბენილები, აუცილებლად გახადა პასტერისათვის უფრო ფართო და უკეთ მოწყობილ შენობის გამონახვა, ვიდრე იყო Ulm'-ის ქუჩაზე მყოფი შენობა, რომლითაც სარგებლობდა პასტერი, როგორც College de France-ის პროფესორი.

1886 წელს საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიის ინიციატივით დაიწყო საერთაშორისო ხელისმოწერა ამ მიზნისათვის. მოკლე ხნის განმავლობაში ხელის მოწერა დასრულდა 2,500.000 ფრანკის შეგროვებით.

3 წლის განმავლობაში აშენდა და იმ დროისათვის ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის მიხედვით მოეწყო უზარმაზარი შენობები ლაბორატორიებისათვის, რომლებიც მოთავსებულია მშვენიერ პარკში.

ლაბორატორიები თავის დროზე დაგეგმილნი თვითონ პასტერის და მისი უახლოეს თანამშრომლების რუ-ს და შამბერლანის მიერ, ისე კარგად არიან გამოანგარიშებულნი, რომ დღემდისაც სრულებით არ მოძველებულან და შეადგენენ პასტერის ინსტიტუტის ძირითადად ნაწილს.

დაწესებულების ბუნებრივი ზრდის გამო რამდენიმე ხნის შემდეგ ეს შენობებიც არასაკმარისი აღმოჩნდა და, 1894 წელს, რუს მიერ ბუდაპეშტის საერთაშორისო კონგრესზე დიფტერიის საწინააღმდეგო შრატის მკურნალობითი მოქმედების შესახებ, გაკეთებულ მოხსენების შედეგად (ამ მოხსენებამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა), გაიმართა მეორე საერთაშორისო ხელის მოწერა, რომლის დროს კიდევ იქნა შეკრებილი 1 მილიონი ფრანკი.

ეს თანხები მოხმარდა სალაბორატორიო შენობების და საჯინიბოების მოწყობას შრატის განყოფილებებისათვის, ეს შენობები მოთავსებულია მთავრობის მიერ ინსტიტუტისთვის დათმობილ მამულში, ქალაქ-გარეთ,

ლუი პასტერი

ინსტიტუტის მატერიალურ აყვავებაზე და მის განყოფილებათა ნორმალურ ზრდას შემდეგში უზრუნველყოფენ კერძო შემოწირულებათა სახით შემოსული თანხები, რომლებსაც ემატება აგრეთვე დამზადებულ შრატების და ვაქცინების გასაღებიდან შემოსული თანხები.

მაგრამ, რაც ახასიათებს პარიზის პასტერის ინსტიტუტს და აკუთვნებს მას განსაკუთრებულ ადგილს მის მაგვარ დაწესებულებათა შორის,—ეს არის არა მატერიალური საშუალებებით სიმდიდრე, არა შენობათა მორთულობა და ტეხნიკურ მოწყობილობათა ხიბლი სპეციალური მუშაობისათვის,—პასტერის ინსტიტუტს ცხოველმყოფელად ჰქმნის სრულიად განსაკუთრებული კოლექტიური, უანგარო მუშაობა კაცობრიობის საკეთილდღეოდ. პასტერის ინსტიტუტს კვლავ თავს ევლება მისი დიდი დამაარსებლის—გენიალურ პასტერის აჩრდილი.

მისთვის გაშენებულ ინსტიტუტში პასტერი შევიდა უკვე „დამარცხებული დროთა და სნეულებით“ (პასტერის სიტყვები ინსტიტუტის გახსნის დღესასწაულზე).

მაგრამ ნახევრად დამბლა დაცემული მცხოვანი მოხუცი, მოკლებული საშუალებას განაგრძოს საკუთარი მეცნიერული მუშაობა, განაგრძობდა სხვების წაქეზებას მეცნიერულ მუშაობისაკენ, ამხნევებდა იმედ და მოთმინებას მოკლებულთ და ფრთას ასხამდა ახალგაზრდა მუშაკთა ენერგიას.

პასტერის მოღვაწეობის ძირითადი პრინციპი იყო: მთელი ძალ-ღონის დახმარება ახალ მეცნიერულ ჭეშმარიტებათა აღმოსაჩენად. ამავე დროს ის არც კი ზრუნავდა პრაქტიკულ დასკვნათა შესახებ, ვინაიდან სთვლიდა, რომ ისინი თავის თავად გამოიღებენ პრაქტიკულ ნაყოფს. პასტერის საკუთარი მაგალითი წარმოადგენს ასეთ შეხედულებათა ბრწყინვალე დასაბუთებას: მისმა ვითომც და სრულიად განყენებულმა შრომებმა კრისტალების მოლეკულიარულ დისიმეტრიის შესახებ, მიიყვანეს ის პრაქტიკული სარგებლობის და ღირებულების მხრივ უდიდეს აღმოჩენამდე: პასტერმა აღმოაჩინა ვაქცინები, რომლებიც იფარავენ ადამიანს და სასარგებლო შინაურ ცხოველებს სასიკვდილო გადამდებ სენებისაგან.

პასტერის ინსტიტუტი, ხელმძღვანელობს რა ამ გზის მაჩვენებელ იდეებით, არ უყენებს თავის თანამშრომლებს არავითარ განსაზღვრულ მიზნებს, არ ავიწროებს მათ არავითარ მუშაობის სავალდებულო ჩარჩოებით; ყოველი მკვლევარი აწარმოებს თავის გამოკვლევებს თავის ცოდნასთან და ნიჭთან შეფარდებით და აძლევს მას იმ დროს, რომელსაც ის სთვლის აუცილებლად.

თანამშრომლებს, რომლებიც აწარმოებენ კვლევა-ძიებით მუშაობას, ინსტიტუტი მათ განკარგულებაში აძლევს თავის მოწყობილობის მთელ სიმდიდრეს, ყველა თავის ტეხნიკურ შესაძლებლობას, ექსპერიმენტისათვის საჭირო ცხოველთა ვივარიუმს და სამაგიეროთ არაფერს არ სთხოვს.

მაგრამ პასტერის ინსტიტუტი აძლევს თავის მეცნიერულ მუშაკებს და მათ ვისაც ის უღებს თავის კარებს კიდევ უფრო მეტს ვიდრე არის ზევით ჩამოთვლილი. ეს გახლავთ შესაძლებლობა თავისუფალი, ამხანაგური კონსულტაციისა მსოფლიო ავტორიტეტებთან მიკრობიოლოგიის, ფიზიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკურ ქიმიის ყოველ დარგებიდან.

ასეთ პირობებში მუშაობა „პასტერიანელებს“ აერთიანებს მჭიდროთ, შეთანხმებულ ოჯახათ და უზრუნველყოფს ინდივიდუალურს, მაგრამ ამავე დროს კოლექტიურად ერთ მიზნისაკენ მიმართულ, შეთანხმებულ მეცნიერულ შემოქმედებას, რომელმაც ეს დაწესებულება მიიყვანა აქამდე გაუგონარ სიმაღლეზე.

პარიზის პასტერის ინსტიტუტმა თავისი მოღვაწეობა გაანაწილა სამ სრულიად განსაზღვრულ სფეროს შორის: 1) კვლევა-ძიებითი მუშაობა მიკრობიოლოგიის ყველა დარგში ეხება ეს ავადმყოფობის გამომწვევ მიკროორგანიზმებს, თუ უვნებელ მიკრობებს, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ მთელ რიგ ბუნებრივ ან და ხელოვნურ ტეხნიკურ პროცესებში (ყველის დამზადება, ღვინის მომწიფება ლუდის მოხარშვა და სხვა), 2) პედაგოგიური მოღვაწეობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ინსტიტუტი ყოველწლიურად მართავს უმაღლეს კურსებს ბაქტერიოლოგიიდან და პარაზიტოლოგიიდან, რომლებზეც იჩენენ დედამიწის ყოველ კუთხიდან კონკურსით შეკრებილი ბაქტერიოლოგიის ახალი მუშაკი, რომლებიც ამასთანავე გადიან სათანადო პრაქტიკულ ვარჯიშობას და 3) პრაქტიკული მოღვაწეობა, რაც გამოიხატება მეცნიერების მიერ აღიარებულ შრატების და ვაქცინების დამზადებაში.

პასტერის პარიზის ინსტიტუტს აქვს მთელი რიგი ფილიალებისა (მათ შორის ყველაზედ ცნობილია ლილის ინსტიტუტი, რომელსაც წინედ ხელმძღვანელობდა პროფესორი **კალმეტი**; კოლონიების ყველაზე ცნობილ ტუნისის ინსტიტუტი—მეთაურობს პროფ. **შარლ ნიკოლი** რომელმაც წელს მიიღო ნობელის პრემია მედიცინაში).

მთელ რიგ ქვეყნებში პასტერის საქმის სათაურში სდგას მეცნიერთა პლეიადა, გამოსული პასტერის ინსტიტუტიდან, საკმარისია დასახელება პროფესორ **Bordet** (ბელგიაში), პროფესორ **Chayas** (ბრაზილიაში), პროფ. **Lignieres** (არგენტინაში), პროფ. **Pettit** და **Harryllotz** (ჩრდილოეთ ამერიკაში), პროფ. **Kerandel** (სპარსეთში), პროფ. **d'Herelle** (ეგვიპტეში) და ბოლოს პროფ. **Maurice Nicolle** (ერთი გენიალური მოწაფეთაგანი პასტერისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სტამბოლის ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტს).

საბჭოთა კავშირში მთელი რიგი მეცნიერები ამაყობენ „პასტერიანელის“ სახელით; პროფ. **ტარასევიჩი, გამალეია,** და მრავალი სხვანი ეკუთვნოდნენ და ეკუთვნიან მათ რიცხვს.

უდიდესი რუს-მიკრობიოლოგთა შორის **ილია მეჩნიკოვი** მომწიფდა. იპოვა თავისი გზა, როგორც მეცნიერმა და საერთო აღიარება მოიპოვა მხოლოდ პარიზის ინსტიტუტის ატმოსფერაში, რომლის ბიბლიოთეკაში, თანახმად პირადი სურვილისა, ინახება ურნა მისი ფერფლით.

ეხლახან პასტერის ინსტიტუტს მეთაურობს უახლოესი თანამშრომელი და მეგობარი პასტერისა პროფ. **ემილ რუ**, რომლის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია ადამიანის არაერთი ტანჯვის შემამსუბუქებელი მეცნიერულ აღმოჩენათა მთელი რიგი.

მის ირგვლივ მყოფ თანამშრომლებს შორის ჩვენ იძულებული ვართ ჩამოთვლის შეუძლებლობის გამო თვითონეულად გამოვყოთ შემდეგნი: პროფ. **კალმეტი**, ავტორი ბავშვების ტუბერკულოზის წინააღმდეგ ვაქცინაციის მეთოდისა; დღეს დღეობით ეს მეთოდი სდგას სამკურნალო მსოფლიოს მხედველობის ცენტრში; პროფ. **მორის ნიკოლი**, რომლის ბრწყინვალე ანალიტიურმა გონებამ შეიტანა ამდენი სინათლე იმმუნიტეტის მოძღვრებაში; პროფ. **d'Herelle**, რომელმაც აღმოაჩინა ბაქტერიათა ანტაგონისტი—ბაქტერიოფაგი; პროფ. **ლევადიტი** მუშაობს ფილტრში გამავალ ვირუსებზე, ჯერ კიდევ ეთიოლოგიის მხრივ უცნობ სნეულებათა აღმძვრელებზე; პროფ. **ბეზრედკა** (სხვათა შორის რუსეთიდან გამოსული და საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ დაუვიწყარ რექტორის პროფ. მელიქიშვილის მოწაფე) —ადგილობრივ იმმუნიტეტის თეორიის და მთელ რიგ ორიგინალობით აღნიშნულ შრომებთა ავტორი; პროფ. **დელეზენი**, რომელიც მუშაობს მიკრობთა ფიზიოლოგიის ფართო დარგში; პროფ. **მენილი**—ყველაზე ავტორიტეტიანი პროტისტოლოგი საფრანგეთში; პროფ. **დიუკლო**—გამოჩენილი ფიზიკო-ქიმიკოსი.

ეს სრულებით არა სავსე ნუსხა იძლევა წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რამდენად მოახერხა პასტერის ინსტიტუტმა განუყოფელ ოჯახის სახით მოეყარა თავი ყველაზედ ბრწყინვალე მეცნიერებისათვის მთელ იმ დისციპლინებიდან, რომლებსაც კავშირი აქვს მიკრობიოლოგიასთან.

კაცობრიობას აქვს უფლება იამაყოს პარიზის პასტერის ინსტიტუტით, რომლის როგორც მატერიალური ისე მეცნიერულ წინსვლაში მონაწილეობას ღებულობენ ყველა ქვეყნისა და ეროვნების ხალხები.

თბილისის ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის დირექტ. **ექ. გ. ელიავა.**

# როალდ ამუნდსენი

(მისი ცხოვრება და მოღვაწეობა)

14 დეკემბერს მთელმა კულტურულმა კაცობრიობამ აღნიშნა ხსოვნა ნობილის ექსპედიციის გადარჩენის დროს დაღუპულ როალდ ამუნდსენის.

ჩვენი მკითხველებისათვის ინტერეს მოკლებული არ იქნება ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსის გმირის ცხოვრების და მოღვაწეობის გაცნობა.

როალდ ამუნდსენი დაიბადა 1872 წ. შემდეგ წელს ამუნდსენის მშობლები გადასახლდნენ ოსლოში (ყოფ. ქრისტიანია, ნორვეგიის სატახტო ქალაქი), სადაც პატარა როალდმა გაატარა მთელი ბავშვობა და 1890 წელს დაასრულა საშუალო განათლება. ჯერ კიდევ სკოლაში ამუნდსენი ძლიერ დაინტერესებული იყო პოლიარული ქვეყნების გამოკვლევით და ოცნებობდა მეზღვაურობაზე.

ამუნდსენის მიერ 1887 წ. მოწყობილმა ექსპედიციამ (თხილამურებით) გრენლანდიის შესასწავლად გადამწყვეტი როლი ითამაშა მის ცხოვრებაში. როცა 1893 წ. ფრიტიოფ ნანსენი თავის „ფრამით“ ჩრდ. პოლიუსისაკენ წასვლას აპირებდა, ამუნდსენს უნდოდა გაჰყოლოდა მას და მხოლოდ დედის თხოვნამ აიძულა დარჩენილიყო.

დედის სიკვდილის შემდეგ ამუნდსენი ენერგიულად შეუდგა მზადებას პოლიარულ ქვეყნების გამოკვლევისათვის. 1894 წ. ის უბრალო მატროსათ შევიდა გემზე, რომელიც სელაპებზე (тюлени) სანადიროთ მიდიოდა. ერთი წლის შემდეგ ამუნდსენმა კაპიტნის წოდება მიიღო, 1897—99 წ. ამუნდსენი მონაწილეობას იღებს ბელგიელთა ექსპედიციაში კაპიტან გერლახის მეთაურობით. ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ ამუნდსენი შეუდგა მაგნიტური მოვლენების შესწავლას ოსლოში, შემდეგ—ჰამბურგში, პოტსდამში და ვილჰელმსჰავენში.

1901 წ. ამუნდსენმა შეიძინა პატარა ხომალდი „გეოა“ (სიგრძით 22 მეტრი, წყალწყვით—47 ტონა), რომლითაც რამდენიმე პატარა ექსპედიცია მოაწყო. 1903 წ. 17 ივლისს ამუნდსენი ამ ხომალდით გაემგზავრა თავის პირველ დიდ ექსპედიციაში ამერიკული კონტინენტის (კანადის სანაპიროების) გასწვრივ. 1903 წ. 12 სექტემბერს „გეოა“-მ, რომლის რაზმი მხოლოდ 7 კაცისაგან შესდგებოდა, მიაღწია იმპერატორ ვილჰელმის მიწის სამხრეთ მხარეს, ადელაიდა-რეგინის კონცხთან, სადაც 1831 წ. ჯეიმს როსმა აღმოაჩინა მაგნიტური პოლიუსი. ექსპედიცია დარჩა იქ დაახლოებით ორი წელი და უმთავრესად მაგნიტურ მოვლენების შესწავლას აწარმოებდა. აღმოჩენილ იქნა აგრეთვე მთელი რიგი უცნობი კუნძულები და მიწები. 1905 წ. აგვისტოში „გეოა“ განაგრძობდა თავის გზას დასავლეთით. დიდის ვაი-ვაგლახით მოახერხა ხომალდის გატარება დოლფინისა და გიზის სრუტეებში. ამრიგად ჩრდ.-დასავლეთის გზას ყველაზე მძიმე ნაწილი გავლილ იქნა. მაგრამ ყინულებმა შეაჩერეს ამუნდსენი და „გეოა“-მ მხოლოდ 1906 წ. 31 აგვისტოს მიაღწია ქ. ნომამდე (ალიასკა). შემდეგში ამუნდსენმა თავისი ხომალდი აჩუქა ქ. სან-ფრანცისკოს, სადაც ახლაც ინახება.

1908 წ. 10 ნოემბერს ამუნდსენმა წინადადება მისცა ოსლოს გეოგრაფიულ საზოგადოებას, რომ მოეწყობილიყო ახალი ექსპედიცია, რისთვისაც მას უნდოდა გამოეყენებია ნანსენის ძველი გემი—„ფრამი“, მაგრამ, როცა 1909 წ. მოვიდა ცნობა, რომ პირიმ მიაღწია ჩრდ. პოლიუსს, ამუნდსენს დაეკარგა ამ ექსპედიციის ინტერესი და გადასწყვიტა ჯერ სამხრეთ-პოლიუსამდე მიეღწია. 1910 წ. 7 ივნისს ამუნდსენი თავის „ფრამით“ გავიდა სამხრეთ-პოლიუსისაკენ.

1911 წ. 13 იანვარს „ფრამი“ მივიდა ბალენის ბუხტში, რომელიც როსის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. შესაფერი მომზადების შემდეგ ამუნდსენი თავისი თანამგზავრებით (1911 წ. 20 ოქტომბერს) წავიდა სამხრეთ-პოლიუსისაკენ, რომელსაც მიაღწია 14 დეკემბერს. ამუნდსენი პოლიუსზე დარჩა 4 დღე და მრავალი საინტერესო ცნობები მოაგროვა. 1912 წ. 17 იანვარს სამხრეთ-პოლიუსს მიაღწია კაპიტან სკოტის ექსპედიციამ, რომელმაც იქ იპოვა ამუნდსენის მიერ აღმართული ნორვეგიული დროშა. ამის შემდეგ ნორვეგიის პარლამენტმა ამუნდსენს ჯილდოთ დაუნიშნა ყოველწლიურად 6.000 კრონა (ნორვეგიული კრონა უდრის 50 კაპ.).

სამხრეთ-პოლიუსიდან დაბრუნების შემდეგ ამუნდსენი შეუდგა თავისი პირვანდელი პროექტის განხორციელებას—მზადებას არქტიკის შესასწავლად. ვინაიდან „ფრამი“ ძლიერ დაზიანდა უკანასკნელი ექსპედიციის დროს, საჭირო შეიქნა ახალი გემის აგება. 1918 წ. 25 ივნისს ამუნდსენი თავის ახალ გემით—„მოდ“-ით წავიდა ახალ ექსპედიციაში. ევროპის ჩრდილოეთ და ციმბირის ნაპირების გასწვრივ, პირველად „მოდ“ გაჩერდა ჩელიუსკინის კონცხთან. 1919 წ. სექტემბერში ამუნდსენმა განაგრძო გზა, მაგრამ ყინულების გამო კვლავ იძულებული შეიქნა გაჩერებულიყო აიონის კუნძულთან. როგორც კი დაიწყო ყინულების დნობა, ამუნდსენი დაიძრა ალიასკისაკენ და 1920 წ. 27 ივლისს მივიდა ნომში. ამრიგად ამუნდსენმა ნორდენშილდის შემდეგ (1878 წ.) პირველად გაიარა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის პოლიარული გზა. ამუნდსენი ენერგიულად შეუდგა მზადებას ჩრდ. პოლიუსის მისაღწევად და განიზრახა აეროპლანების გამოყენება ამ მიზნისათვის. მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო თავისი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა და დაბრუნდა ევროპაში.

ამის შემდეგ ამუნდსენი ნორვეგიის აეროკლუბთან და ამერიკელ ლინკოლ ელსვორტთან ერთად აწყობს ახალ ექსპედიციას აეროპლანებით ჩრდ. პოლიუსის მისაღწევათ. 1925 წ. 21 მაისს ექსპედიცია კუნძულ შპიცბერგენიდან გაფრინდა პოლიუსისაკენ 22 მაისს დილის 1 ს. 15 წ. მიაღწია ჩრდ. განედის 88 გრადუსს და აღმოსავლეთ სიგრძედის 10 გრ. და 30 წუთს. ექსპედიციის ერთი აეროპლანი გაფუჭდა და ყველანი იძულებული გახდნენ თავი მოეყარათ მეორე აეროპლანზე, რომლის ასაფრენ მოედნის მოწყობას ექსპედიცია 15 ივნისამდე მოუნდა. 1925 წ. 15 ივნისს საღამოს 7 საათზე ექსპედიცია დაბრუნდა შპიცბერგენზე.

1926 წ. აპრილში ამუნდსენმა ნორვეგიის აეროკლუბის, იმავე ელსვორტისა და იტალიის მთავრობის დახმარებით მოაწყო ახალი ექსპედიცია ჩრდ. პოლიუსისაკენ—დირიჟაბლ „ნორვეგიით“, რომელიც იტალიაში იქნა დამზადებული პოლკოვნიკ ნობილეს მეთვალყურეობით.

11 მაისს დილის 10 საათზე „ნორვეგია“ გაფრინდა პოლიუსისაკენ, 12 მაისს დილის 1 საათზე დირიჟაბლი გადაფრინდა პოლიუსზე და 13 მაისს საღამოს 8 საათზე (7 საათის ფრენის შემდეგ) დაეშვა ალიასკზე.

ამ ექსპედიციის შემდეგ ამუნდსენმა განაცხადა, რომ მისი კარიერა, როგორც მკვლევარის, დასრულებულია, რადგან განხორციელდა ყველა ის გეგმები რომლებიც ახალგაზრდობაში ისახავდა მიზნათ.

თუ რა პირობებში დაიღუპა ამუნდსენი, ეს ცოცხალია ყველას მეხსიერებაში და მას აღარ შევეხებით.

**ტ. ფ.**

## ბერდის ექსპედიცია სამხრეთ-პოლიუსისაკენ



როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან ამერიკელმა მკვლევარმა კაპიტანმა ბ. ბერდმა მოაწყო დიდი ექსპედიცია სამხრეთ-პოლიუსის შესასწავლად. ორი გემი, დატვირთული ექსპედიციისათვის საჭირო მოწყობილობით, უკვე გავიდა პოლიუსისაკენ. ვთავაზობთ სამხრეთ-პოლიუსის რუკას. რუკაზე წერტილებით შემოფარგლულია ის რაიონი, რომელიც უნდა გამოიკვლიოს და შეისწავლოს ბერდის ექსპედიციამ.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## სავალდებულო დადგენილება № 0,67

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა

18 დეკემბერი 1928 წ. ქ. თბილისი

## მექანიკურ მანქანებისა და სხვა ტრანსპორტის მოძრაობის წესის შესახებ

### თავი I.
### საერთო წესი

1) მოძრაობისათვის დაშვებული იქნებიან მხოლოდ ის ავტომობილები და მოტოციკლეტები, რომლებიც დათვალიერებული და გასინჯული იქნებიან საქართველოს ს.ს.რ. ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს ავტო ინსპექციის მიერ თბილისში ან ს.ს.ს.რ. ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს რწმუნებულების მიერ რესპუბლიკის სხვა ადგილებში და რომლებსაც ექნებათ მიღებული მათგან სათანადო სარეგისტრაციო საბუთები.

2) ავტომობილებისა და მოტოციკლეტების მართვის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირთ, რომლებმაც მიიღეს ამაზე ს.ს.ს.რ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს ავტო-განყოფილებიდან ნებართვა საგამოცდო კომისიაში სათანადო გამოცდების ჩაბარების შემდეგ.

### თავი II.
### ავტომობილების და მოტოციკლეტების მოწყობილობა

3) ავტომობილი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნილებებს:

ა) საჭეს მოქმედება უნდა იყვეს საიმედო, უნდა ჰქონდეს დასაშვები ზღვარი თავისუფალი მსვლელობისა „ლუფტა“ და უზრუნველყოს სწრაფი და ვიწრო მობრუნება.

ბ) ავტომობილს უნდა ექნეს ორი დამოუკიდებელი სამუხრუჭო მოწყობილობა, დაუყოვნებლივ გაჩერების უზრუნველსაყოფად.

გ) საბარგო ავტომობილს უნდა ექნეს ალმართის დასაბჯენი.

დ) ყოველ ავტომობილს უნდა ჰქონდეს 1 საყვირი მაინც.

შენიშვნა: დასახლებულ ადგილებში სირენის ხმარება არ შეიძლება.

ე) ავტომობილს წინ უნდა ჰქონდეს მიმაგრებული ორი სანათური არა ნაკლებ 20 სანთლის ძალისა და ერთიც უკან—წითელი შინით, რომლის საშუალებით უნდა ხდებოდეს ავტომობილის ნომრის განათება.

შენიშვნა: უკანა სანათურის გამომრთველი განმხოლოებული უნდა იქნეს შოფერისაგან იმ მიზნით, რათა მას არ ექნეს ადგილიდან მისი ჩაქრობის საშუალება.

ვ) მოტოციკლეტს უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ ერთი წინა სანათურისა.

ზ) ავტომობილები, რომლებიც მიმაგრებულია ელექტრონის სანათურის მძლავრი სინათლით და პროჟექტორებით შეხვედრისას და მოსახვევებში უნდა იქნენ გამორთული.

შენიშვნა: ახალ მანქანების ახლად მოწყობილ სინათლიან ავტომატიური საყვირებით (სამუხრუჭო სანათურები, მაჩვენებელი ისრები, ნიშნები, „სტოპ“ და სხვ.) უნდა იქნეს მოხმარებული ჯეროვანად და უნდა იხსნებოდეს გამართულად.

თ) ყოველ ავტომანქანაზე მიმაგრებული უნდა იქნეს ორი სანუმრო ნიშანი, ერთი წინ მარცხენა ფრთაზე და მეორე უკან სანათურის ქვემოდ, აღმასკომების მიერ დაპლომბილი.

შენიშვნა: 1) ყოველგვარი გადალესვა სანუმრო ნიშნებისა და მათი არა დანიშნულ ადგილზე მიმაგრება აკრძალულია.

2) დაიშვება იმ მანქანის მოძრაობა, რომელსაც არ ექნება თავისი ნიშანი „გამოსაცდელად“ დაწესებულ ნომრის გარეშე, მასთან თვითეულ შემოწმებისათვის პატრონი ვალდებულია მიიღოს დაწესებული ნომერის „პლაკატი გასინჯვისა“, სათანადო ნომრით.

ი) კერძო მფლობელობის ავტომობილებს უნდა ჰქონდეს შემდეგი გასარჩევი ნიშნები: გასაქირავებელს კუზოვის კარებზე ორთავე გვერდით დახატული უნდა ჰქონდეს რგოლი, გარეგან დიამეტრით 320-მ., სიგანით 20 მ. წარწერით შუაში „ქირავდება“. რგოლი და წარწერა უნდა იქნეს ყვითელი ფერის.

კერძო მფლობელობის არა-გასაქირავებელი ავტომანქანები მომარაგებულნი უნდა იყვნენ იმავე გასარჩევი ნიშნებით, ხოლო სიტყვა „ქირავდება“ არ დაიწერება.

### თავი III.
### ნებართვები და სარგებლობა ავტომანქანით და მოტოციკლეტით. მათი გასინჯვა და მფლობელთა მოვალეობანი

4) ქარხნების მიერ გამოსაშვები, საზღვარგარეთიდან შემოტანილი და სათადარიგო ნაწილებიდან შეერთებული მანქანები მათი ქარხნებში ან სახელოსნოებში დამზადებისთანავე და საბაჟოდან საწყობში, მაღაზიაში და დაწესებულებაში მიღებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აყვანილი სახელმწიფო აღრიცხვაზე, რისთვისაც მისი მფლობელი ვალდებულია შეიტანოს განცხადება დაწესებული ფორმის მიხედვით და საჭირო საბუთების თანდართვით ს.ს.ს.რ. ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს ავტო-ინსპექტორთან და ამასთანავე მანქანა უნდა წარადგინოს გასასინჯავათ.

შენიშვნა: მანქანის მფლობელის გამოცვლა ან მისი კონსტრუქციაში ცვლილებების შეტანა დადასტურებული უნდა იქნეს ავტო-ინსპექტორის მიერ, მანქანის წარუდგენლად.

ავტო-ინსპექტორისაგან სახელმწიფო აღრიცხვის შესახებ სათანადო მოწმობის მიღების შემდეგ მანქანის მფლობელი უდგენს ასეთს თავის განცხადებასთან ერთად, არსებულ ფორმის მიხედვით, ადგილობრივ აღმასკომის კომუნალურ განყოფილებას მანქანის გამოსაცდელათ და გასასინჯავად, სათანადო გადასახადის გადასახდელად სანუმრო ნიშნის მისაღებათ მანქანის ექსპლოატაციისათვის.

შენიშვნა: მანქანის მეორე ქალაქში სამუშაოდ გადაგზავნის დროს მანქანის მფლობელი ვალდებულია მიიღოს ადგილობრივ ავტო-ინსპექტორისაგან ნებართვა (ვიზა), როგორც გამგზავრებისა, ისე მისი მოსვლის შესახებ, ამასთანავე ერთად უნდა აცნობოს ადგილობრივ აღმასკომებს.

5) ნიშნის გაცემას, მანქანის დაპლომბვას და სხვა წესებს იმუშავებს ადგილობრივი აღმასკომის კომუნალური განყოფილება.

6) ავტომანქანების მფლობელნი ვალდებულნი არიან ყოველ თვიურად მოახდინონ მათი კუთვნილი მანქანების შემოწმება. შემოწმების დროს აღმოჩენილი დეფექტები უნდა შეიტანონ ტეხნიკური შემოწმების დავთარში და აქეთ უნდა წარადგინონ ავტო-ინსპექტორებს მათი მოთხოვნილებისამებრ კონტროლის გაწევის მიზნით.

7) ყოველწლიურად 1 მარტიდან 1 აპრილამდე ყველა ავტომანქანები და მოტოციკლეტები გატარებულ უნდა იქნეს ხელახალ რეგისტრაციაზე ს.ს.ს.რ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს ავტო-ინსპექციაში.

8) ავტომობილებისათვის გაცემული სანუმრო ნიშნების გადატანა სხვა მანქანაზე აკრძალულია, თუნდაც იგი ეკუთვნოდეს იმავე მფლობელს.

9) ავტომობილის მფლობელი ვალდებულია თვალყური ადევნოს ავტომობილის გადეს მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს მართულობას და მასთან მისი მართვა ხდებოსაშიშო უფლება.

### თავი IV.
### ავტომობილების და მოტოციკლეტების მართვის ცოდნის შემოწმება და ნებართვა

10) მოქალაქეთა გამოცდის წესი ავტომობილებისა და მოტოციკლეტების მართვის უფლებაზე განისაზღვრება ადგილობრივი აღმასკომის კომ. განყოფილებისა და ს.ს.ს.რ ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს ავტო-განყოფილების მიერ, მასთან მოქალაქენი უნდა აკმაყოფილებდენ შემდეგ მოთხოვნილებებს:

ა) უნდა იყოს არა ნაკლებ 18 წლისა.

ბ) წერა-კითხვის მცოდნე.

ვ) სმენა და მხედველობა ნორმალური უნდა ჰქონდეს.

გ) არ უნდა ჰქონდეს რაიმე ფიზიკური ნაკლი, რომელიც ხელს უშლის მანქანის მართვას.

დ) უნდა ჰქონდეს მანქანის მართვის კურსები დამთავრებული ან სხვა შესაფერი მომზადება.

ე) უნდა იყვეს გაცნობილი მგზავრობისა და ქუჩაში მოძრაობის შესახებ არსებულ წესებთან.

11) მოწმობა მიეცემა იმას, ვინც გამოცდას ჩააბარებს საქართველოს ს.ს.რ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს ავტო-განყოფილებასთან არსებულ კომისიაში. მოწმობას თან უნდა ჰქონდეს მიმაგრებული ფოტოგრაფიული სურათი.

### თავი V.
### ქალაქში ავტომობილებისა და მოტოციკლეტების მოძრაობის წესები და მათ მმართველთა მოვალეობანი.

12) ავტომობილის და მოტოციკლეტის მმართველს ყოველთვის თან უნდა ჰქონდეს:

ა) მოწმობა მანქანის მართვის უფლების შესახებ.

ბ) მოწმობა მანქანის სამუშაოდ დაშვების შესახებ, საქართველოს ს.ს.რ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს ავტო-განყოფილების მიერ გაცემული.

13) ავტომობილის ან მოტოციკლეტის მმართველი პასუხისმგებელია იმისათვის, რომ:

ა) მანქანას ჰქონდეს სანუმრო ნიშნები, თვალსაჩინო ადგილას ვაკეთებული, რომლებიც უნდა იყოს სუფთად, არ იქნეს დახურული და იყოს განათებული.

ბ) სანათურები თავის დროზე ინთებოდეს და იყო განათებული.

გ) ავტომობილი იმყოფებოდეს მიმოსვლისათვის უშიშარ მდგომარეობაში.

დ) ავტომობილი, როგორც მგზავრობის ისე გაჩერების დროს არ ხმაურობდეს და ძლიერ ბოლს არ უშვებდეს.

(დასასრული იქნება)

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

**ოთხშაბათს, 19 დეკემბერს,** დილის 9 საათზე შესდგება ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების ბიუროს სხდომა. უნდა დაესწრონ ამხანაგები (ბიუროს წევრები): 1) ტოროშელიძე მალაქია, 2) თოდრია სილ., 3) სტურუა ვანო, 4) ჟღენტი თენგიზ, 5) ბოლქვაძე ვანო, 6) ნაზარეტიანი ამაიაკ, 7) ფირცხალავა ანდრო 8) ლეჟავა შამშე და 9) სუხიშვილი ლადო.

---

**თბ. სახ. უნივ. აგრონომიულ ფაკულტეტთან არსებული ა.ლ.კ.კ. 1-ლი უჯრედის ბიუროს** სხდომა შესდგება დღეს, 18 დეკემბერს, დღის 1 საათზე. დასწრება ბიუროს წევრ-კანდიდატთა სავალდებულოა, აგრეთვე უნდა გამოცხადდნენ ის ამხანაგები, რომლებთაც განცხადებები აქვთ შემოტანილი პარტიაში ან კომკავშირში წევრად გადარიცხვის შესახებ. გარდა ამისა უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: მეიშვილი ვლასა, წულავა გალაქტიონ, კანდელაკი მაქსიმე, სარუხანიშვილი შალვა.

---

**თბ. სახ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკ. არსებული ახ. ლ.კ. კავშირის 1-ლი უჯრედის ბიურო** აცხადებს, რომ დღეს, 18 დეკემბერს, შესდგება ამავე უჯრედის მორიგი კრება საღამოს სრულ 7 საათზე. დასწრება ყველა წევრ-კანდიდატთა აუცილებელია დაუგვიანებლივ.

---

**სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო კოლექტივი** აცხადებს, რომ დღეს, 18 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია ორგკომისიის სხდომა, რომელზედაც უნდა დაესწრონ ამხ. გაბიძაშვილი, ყოჩიაშვილი გუსტირ, კალანდაძე სიმონ, აბუთიძე დ., სოსელია გრ., გველესიანი მარია, გამსახურდია კარლო, ვაჭაძე ეფრემ, კომახიძე დიმიტრი, ბაჯაძე იოსებ, კალანდაძე დავით.

წინადადება ეძლევა ყველა ამხანაგებს, რომლებსაც შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში წევრათ და კანდიდატათ მიღებაზე, გამოცხადდნენ აღნიშნულ სხდომაზე.

---

**სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომ. უჯრედთა ბიურო-კოლექტივი** წინადადებას აძლევს ყველა იმ პარტკანდიდატებს, რომლებიც არ გატარებულან კანდიდატთა გადასინჯვაში, გამოცხადდნენ დღეს, 18 დეკემბერს, დილის 9 საათზე ბიურო-კოლექტივში დაუგვიანებლად.

---

**თბ. სახ. უნ. სამკურნალო ფაკულტეტთან არსებული ა.ლ.კ.კ. უჯრედის ბიურო** აცხადებს ყველა წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოთ, რომ 18 დეკემბერს საღამოს 6 საათზე მოწვეულია ამავე უჯრედის დახურული კრება. დღის 1 საათზე შესდგება ამავე უჯრედის ბიუროს სხდომა დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატების სავალდებულოა.

---

**დღეს, 18 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე** შესდგება ს. ს. პ. ი. სამთო ფაკ. არსებულ ა: ლ. კ. კ. უჯრედის კრება, 5 საათზე კი—უჯრედის ბიუროს კრება. დასწრება სავალდებულოა წევრთა და კანდიდატთათვის.

---

**დღეს, სამშაბათს, 18 დეკემბერს** ამხ. კლ. აბუსერიძესთან აუცილებლად უნდა გამოცხადდენ დღის 1 საათზე შემდეგი ამხანაგები: კალაძე, კვაცარიძე, სულუხია, სიხარულიძე ნამორაძე, საკინძელაშვილი და გავრილოვი.

---

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია** სთხოვს გიორგი დევდარიანს, თუ იგი თბილისში იმყოფება, გამოცხადდეს სამი დღის ვადაში საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული, ოთახი № 4).

---

**დღეს, 18 დეკემბერს საღამოს სრულ 6 საათზე საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო - განმანაწილებელ განყოფილებაში** (ოთახი მე-66) შესდგება საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის მორიგი სხდომა. მიმღები კომისიის ყველა წევრის დასწრება სავალდებულოა.

---

**დღეს, 18 დეკემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში** (ოთახი მე-66) შესდგება საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის მორიგი სხდომა; სავალდებულოა ქვემოთ დასახელებული, პარტიაში მისაღები ამხანა- [illegible]

[illegible] სხდომა. დღის წესრიგშია მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები. ურმეთერთო კავშირის თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის ყველა წევრისა და კანდიდატის, აგრეთვე საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების და თბილისის პოლიტგანათლების სამმართველოს წარმომადგენლების დასწრება სავალდებულოა.

---

**ოთხშაბათს, 19 დეკემბერს, დილის 11—12 საათზე საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის** საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში ამხ. **ადამიანცთან** გამოწვეული არიან მთლიანი პოლიტსკოლების შემდეგი ხელმძღვანელნი:

**I ლენინის რაიონიდან:** 1) სულაძე, 2) სართანია, 3) რამიშვილი, 4) პერკინი, 5) ბაქაშვილი.

**II ქალაქის რაიონიდან:** 1) ტუხაშვილი, 2) დელიბეგოვი, 3) რამიშვილი, 4) მარიანაშვილი. 5) დავიდოვი, 6) ასისორთა სკოლის ხელმძღვანელი.

**III „26 კომუნარის“ სახელობის რაიონიდან:** 1) ჯანჯუგაზოვი, 2) ტაბიძე, 3) ლეჟავა. 4) ბურჯულაძე.

---

**დღეს, სამშაბათს, 18 დეკემბერს, საათის 6-ზე, საქართველოს ცაკში ამხ. ფ. მახარაძის კაბინეტში მოწვეულია საზ-ა „წერა-კითხვა“-ს ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა.** ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს სთხოვენ დაუგვიანებლივ და აუცილებლად დაესწრონ აღნიშნულ სხდომას: ფ. მახარაძე ქ. ხომერიკი, ს. მამულია დ. ცხიელაშვილი პ. ბოკერია, ჩხარტიშვილი (პოლიტგანი), გ. ჩიხლაძე (ლენინის რაისაბჭო), ლომაძე (ქალ. რაისაბჭო), ისრაელიანი (26 კომუნარის რაისაბჭო), ბუჯიაშვილი (კომკავშირი), ხაჩიკიანი (კომკავშირი), შ. ნუცუბიძე, ვიქტორ სიხარულიძე ვ. მესხი, რ. დუმბაძე, სოსიანი (თბ. პოლიტგანი), კარიაგინი, მჭედლიშვილი (გლეხის სახლი), ლ. სალუქვაძე (უნივერსიტეტი).

# იურიდიული რჩევა-დახმარება

## ანა ალექსანდრეს ასულს ლომიძის კითხვა.

ჩემი ქმარი მუშაობდა მაღაროში 1927 წლიდან. არის პროფკავშირის წევრი და დაზღვეული. 1926 წლის ნოემბერში გაიწვიეს ორ წლიან სამხედრო სამსახურში, 1927 წლის მარტს მე შემეძინა ბავში და დახმარებისათვის მივმართე შორ. მაზრ-ს დამზღვევ სალაროს გამგეს, მაგრამ გამგემ უარი მითხრა დახმარებაზე, გთხოვთ გვაცნობოთ მერგება თუ არა დამზღვევ სალაროდან სამშობიარო დახმარება

**პასუხი:**

რადგან თქვენ ბავში შეგეძინათ ერთი თვის შემდეგ იმ დღიდან, რაც თქვენმა ქმარმა შეწყვიტა მუშაობა სამსახურში გაწვევის გამო, თქვენ დახმარების მიღების უფლება აღარ გქონდათ.

## პორფილე პეტრეს ძე კაციტაძეს (პროფკავშირის წიგნაკი № 18876). კითხვა

ვმსახურობ აიერ-კავკ. რკ. გზაზე უმცროს მეისრის თანამდებობაზე და ვღებულობ ჯამაგირის თვეში 47 მანეთს, ჩვენს სოფელში, რაჭის მაზრაში, სოფ. სხვავაში, გაჰყავთ სახალხო გზა, რომელზედაც ავალებენ ყოველ სრულწლოვან გლეხს ან მუშაობას ათი დღით ან ფულად გადახდას ოცი მანეთისა.

მეკუთვნის თუ არა მე, როგორც მცირე ჯამაგირისა და წვრილ ცოლშვილის პატრონს, გადახდა ოცი მანეთისა?

**პასუხი:**

თქვენ, როგორც მოსამსახურე, თანახმად კანონისა, სავალდებულო შრომის ბეგარისაგან თავისუფალი ხართ, ხოლო თუ თქვენი დაბეგვრა თვითდაბეგვრის წესით მოხდა, ასეთი ბეგარა თქვენთვის სავალდებულოა.

---

სადგ. თბილისის მუშა-მოსამსახურეთა ერთი ჯგუფი: გ. დევდარიანი, კ. ლვამიჩავა, ივ. ჯავახიშვილი, ვ. წულუკიძე, გ. ვერულავა, ი. სტურუა, ო. გეორხელაძე, ს. ხელაია, ი. ბოკერიშვილი, ე. ჯინორიძე, ნ. არკადიევა, გ. იმნაიშვილი, მ. ჯორბაძე, გ. მელნიკოვა, ი. გოთიბერიძე, კ. ნოდია, კახაბერი, ქიქინაძე, დომენია, ა. ცქიტიშვილი, ი. გაჩეჩილაძე, გ. როჭილიშვილი და ი. კანდელაკი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ, რომ გუშინ, 17 დეკემბერს, დილის 10 ნახ. საათზე ტრაგიკულად დაიღუპა ამავე სადგურის ადგილკომის თავმჯდომარის ამხ. ლადო მაისურაძის საყვარელი ვაჟიშვილი

**გ ო გ ი**

დაკრძალვის დღე და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული. 5987

---

სადგურ თბილისის კონდუქტორთა გუნდების ადგილკომი [illegible] თქვამს

**გოგია (გოგა) ვლადიმერის-ძე მაისურაძის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო. 595

---

მოძრაობის მე-2 განყოფილების კანტორის თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს ლადო მაისურაძის ვაჟიშვილის

**გ ი ო რ გ ი (გოგია)**

ტრაგიკულად დაღუპვას 17 დეკემბერს. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 5940

---

გ. ბარათაძე, გ. საიაკოევი, რ. შაფათავა, მ. ძეფარიშვილი, ლ. მჭიდობაძე, ლ. ჩანქვალაძე, ი. გედენიძე, ნ. გვარამაძე, მ. სიხარულიძე, მ. კუჭავა, ბ. სტურუა, ა. მიქაუტაძე, ს. ბაბილუა, ა. ბელიაშვილი და ბ. ცხოვრებოვი მწუხარებით აუწყებენ ყველა ამხანაგებს და მეგობრებს, რომ 17 დეკემბერს ტრაგიკულად დაიღუპა ძვირფასი მეგობრის ლადო მაისურაძის შვილი

**გიორგი (გოგა) მაისურაძე**

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული 5990

---

ღრმად დამწუხრებულნი დედა მარიამი, დები დარია, ალექსანდრა და მარგო, ძმები ბორისი და გენო, სიძე ბენია და რძალი მარიამი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 17 დეკემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უსაყვარლესი

**თამრიკო თინიკაშვილი**

გამოსვენება ბინიდან 19 დეკემბერს, 4 საათზე. 5988

---

# კომუნისტი

დიდი პოლიტიკური გაზეთი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის და სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო.

## მიიღება ხელისმოწერა 1929 წლისათვის

## ჟურნალი „დროშა“

„კომუნისტი“-ს გამომცემლობა იწყებს 1929 წლიდან დასურათებული ორკვირეული ჟურნალის გამოცემას

I-ლი №-რი გამოვა იანვრის შუა რიცხვებში

მიიღება ხელისმოწერა 3 თვით და ნახევარი წლით. 3 თვით ჟურნალი ეღირება 85 კ. ნახევარი წლით 1 მ. 70 კ. ცალკე №-ი 15 კაპ.

გამომცემლობა იტოვებს უფლებას შესცვალოს „დროშა“-ზე ხელისმოწერის პირობები, როდესაც ჟურნალი ყოველ კვირეულად გამოვა

## „კომუნისტზე“ ხელისმოწერის პირობები

დამატების გარეშე გაზეთი ეღირება

მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 თვით | 1 მ. — კ. | 7 თვით | 6 მ. 70 კ. |
| 2 „ | 2 მ. — კ. | 8 „ | 7 მ. 65 კ. |
| 3 „ | 2 მ. 90 კ. | 9 „ | 8 მ. 60 კ. |
| 4 „ | 3 მ. 85 კ. | 10 „ | 9 მ. 55 კ. |
| 5 „ | 4 მ. 80 კ. | 11 „ | 10 მ. 50 კ. |
| 6 „ | 5 მ. 75 კ. | ერთი წლით | 11 მ. 50 კ. |

დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 თვით | 1 მ. 80 კ. | 7 თვით | 8 მ. 80 კ. |
| 2 „ | 2 მ. 60 კ. | 8 „ | 10 მ. — კ. |
| 3 „ | 3 მ. 80 კ. | 9 „ | 11 მ. 30 კ. |
| 4 „ | 5 მ. — კ. | 10 „ | 12 მ. 60 კ. |
| 5 „ | 6 მ. 25 კ. | 11 „ | 13 მ. 0 კ. |
| 6 „ | 7 მ. 55 კ. | ერთი წლით | 15 მ. — კ. |

ხელისმოწერა მიიღება

ქუთაისში — „კომუნისტი“-ს განყოფილება.
[illegible] — კონტრაგენტ [illegible]თან
ახალსენაკში — კონტრაგენტ [illegible]
[illegible] — კონტრაგენტ [illegible]თან
ჭიათურაში — კონტრაგენტ ჯალაღანიასთან
ყვირილაში — კონტრაგენტ [illegible]
შორაპანში — კონტრაგენტ [illegible]

[illegible] — კონტრაგენტ [illegible]
ბორჯომში — კონტრაგენტ კობახიძესთან
ფოთში — კონტრაგენტ ლორიასთან
ხონში — კონტრაგენტ გენძეხაძესთან
თელავში — კონტრაგენტ რევაზოვთან
ცხინვალში — კონტრაგენტ [illegible]არალოვთან
გორში — კონტრაგენტ მაისურაძესთან

გურჯაანში — წიგნის მაღაზიაში
სიღნაღში — კონტრაგენტ მდივანოვთან
აბაშაში — კონტრაგენტ მიქაძესთან
ლანჩხუთში — კონტრაგენტ ღლონტთან
ბათუმში — ფ/ტ. კანტორაში
ხაშურში — კონტრაგენტ ლორთქიფანიძესთან
ბაღდადში — კონტრაგენტ აბულაძესთან
ონში — კონტრაგენტ ბერიშვილთან
ჭრებალოში — კონტრაგენტ ცხვედიანთან

გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარი კანტორა თბილისი—რუსთაველის, პრ. № 34.

---

სახელმწ. აკადემიური ოპერა

(1928—29 წლის სეზონი)

დღეს, 18 დეკემბ. მე 2 აბონემენტის მე-4 წარმოდგენა **ფაუსტი** ვალპურგიის ღამით ნ. ნ. ბოგოლიუბოვის ახალი დადგმა.

19-ს პირველი აბონემენტის მეოთხე წარმოდგენა **გედების ტბა** ბალეტი დადგმა რ. ი. ბალანოტის

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე, დაწვრილებით აფიშებში. ბილეთები იყიდება

2—1 ნ. 1999

---

სახკინმრეწველობის კინოთეატრები

| | | |
|---|---|---|
| ბანთიადი | სეზონის საუკეთესო სურათი **პარიზელი მეჩექმე** | რეჟისორი ერმლერი |
| არფასტო | დადგმის მეორე კვირა **წარჩინებული მოგზაურნი** | პატის და პატაშონის მონაწილეობით |
| სოლეი<br>მინიონი | ელენ რიხტერი 1928 წელს გამოშვებულ უცხოეთის სახტრულ სურათში | **მორალი** |
| აპოლო | **ნიკოლოზ მე-2-ს რუსეთი და ლევ ტოლსტოი** | |
| კალასი | არაჩვეულებრივი წარმატება დადგმის მეორე კვირა | **სიცოცხლის უფლება** |
| დარბაზი | ლია დე-პუტი მხატვრულ სურათში | **ვარიეტე** |
| პროლეტარი ავლაბარი | **თავზე ხელაღებული** | 3 და 4 სერიები |

1 სეანსის დასაწყისი საღ. 6 საათ. 30 წუთზე. სალარო ღიაა 5 საათ. 20 წუთიდან 0—15

---

ცირკი **კოლოსი**

ტელეფ. № 8—64

დღეს

უდიდესი ატრაქციონების სანახაობა

მხეცების 1-ლი რუსი მწვრთნელის

**ნ. პ. გლადილშჩიკოვის** გასტროლები

ძუ და ხვადი ლომებით, დათვებით და დოგებით

აგრეთვე მთელი დასი და გასტროლიორები

დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათ.

სალარო ღიაა 12-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან

3—1 ნ. 2000

---

ფ. მახარაძე

**თბილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა**

მოსამზადებელი ხანა (1870—1890)

ფასი 25 კაპ.

იყიდება გაზეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34).

0—8. მთავარი კანტორა.

---

**ვყიდი** საჩქაროდ იორკშირის ჯიშის **ღორებს და გოჭებს**

ქუთაისი—ძახარაძის ქუჩა 38

ნ. 1966

---

ქ. ქუთაისი

ექიმი

**თ. ვ. აკოფაშვილი**

შინაგანი სნეულება—სპეციალ. ფილტვები ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).

25—1

---

თვალის ექიმი

**მალაევი**

ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5—90.

25—12

---

ექიმი

**გ. მ. ფხალაძე**

მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.

ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილა-საღამოს.

ნ. 8 25—8

---

კინო-პალასში

გრანდიოზულად დადგმული ფილმი

**კასტუს კალინოვსკი**

რეჟისორი გარდინი

(სურათ „მეფე და პოეტი“-ს დამდგმელი)

მალე

კინო-არფასტოში

ანა ნილსონი და ერნესტ ტორენსი

სურათ **მასხარაში**

ნ. 2002

---

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი დ. აშორდია

ამით აცხადებს, რომ 1928 წლ. 28 დეკემბერს დილის 12 საათზე მცხოვრებ ქალ. ქუთაისის მაზრის წყალტუბოს თემის ქვილიშორში **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება კლიენტი ერმინე ძე ლევთაძეს ერთ ქამარს, ექვს სკამს ბამბუკისას, ერთ ხა~ს. საწნახელს, ურემს და ერთი ძროხას, შეფასებულს 183 მან. ვლადიმერ გოგისვანიძის სასარგებლოდ. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, უ და წარმოადგინოს საწინდარი 10 პროც. ნ. 1996

---

ექ. **დ. ლ. თევზაძე**

ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა.

კონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: დილით 12—1 ნახ. საათამდე საღამოს 7—8 ს. გარდა კვირა დღეებისა. 25—1

---

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება აცხადებს

**კონკურსს**

ფეიქართა კავშირის **მუშათა კლუბის** აგებაზე **ქ. ოზურგეთში**

შედარებით უკეთესი პროექტებისათვის გაიცემა 2 ჯილდო: 500 მანეთი და 300 მ.

დაწვრილებით ცნობებისათვის უნდა მიმართონ პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას, რუსთაველის პროსპექტი, 17, მუშათა სასახლე, მე-2 სართული, ოთახი № 15.

ჟიურის შემადგენლობაში შედიან ამხ. მატინიანი (ფეიქართა კავშირის თავმჯდომარე), ინჟინრები: კრანცი, სევეროვი და ნეპრინცევი და მხატვარი დამ. კაკაბაძე.

პროექტების წარდგენის უკანასკნელი ვადა—1929 წლის 1 მარტი.

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება.

2—1 ნ. 1998

---

„**კომუნისტი**“-ს გამომცემლობას ესაჭიროება გაზეთის საზიდავად

ნახევრად საბარგო **ავტომობილი**

ერთი ან ერთ ნახევარ ტონიანი

კომისიონერებს ვსთხოვთ თავს ნუ შეიწუხებენ

იკითხეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34) ტელ. № 8—81. 0—1

---

დაბა ვანში (ქუთ. მაზრა)

გაზეთ „**კომუნისტ**“-ზე ხელის მოწერა მიიღება

**თეოფანე (ჩიჩიკო) ერასტის-ძე სვანიძესთან.**

0—1 „კომუნისტი“-ს გამომცემლობა.

---

ყვარელის უბნის სახ ლხო სასამართლოს აღმასრულებელი ნ. შ. შამანაური

აცხადებს, რომ იგი 1928 წ. 23 დეკემბერს დილის 10 საათზე სოფ. ყვარელში **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის 75 ვედრო თეთრ ღვინოს, შეფასებულს ვედრო 2 მანეთად და 90 კაპ. (2—90), ღვინო ეკუთვნის ვანო ბალაღოშვილს და გაიყიდება გიო სეფაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ყვარელის უბნის სახ. სასამართლოს მიერ 27 ოქტომბრის თარიღით და 1369 № გაცემულ აღმასრულებელი ფურცლისა. ნ. 1997

---

ექიმი—ვენეროლოგი

**ნინო მირიანაშვილი**

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს

(ქალებს და ბავშვებს)

საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—

---

ექიმი

**პ. ი. ჯალალოვი**

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეხსაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 10—9. ა. 9. 25—1

---

ლოგოპედი

**ა. ა. კაიშაური**

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

**ასწორებს**

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, იფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 132.

13—1 ნ. 1809

---

ექიმი

**ქ. ს. ფონ-ირტელი**

სპეციალურად მკურნალობს ხაშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტროკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. №10

---

**ი. პ. მჭედლიშვილი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანავადმყოფობა.** სპეციალურად **კუჭის და ნაწლავების** სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპირეჟნაია) № 7—ერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ.

---

ექიმი

**ა. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 3—25

---

ექიმი

**ი. ი. ქეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ

კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)

მიღება { დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.

4598 25—1

---

ექიმი

**ი. ვ. ახმეტელი**

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.

ლენინის (ყოფ. ოლღის) ქ. № 20, მესამე სართული.

4903 25—1

---

**დავკარგე:** მეტრიკული ამონაწერი გაბრიელ ბაჩაკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 5982

**დავკარგე** დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 1155 და სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 18 გიორგი ზაქარიას-ძე საბაშვილის სახელზე. ჩ. გ. 5981

**დავკარგე:** სამხედრო აღრიცხვის ფურცელი და მეტრიკული ამონაწერი № 161 ხიან კვიკვიძის სახელზე, ჩ. გ. 5985

**დავკარგე:** კავშირის წიგნაკი № 22648 საანგარიშო წიგნაკი № 10285, ინჟინერ-ტეხნიკთა სექციის წიგნაკი № 1, სამხედრო აღრიცხვის ბილეთი № 56 კატეგორიის პეტრე დიმიტრის ძე ასლანაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1996

**დავკარგე** კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 173, გაცემული კვახჩირის კოოპერატივიდან ალექსი სიმონის ძე კვინიკაძის სახელზე. ჩ. გ. 1996

**დავკარგე** კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 3330 კირილე ალექსის-ძე ქებულაძის სახელზე. ჩ. გ. 1996

**დავკარგე:** ქუთაისის კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 5705 კოწია ივანეს-ძე დოლონაძის სახელზე. ჩ. გ. ნ. 1996

**დავკარგე:** დაზღვევის წიგნაკი თამარ ანგიას ასულ ლეჟავას სახელზე, ჩ. გ. 5984

**დავკარგე:** მუშკოოპ.ის საწევრო წიგნაკი № 258-3 გრიშა მერკვილაძის სახელზე, ჩ. გ. 5992

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.